

1954 / 2

# კუსონის დ გევნას

ეროვნული  
ბიბლიოთეკი



6

**19-სექტემბერის სას ეპიკურეზე კუსონის 54**

ს ა ე ა რ ი ვ ა ღ მ ს ს ე ს ა ე ვ ნ ი ვ ა რ ი ბ ა თ ა ა კ ა ღ ე ა ი ს მ ჩ გ ა ნ მ

# საქავეირო სასოფლო-სამურნო

© 2016 ერაკობი

საკუთრო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საქართველოს სსრ პავილიონის დირექტორის ბოლგილი

მიმღინარე წლის 1 აგვისტოს მოსკოვში გაიხსნება მუდმივმოქმედი საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.

გამოფენა ასახავს სოციალისტური სოფლის მეურნეობის მუშაკთა მიღწევებს, გვიჩვენებს, თუ რა უდიდეს ეფექტს იძლევა აგროზოოტექნიკურ ღონისძიებათა სწორად გატარება ჩვენი ქვეყნის მიწათმოქმედების შემდგომი აღმავლობისა და საკოლმეურნეო წარმოების გაზრდის საქმეში. გამოფენაზე ნაჩვენები იქნება არა მარტო კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მიღწევები, არამედ გაშუქებული იქნება აგრეთვე ის ხერხები და მეთოდები, რითაც ეს წარმატებები იყო მიღწეული.

არც ერთ სასოფლო-სამეურნეო გამოფენას არც  
ერთ ქვეყანაში არ მოუპოვებია ისეთი წარმატება,  
როგორიც 1939—1940 წლებში მოსკოვში მოწყო-  
ბილ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენას  
ხვდა წილად. ამ გამოფენამ აშკარად დაანახვა მთელ  
მსოფლიოს ჩვენი სოციალისტური საკოლმეურნეო  
სოფლის მეურნეობის სიდიადე და უპირატესობა.

მიმდინარე წლის გამოფენა კიდევ უფრო გრან-  
დიოზული, უფრო ნათელი გამომსახველი იქნება ჩვე-  
ნი სოციალისტური სოფლის მეურნეობის ომის შემ-  
დგომი აღმავლობისა, რაც კომუნისტური პარტიისა  
და საბჭოთა მთავრობის დაუღალავი მზრუნველობის  
შედეგად არის მიღწეული.

უხვი მოსავლისა და საზოგადოებრივი მეცნოვე-  
ლეობის მრავალი ასეული და ათასეული ნოვატორი  
და მოწინავე ადამიანი მიიღებს მონაწილეობას ამ  
გამოფენაში.

ამიტომ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამო-  
ფენის ყოფილი ტერიტორიის ნაგებობანი ვერ უპა-  
სუხებდა მოთხოვნილებას. ამჟამად გამოფენის ტე-  
რიტორია გაფართოვდა, რეკონსტრუქციებული და  
აგებულია 600-დე შენობა.

208 ჰექტარ ფართობზე გადაჭიმულია საუცხოო  
ნაკებობანი პავილიონებისა, რომლებიც თავისი სიმ-  
დიდრით, არქიტექტურითა და მხატვრული მრავალ-  
ფეროვნებით ზღაპრულ სასახლეებს მოგაგონებენ:  
პავილიონები „ჩრდილოეთ კავკასია და ყირიმი“,

„ლატვია, „ლიტვა“, „ესტონეთი“, „მონღოლეთი“, „ყაზახეთი“, „საქართველო“ და სხვა მოძმე რესპუბ-  
ლიკათა პავილიონები და დარგობლივი პავილიონე-  
ბი: „მიწათმოქმედება“, „მევენახეობა-მებაღეობა“, „მექანიზაცია და ელექტროფიკაცია“, „ტექნულტუ-  
რები“, „მეაბრეშუმეობა“, „მეფუტკრეობა“, „მეცხო-  
ველეობა“, „ვეტერინარია“ და სხვ. ამ პავილიონებს  
მხარს დაუმშვენებს პავილიონები — „ციმბირი“, „ურალი“, „შორეული აღმოსავლეთი“, „მოსკოვის  
ოლქი“ და სხვა პავილიონები, რომლებიც ერთმანე-  
თისაგან სრულიად განირჩევა თავისი ორიგინალური  
ნაგებობით, ნაციონალური სტილის ჩუქურთმებითა  
და მხატვრული გაფორმებით.

პავილიონთა საერთო რაოდენობა 190-დე იქნება.

გარდა ამისა, ნაკვეთებზე ნაჩვენები იქნება სსრკავშირში გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მათი ჯიშების სხვადასხვაობა.

მარტო მემინდვრეობისათვის გამოყოფილია 12 ჰექტარი საჩივნებელი ნაკვეთი, სადაც დათესილი და დარგული იქნება 4.000 ჯიშის სხვადასხვა მარცვლობანი, ტექნიკური, ზეთოვანი, ბოსტნისა და სხვა ღირსშესანიშნავი სასოფლო-სამეორნეო კულტურები. გარდა ამისა, დაირგვება 30 000 ძირი დეკორაციული ხე, 150 000 ძირამდე ბურჯოვანი ხეები, 5 მილიონი ყვავილი და სხვ.

გადიდლა და დამშვენდა მიჩურინული ბალის  
ტერიტორია, სადაც 7 ჰექტარ ფართობზე ნაჩვენები  
იქნება მიჩურინული სამეცნიერო-კვლევითი დაწისე-  
ბულებებისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე მუ-  
შაკების მიღწევები.

მეცნოველიობის დარგის ნაჩვენები იქნება 70-დე პავილიონში, საღაც საბჭოთა აღამიანების მიერ გამოყვანილი მსხვილფეხა, წვრილფეხა საქონლისა და ფრინველთა ახალი ჯიშები იქნება მოთავსებული.

ასევე საინტერესო სანახავი იქნება პავილიონი „მექანიზაცია და სოფლის მეურნეობის გლობულო-ფიკაცია“, რომელიც 26 დარბაზისაგან შედგება; აუზივენებინ ყველა ახალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებსა და მოწყობილობებს; ელექტროფიციური ინჟინერული იქნება მრავალი სამუშაო... პროცესი, როგორიცაა ძროხებისა და ცხვრების წველი



მესაქონლეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დი-  
რექტორის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის  
ა. ნატროშვილის მიერ გამოყვანილი ახალი ჯიშის  
ქართული ცხვარი

მეცხოველეობის ფერმებში, ცხვრის კრეჭვა, წყლის  
მიწოდება, საკვების დამზადება-მიწოდება და სხვ.

შეიცვალა და გაფართოვდა გამოფენის მთავარი  
პავილიონი, რომელიც წინა გამოფენასთან შედარე-  
ბით ახლა 2,5-ჯერ უფრო დიდია, მისი სიმაღლე 77  
მეტრს აღემატება.

აგებულია მთელი რიგი ახალი შენობები: საერ-  
თო საცხოვრებელი, საბავშვო სახლი, საბავშვო ბა-  
გა, კინო, კლუბი, საზამთრო და საზაფხულო საეს-  
ტრადო თეატრი, ბიბლიოთეკები, საბილიარდოები,  
სასამართლო, აბანო, სავაჭროები და სხვ.

გამოფენას შეუძლია ყოველდღიურად მიიღოს  
200 000-დე მნახველი. მათი უკეთ მომსახურების  
მიზნით ივლის კომფორტაბელური სპეციალური  
ტრანსპორტი — ტროლეიბუსები, ავტობუსები, ავ-  
ტომანქანები, ტრამვაი და სხვ., რომელთაც ყოველ-  
დღიურად 150 000 მგზავრის გადაყვანა შეუძლია.  
თვით გამოფენის ტერიტორიაზე ივლის ტროლეიბუ-  
სი, რომელსაც ერთ შემოვლაზე 9 კილომეტრის გავ-  
ლა დასჭირდება. ტერიტორიის გაფართოებასთან და-  
კავშირებით გაიზრდება სათესი ფართობებიც, სადაც  
ნაჩვენები იქნება 4 000 სხვადასხვა ჯიშის სასელექ-  
ციონ კულტურა.

დიდად გაფართოვდა და შეივსო მიჩურინული  
ბალის ტერიტორია, რომლის ფართობი 7 ჰექტარამ-  
დე მიაღწევს. დაირგვება მრავალი ციტრუსი და ნარისი ბუჩქი, ასი ათასობით დეკორაციული ხე და აუტორიზებული ბუჩქი.

ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია საქართველოს სსრ  
პავილიონი, რომელიც რეკონსტრუქციებული და მა-  
ღალმხატვრულად გაფორმებულია. აქ წარდგე-  
ნილი იქნება გამოფენის 3 000-დე კანდიდატი —  
ჩვენი ქვეყნის საამაყო შვილები:

სოფელ ნატანების კოლმეურნეობის მერგოლუ-  
რი დარეჯან ტაკიძე, რომელმაც 4 ჰექტარი ფართო-  
ბიდან თითოეულ ჰექტარზე მოიყვანა 12.713 კილო-  
გრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, ნაცვლად  
საკავშირო სასოფლო-სამეურნეო კომიტეტის დად-  
გენილებით გათვალისწინებული 5 000 კილოგრამი-  
სა;

უხვი მოსავლის ოსტატი, ზუგდიდის რაიონის  
ახალსოფლის კოლმეურნეობის ყოფ. თავმჯდომარე,  
ორგზის სოციალისტური შრომის გმირი ანთიმოზ  
მიხეილის-ძე როგავა, რომელმაც 83.85 ჰექტარი  
ჩაის პლანტაციის თითოეულ ჰექტარზე 5.786 კილო-  
გრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მიღება უზრუნ-  
ველყო.

ქობულეთის რაიონის ს. დაგვის სასოფლო საბ-  
ჭოს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის ყოფ-  
თავმჯდომარე ლევან ალექსანდრეს-ძე წულუკიძე,  
რომელმაც უზრუნველყო 89.5 ჰექტარი ჩაის პლან-  
ტაციის თითოეულ ჰექტარზე 5.098 კილოგრამი ხა-  
რისხოვანი ჩაის ფოთლის მიღება, ნაცვლად გათვა-  
ლისწინებული 3 000 კილოგრამისა. ამავე კოლმე-  
ურნეობის წევრი სოციალისტური შრომის გმირი  
გული ჯინჭარაძე, რომელმაც 0,5 ჰექტარ პლანტა-  
ციაზე 12.835 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი მწვანე  
ფოთოლი მოიყვანა;

ქუთაისის რაიონის სოფ. საყულის კოლმეურნე-  
ობის „კომუნარის“ მეაბრეშუმეობის მერგოლური  
კლავდია ლომიძე, რომელმაც 4,4 კოლოფი აბრეშუ-  
მის ჭიის თესლიდან თითოეულ კოლოფზე 123,4  
კილოგრამი აბრეშუმის ხარისხოვანი პარკი მიიღო,  
ნაცვლად გათვალისწინებული 100 კილოგრამისა;

სახელმოხვეჭილი სტალინური პრემიის ლაურეა-  
ტი, სოციალისტური შრომის გმირი, გალის ლენინის  
სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი ჩოქოლი  
ქვაჩახია, რომელმაც თითოეულ ჰექტარზე 62 ცენტ-  
ნერი სიმინდი მიიღო 14,5 ჰექტარი ფართობიდან;

გორის რაიონის სოფ. ხელთუბნის კოლმეურნე-  
ობა „განთიადის“ ბრიგადირი ვასილ კობლიაშვილი,  
რომელმაც თითოეულ ჰექტარზე მიიღო 192.8 ცენტ-  
ნერი ვაშლი;

თეთრიწყაროს რაიონის ვოროშილოვის სახელმძიმელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ილია ბეგაშვილი, რომელმაც 10 პექტარი მსხმოიარე კურკოვანი ხილის პლანტაციის თითოეული პექტარიდან მიიღო 169.2 ცენტნერი ნაყოფი, ნაცვლად გამოფენის კომიტეტის მიერ გათვალისწინებული 75 ცენტნერისა;

ლენინის ორდენისანი გორელი მეჭარხლე მერგოლური გიორგი ქერდიკოშვილი, რომელმაც მოსავლელად მიჩნილი 3,75 პექტარი ფართობის თითოეულ პექტარზე 732,2 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მოიყვანა, ნაცვლად გათვალისწინებული 306 ცენტნერისა;

მარნეულის რაიონის შვერნიკის სახელმძიმელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი იუსუფოვი თემურაზ მაპომელოლი, რომელმაც 10 პექტარი ფართობის თითოეულ პექტარზე 29,9 ცენტნერი „ტრაპიზონის“ ჯიშის თამბაქო მოიყვანა;

ლენინის ორდენისანი მიხეილ ნიკოლოზის-ძე ლაზარიაშვილი, ალაზნის მტს-ის კომბაინერი, რომელმაც კომბაინ „სტალინეცით“ გალეწა მის მიერ 25 სამუშაო დღეში მომკილი 7.653 ცენტნერი მარცვალი;

წითელწყაროს რაიონის სოფ. ჯაფარიძის სახელმძიმელობის კოლმეურნეობის მელორეობის ფერმის მწყემსი სოციალისტური შრომის გმირი მოსე ალექსის-ძე ქადაგიძე, რომელმაც 12 დედა-ლორიდან თითოეულ დედა-ლორზე 24 გოჭი აღზარდა, ნაცვლად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მაჩვენებლებით გათვალისწინებული 18 გოჭისა.

სტალინური პრემიის ლაურეატი არჩილ ნატროშვილი, რომელმაც თუშური ცხვრისა და ნაზმატყლიანი მერინოსის ჯიშის ცხვარის შეჯვარებით მიიღო სრულიად ახალი ქართული ჯიშის ცხვარი. ამ ცხვარს მაღალხარისხოვანი მატყლი და კარგი გემოს ხორცი ახასიათებს;

საქართველოს სსრ მეცხოველეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი არჩილ ანტონის-ძე თოთიბაძე, რომელმაც გამოიგონა „ფრინველების სათვლელი“ მანქანა. ეს მანქანა ფართოდ ინერგება ჩვენი რესპუბლიკის საკოლმეურნეო ფერმებში. 1952 წელს მანვე გამოიგონა ავტომატური „ცხვრის სათვლელი“ მანქანა, რომელიც გადაცემულია წარმოებაში ფართოდ გამოსაყენებლად;

სტალინური პრემიის ლაურეატი პროფესორი ქსენია ბახტაძე, რომელმაც გამოიყვანა მაღალხარისხოვანი ქართული ჩაის ახალი ორი ჯიში № 1 და № 2;

სტალინური პრემიის ლაურეატი მიხეილ სიმონის-ძე დალაქიშვილი, აჯამეთის საცდელი სადგუ-

რის ყოფილი დირექტორი, რომელმაც ხორბლის კულტურა დასავლეთ საქართველოში 6 000 პექტარ ფართობზე დანერგა, შეარჩია უფრო მაღალი მოსახლის მომცემი ხორბლის ჯიშები ადგილობრივი პირობების შესაბამისად; დაადგინა თესვის ვადები და ნორმები, ნიადაგის დამუშავებისა და სასუქის გამოყენების წესები; ექსპერიმენტული წესით დაადგინა და შემოილო 8—10 მინდვრიანი თესლბრუნვა დასავლეთ საქართველოს კოლმეურნეობების პირობებში:

მეცნიერი მუშაკი, გორის მებალეობა-მებოსტნეობის სასელექციო საცდელი სადგურის დირექტორის მოადგილე ელენე შალვას ასული ერისთავი, რომელმაც გამოიყვანა 4 საუკეთესო ჯიშის საადრეო ატამი, რაც ფართოდ ვრცელდება საქართველოს მეხილეობის რაიონებში. შეაგროვა საადრეო ჯიშების საკუთარფესვიანი ნაგალა ვაშლის — „ხომანდული“-ს დიდი კოლექცია და მთიანი რაიონებისათვის გასამრავლებლად გამოყო საუკეთესო ჯიშები;

ცნობილი მეხილე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობა-მელვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შუა ქართლის დასაყრდენი პუნქტის უმცროსი მეცნიერი მუშაკი ვასილ გიორგის-ძე ბესტავაშვილი თავისი მაღალხარისხოვანი ატმის ახალი ჯიშით — „ბესტავაშვილი“, „წედისური“, „წედისური საპირა“ და ვაზის გაუმჯობესებული ოცამდე ახალი ჯიშით;

საქართველოს მცდელი მებოსტნე, ბორჯომელი გიორგი თაქთაქიშვილი, რომელმაც სახელი გაითქვა პამილორის ახლად გამოიყვანილი ჯიშით „მუზარადით“, ხახვის გაუმჯობესებული ჯიშით „რეკორდით“, აგრეთვე სხვა ბოსტნეულის მრავალი ახალი ჯიშით;



სტალინური პრემიის ლაურეატი პროფესორი ქსენია ბახტაძე, აჯამეთის საცდელი სადგურის განაყოფილების დროს



მიჩურინელი-სელექციონერი გ. თაქთაქიშვილი  
ახვალიერებს მის მიერ გამოყვანილ პამილორის ახალ ჯიშს  
«მუზარადა»

ქუთაისის მეხილეობა-მებოსტნეობის სასელექციო საცდელი სადგურის დირექტორის მოადგილე, მეცნიერი მუშაკი ივანე ალექსანდრეს-ძე გეორგე-რიძე, რომლის ხელმძღვანელობით ჩატარდა ტყემლის სახალხო სელექციის საუკეთესო ჯიშების გამოვლინება, კომპლექსური შესწავლა და დარაიონება. გამოყოფილ იქნა დასავლეთ საქართველოსათვის 10 ჯიშის სტანდარტული საუკეთესო ტყემალი;

სტალინური პრემიის ლაურეატი ვახტანგ დავითის-ძე ციციშვილი სამტრესტის კონიაკის კომპინატის დირექტორის მოადგილე და მთავარი ტექნოლოგი, რომელმაც შექმნა უმაღლესი ხარისხის ქარ-

თული კონიაკების მარკები „ქს“ (კონიაკი ძველი), „საიუბილეო“ და „ენისელი“;

აფხაზეთის მეთამბაქოეობის საცდელი სადგურის სელექციის ჯგუფის ხელმძღვანელი ალექსანდრე ექვთიმეს-ძე ჩაჩა, რომელიც არის თანაავტორი თამბაქოს ახალი ჯიშის „სამსუნ-840“ და „სუხუმის სამსუნი-959“-ის გამოყვანაში;

საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელმაც გამოიყვანა და წარმოებას გადასცა ახალი ქართული ცხვარი ნახევრადნაზი, ერთგვაროვანი, გრძელი მატყლით, მაღალმეხორცული, ცხიმკუდით და მომთაბარე მეცხვარეობის ადგილობრივ პირობებთან შეგუების კარგი უნარით. ინსტიტუტის საცდელმა მეურნეობამ კოლმეურნეობებს გადასცა აღნიშნული ჯიშის 3 100 სულზე მეტი ყოჩი-მწარმოებლები. ურჩია წარმოების მაღალმოსავლიანი ერთწლიანი ბალახები აღმოსავლეთ საქართველოს გვალვიან, ურწყავი ზონისათვის. დანერგა წარმოებაში მწვანე კონვეიერი, საკვები კომბოსტო, მიწავაშლა, საკვები გოგრა და საზამთრო;

საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საკვებმოპოვების განყოფილების გამგე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი გიორგი ტარასის-ძე რცხილაძე, რომელმაც დაამუშავა და სოფლის მეურნეობას გადასცა საფერმო საკვები თესლბრუნვებისა და მწვანე კონვეიერების სქემები. მისი წინადადებით დანერგილია საკვები კომბოსტოს, მიწავაშლის, საკვები გოგრისა და საზამთროს თესვა.

გამოფენაზე წარდგენილია აგრეთვე მთელი რიგი მოწინავე ადამიანები, რომლებმაც თავიანთი საქმე-ებით ისახელეს თავი.



# ელექტრობას სოფლის მეურნეობაში

საქართველო  
განვითარების  
მინისტრი

აკადემიკოსი გ. გ. ევგენიოვი

## ახალი ეტაპი

სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის თანამედროვე ეტაპზე მოთხოვნილებები მის მიმართ ფრიად ძლიერად განსხვავდება იმისაგან, რასაც წინათმას უყენებდნენ. ახლა მთავარი ის კი არ არის, რომ ელექტროფიკირებულ იქნეს ცალკეული პროცესები, არამედ ის, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ელექტროფიკირებულ იქნეს საწარმოო პროცესების მთელი ციკლები.

ამჟამად ელექტრობა გამოიყენება არა მარტო სასოფლო-სამეურნეო მანქანების მოძრაობაში მოსაყვანად, არამედ დახმარებას უწევს კიდეც მათი ცალკეული ორგანოების მუშაობის მართვას, შესაძლებლობას იძლევა გაფართოებულ იქნეს ამა თუ იმ მანქანის ფუნქცია. როგორი მანქანების, მაგალითად, სარგავი, კარტოფილსათხრელი და სხვ. მანქანების ცალკეული მუშა ორგანოების მუშაობის ავტომატიზაციის მიღწევა ადვილად შეიძლება ელექტრომწყობილობის დახმარებით.

მოვიყვან პატარა მაგალითს. ჩემი აზრით, ის კარგად გვისურათხატებს შესაძლებლობებს, რომლებიც მანქანების ცალკეული კვანძების ელექტროფიკიით ისახება.

ყოველი ჩვენგანისათვის ცნობილია ბოსტნეულის კულტივატორი, რომელიც მწკრივთაშორისებს ამუშავებს. ხომ არ შეიძლება ვაიძულოთ იგი ერთდროულად დაამუშაოს ბუდეებსშორისებიც მცენარიდან მცენარემდე? თურმე, შეიძლება. ერთ-ერთ სამუშაოში, რომელიც სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკიის ინსტიტუტმა „ვისხომ“-თან ერთად ჩატარა, ეს მიღწეულია. კულტივატორს გაუკეთეს მოძრავი თათები, რომლებიც გაითიშება და მოიკუჭმება რა, ამუშავებს ბუდეებსშორისებს. თათების მოძრაობის მართვის ელექტრული სისტემის კვებისათვის, რაც რამდენიმე რელეს შეიცავს, კონსტრუქტორებმა გამოიყენეს პატარა დინამომანქანა ნ ვოლტი ძაბვით, რომელიც ტრაქტორზე მოიპოვება.


რელეს სისტემა დროის განსაზღვრულ შუალედში, რაც ზუსტადაა შეთანხმებული სათესი მანქანის მუშაობასთან თესვის დროს, იძლევა ელექტრულ იმპულსს, რომელიც ჩართავს და გამორთავს თათებს. არსებითად რომ ვთქვათ, რელე მხოლოდ ჩართავს და გამორთავს სპეციალურ ელექტრულ მუფთას, თათების შემობრუნება კი ხორციელდება კულტივატორის სავალი ბორბლისაგან. ელექტრული მუფთისა და რელეს სისტემის კვებისათვის დაასლოებით 30—40 ვატი სიმძლავრეა საჭირო.

ახლა მიმდინარეობს მუშაობა თვითმავალი სათიბი მანქანის გასაუმჯობესებლად.


თვითმავალ სათიბ მანქანას დაახლოებით 10 მეტრი განი აქვს. საჭიროა კიდევ უფრო გავაფართოოთ მისი მოდების განი. მაგრამ ამას ხელს უშლის ენერგიის განაწილების მძიმე პირობები თვით სათიბ მანქანაში. და აი ისახება საკითხის ახალი გადაწყვეტა. ტრაქტორით მოძის მოძრავი ელექტროსადგური. ის სათიბ მანქანებს გადასცემს აუცილებელ ენერგიას. ამგვარად, ელექტრული სადგური, რომელიც ამ სათიბ მანქანებთან ერთად იმოძრავებს, ენერგიით კვებავს მათ. ეს შესაძლებლობას იძლევა გაითიბოს არაჩვეულებრივად განიერი ზოლი. ენერგიის გადაცემა დამჭრელ აპარატებზე და სათიბ მანქანებს შორის მისი განაწილება ელექტრული გზით რთული საქმე არ არის.

მინდა შევეხო კიდევ ერთ ცნებას — კომპლექსურ ელექტროფიკაციას. ელექტროფიკაციის ფართოდ გამოყენება სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად შესაძლებლობას იძლევა დავზოგოთ მუშახელი, ავამაღლოთ საქონლიანობა, გადავიყვანოთ მეურნეობანი უფრო მაღალ დონეზე.

კომპლექსური ელექტროფიკაცია, მოიცავს რა სოფლის მეურნეობის ყველა იმ საწარმოო პროცესს, რომელთა ელექტროფიკაციის მეთოდები დამუშავებულია, შესაძლებლობას იძლევა მივიღოთ მეტად თუ ნაკლებად თანაბარი დატვირთვა, რომელიც შესაბამება გენერატორის ან ტრანსფორმატორის სიმძლავრეს. რამდენად უფრო თანაბარია დატვირთვა, იმდენად უფრო სრულად გამოიყენება ელექტროსადგურში ან ქვესადგურში დადგმული ძვირადლირებული მოწყობილობა.



ნახ. 1. ელექტრული მომსინჯავის მეოხებით, კულტივატორის (ა) თათები (ბ) არა მარტო აფხვიერებენ მიწას, არა მეღ აგრეთვე მარგლავენ მწკრივთაშორისებს ისე, რომ არ აზიანებენ მცენარეებს



ჩ. 2. მაღალი სიხშირის დენებით მონჯის ხმობის სქემა

ელექტრობის ფართოდ გამოყენება სოფლის მეურნეობაში უზრუნველყოფს წარმოების რიტმულობას, ყოველგვარი სამუშაოების გრაფიკის მტკიცედ შესრულებას.

ელექტროძრავების დანერგვა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, რასაკვირველია, არ გამორიცხავს სხვა ტიპების ძრავის, მაგალითად, ქარძრავების გამოყენებას ცალკეული სამუშაოების უშუალო მექანიზაციისათვის. რასაკვირველია, რაიონებში, სადაც ქარები არამუდმივია და მისი სიჩქარე დიდი არ არის, ქარძრავის დახმარებით შეუძლებელია უზრუნველვყოთ ყველა მექანიზებული სამუშაოს გრაფიკის დროულად შესრულება. მაგრამ, თუ საქმე, ვთქვათ, ესება საკვების დამზადებას, მარცვანის დაწილადებას, ჩალის დაჭრას — სამუშაოს, რომელიც შეიძლება მარაგად გაკეთდეს, — მისი შესრულება ქარძრავის დახმარებითაც შეიძლება.

### სასოფლო-სამეურნეო მანქანა და ძრავი

როდესაც ჩვენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ელექტროძრავის მომხმარებლებზე ვლაპარაკობთ, პირველ რიგში საჭიროა შევჩერდეთ ელექტროძრავებზე. ეს არის მომხმარებლების ძალიან დიდი ჯგუფი, განსაკუთრებით მოწინავე კოლმეურნეობებში, სადაც მის წილად მოდის დატვირთვის მთელი სიმძლავრის თითქმის 65 პროცენტი.

ელექტროძრავების რაოდენობა ზოგიერთ მოწინავე კოლმეურნეობაში უკვე ახლა აღწევს 20—25-ს. ურალის კოლმეურნეობა „ზარიას“ აქვს 70-ზე მეტი ელექტროძრავი.

ელექტროძრავი—ელექტრული ენერგიის ერთ-ერთი უდიდესი მომხმარებელია.

ელექტროძრავის დადგმა, ელექტროძრავის შეერთება სასოფლო-სამეურნეო მანქანასთან, მათი ერთად მუშაობის უზრუნველყოფა — ეს უბრალო საქმე როდია.

ახლა შეიმჩნევა აშკარა განსხვავება ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო მანქანების სიჩქარესა და ელექტროძრავების სიჩქარეს შორის. სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, შეგუებულს მექანიკური ამძრავისა-

თვის, გორბალზე აქვს 200—300 ბრუნი წუთში. დარჩენილია რიგი მანქანები, გათვალისწინებული 60 ბრუნისათვის წუთში, შეგუებული ხელით მოძრავის მიზანით მოძრავის 1 500 და 3 000 ბრუნს წუთში. ელექტროძრავები, რომლებიც ბრუნთა ნაკლებ რაოდენობას ავითარებენ, არ იხმარება, ისინი გაცილებით ძვირია სწრაფმავალ ელექტროძრავებთან შედარებით.

სასოფლო-სამეურნეო მანქანების ელექტროძრავზე გადაყვანისას საჭირო ხდება სპეციალურ მოწყობილობათა შექმნა.

ავილოთ ძალიან მკაფიო მაგალითი. აი ნელა მავალი მანქანა — ტრიერი. ეს მარცვლის საწმენდი მანქანა წუთში დაახლოებით 60 ბრუნს აკეთებს. ძნელია ელექტროძრავის შეერთება ასეთ ნელა მავალ მანქანასთან. მაგრამ ტრიერს აქვს ვენტილატორი, რომელიც 500 ბრუნს აკეთებს წუთში. შეიძლება მუშა ბორბალი გადავიყვანოთ ვენტილატორის ლილვზე. ეს დიდ გადაკეთებას არ მოითხოვს — საჭიროა მხოლოდ ვენტილატორის ლილვი დაგრძელდეს მუშა ბორბლის დასადგამად.

მთელ რიგ სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებშიც შეიძლება თამამად შევიტანოთ ცვლილებები, რაც გაადვილებს მათ შემდგომ გადაყვანას ელექტროძრავზე.

სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, სამწუხაროდ, ახლაც კი არა აქვთ ადგილი ელექტროძრავისათვის, ისინი არ არიან შეგუებული ელექტროძრავისათვის.

ქარხნების წინაშე დგას ამოცანა — მომზადდეს ადგილი ელექტროძრავების დასადგმელად და, თუ შესაძლებელი იქნება, სასოფლო-სამეურნეო მანქანებთან ერთად მიწოდებულ იქნეს ელექტროძრავებიც.

იმის შესახებ, თუ როგორ თანდათანობით მარტივდება სასოფლო-სამეურნეო მანქანების მთელი კონსტრუქცია ელექტრული ძრავის გამოყენების მეოხებით, შეიძლება ვიმსჯელოთ უნივერსალური დამწილადებელის — სილოსის საჭრელი მანქანის ამძრავის მაგალითზე. თანდათანობით ამძრავი უმჯობესდება, მისი კონტური მარტივდება. თანდათან ზედმეტი ხდება ღვედური გადაცემა: ელექტროძრავისა და დამწილადებლის სამუშაო ორგანოები ერთიანდება. ასეთი მანქანა აგებულია და მან მთელი რიგი კარგი მაჩვენებლები გამოავლინა.

იგივე პროცესი შეიძლება შევამჩნიოთ სალეჭ მანქანაზეც. ძრავი მიწიდან გადადის სალეჭ მანქანაზე და, ბოლოს, იქცევა სალეჭი მანქანის ნაწილად, იკავებს რა დოლის ადგილს.

მეცხოველეობის ელექტროფიკაციაში გადამწყვეტ რგოლს წარმოადგენს ელექტროძრავის ფართო გამოყენება მრავალრიცხვანი საკვებდამამზადებელი მანქანების აძვრისათვის. დამუშავებულია სქემები და ტიპობრივი ნახატები, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ როგორ შევარჩიოთ ელექტროძრავი, როგორ უკეთ შევაერთოთ ელექტროძრავი მანქანასთან. მუ-

შახელის შემდგომი ეკონომის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს მანქანების შერჩევა ფერმებში საკვების ნაკადური მიწოდებისათვის. მანქანების ასეთი სისტემის მუშაობა უნდა წარმოებდეს მკაცრი დღელამური გრაფიკით. მექანიზაცია ელექტროფიგაციასთან ერთად შრომის მწარმოებლობის მკვეთრ ზრდას და მუშახელის დიდ ეკონომიას იძლევა. მოწინავე კოლმეურნეობების გამოცდილება სავსებით ადასტურებს ამას, ნაკადური წესი და გრაფიკით მუშაობა მეურნეობას უფრო მაღალ დონეზე აიყვანს და აამაღლებს მის საქონლიანობას.

საჭიროა ცალკე შევჩერდეთ ავტომატიზაციაზე.

მეცნიერული აზრი დაუღალავად მუშაობს სამუშაო პროცესების ავტომატიზაციაზე არა მარტო მრეწველობაში, არამედ სოფლის მეურნეობაშიც.

ავილოთ სოფლის მეურნეობისათვის ისეთი მნიშვნელოვანი პროცესი, როგორიცაა წყალმომარაგება. წყლის მიწოდების მთლიანი ავტომატიზაციის მშენიერ მაგალითს წარმოადგენს უკოშკო ავტომატური ელექტროსატუმბავი სადგური, რომელსაც ჩვენი მრეწველობა უშვებს. როგორც კი დანადგარი ქსელში ჩაირთვება, მთელი შემდგომი მუშაობა წარმოებს ადამიანის მონაწილეობის გარეშე.

დანადგარი არ საჭიროებს ძვირლირებულ წყალსაწნეო კოშკებს. საჭირო წნევა იქმნება საწნეო ქვაბში, რომელიც პერმეტულადაა დახურული და ელექტროტუმბოს პირველი ჩართვის შემდეგ განსაზღვრულ დონემდე ივსება წყლით. თუ მომხმარებლები არ ხარჯავენ წყალს ან წყლის განაწილება არაა დიდი, ნაჭარბი წყალი ხვდება საწნეო ქვაბში, თანდათანობით კუმშავს იქ მყოფ ჰაერს, სანამ ამ ჰაერის წნევა ქვაბში მყოფი მცირე დგუშით არ გამორთავს ძრავს. თუ წყლის ხარჯი იზრდება, წყალი ქვაბიდან იღვრება ქსელში, წნევა დგუშზე სუსტდება, ზამბარა მას ძველ ადგილას აბრუნებს, ჩაირთვება ჩამრაზი და ელექტროტუმბო კვლავ იწყებს მუშაობას.

სასოფლო-სამეურნეო მანქანების ელექტროამძრავების გამარტივება — ეს ერთ-ერთი ძირითადი ამოცანათაგანია. ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ კიდევ უფრო მეტია გასაკეთებელი. სამეცნიერო ინსტიტუტებმა დამუშავეს ძრავების სასოფლო-სამეურნეო მანქანებთან ტიპობრივი შეერთების ალბომები. ასეთი ალბომები დიდ სარგებლობას მოუტანენ საპროექტო ორგანიზაციებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს.

## სინათლე და სითბო


ელექტრომაგნიტურ რხევათა სპექტრი ფართოდა მრავალფეროვანია. სინათლე და ელექტრომაგნიტური რი რხევების სხვა სახეობანი, აგრეთვე სითბო ფართო გამოყენებას პოულობს სოფლის მეურნეობაში. მეფრინველების ფერმებში ჩვეულებრივი ელექტრონათურებით დამატებითი განათებით ზამთრის პერიოდში, გვიან შემოდგომასა და ადრე გაზაფხულზე შეიძლება 20 პროცენტით გავადიდოთ კვერცხის დება. საფრინველეში ტემპერატურის 6—8 გრადუსამდე გადიდებით ხდება კვერცხის დების შემდგომი ზრდა. ულტრაიისფერი ნათურების გამოყენება შესაძლებლობას იძლევა კიდევ უფრო გავზარდოთ კვერცხის დება.

ულტრაიისფერი სხივები გამოიყენება რახიტთან საბრძოლველად, ცხოველების საერთო ტონუსის გასაუმჯობესებლად, სიმსუქნის მატებისათვის.


გადაჭრით უნდა ვურჩიოთ გამოყენება დანადგარებისა ცხოველთა ულტრაიისფერი სხივებით მოსხივებისათვის.

საბჭოთა მეურნეობაში „პეტროვსკოე“ გასულ წელს გამოყენებულ იქნა ულტრაიისფერი სხივებით 1 200 საცდელი გოჭის მოსხივება. გოჭების ასეთივე რაოდენობა იყო საკონტროლო კოლტში. ოთხ თვეში გოჭებმა, რომელთაც მოსხივება გაიარეს, 9 კილოგრამით მეტი მოიმატეს, ვიდრე საკონტროლო გოჭებმა. საბჭოთა მეურნეობამ, დაახლოებითი გაანგარიშებით, 100 ათას მანეთზე მეტი მოიგო. აი რას იძლევა ულტრაიისფერი სხივების გამოყენება რახიტთან საბრძოლველად და ჯანმრთელი მოზარდეულის გამოსაზრდელად. შესანიშნავი სხივები უდავოდ შეიძლება რეკომენდებულ იქნეს მოსხივებისათვის გვიან შემოდგომასა და ზამთარში, როცა ულტრაიისფერი სხივები მზის სინათლეში უკვე არასაკმარისია.

მეტად ძვირფასია ელექტროენერგიის გამოყენება მემცნარეობაში.



ნახ. 3. სპეციალური ნათურების ულტრაიისფერი სხივები ხელს უწყობენ მოზარდეულის ზრდას და გაჯანსაღებას



ნახ. 4. მცენარეთა დამტვერვა ელექტრულად დამუხტული ნაწილაკებით. შხამების დადებითად დამუხტული ნაწილაკები მიიზიდება ფოთლების უარყოფითად დამუხტული ნაწილაკებით. ამან მნიშვნელოვნად უნდა გააღიდოს დამტვერვის ეფექტიანობა

სათბურების დამატებითი განათება ელექტრონათურებით — აირსავსეთი ან ლუმინესცენტრული — დღის სინათლის ნათურებით ფართო გამოყენებას პოულობს დეკემბრიდან აღრეული ჩითილების გამოცენებისათვის. ამ საკითხმა პრაქტიკული გადაწყვეტა პოვა, თუმცა მისი თეორიული მხარე არასაკმაოდაა დამუშავებული. ბევრი ბუნდოვანი რამეა ფოტოსინთეზზე სინათლის სპექტრის ცალკეული უბნების გავლენის საკითხში. ჯერ კიდევ არასაკმაოდ არის შესწავლილი სხვადასხვა გამოსხივების გავლენაც მცენარეთა ზრდის ცალკეულ ფაზებზე, დაწყებული თესლის გაღივებიდან თვით მსხმოიარობამდე. სხვადასხვა ბოსტნეულის გამოყვანისას შეიძლება დიდი ეფექტის მიღება ელექტრული ნათურების სინათლით მათი მოსხივებით.

წლიდან წლობით უფრო ფართოდ იქნება გამოყენებული კვალსათბურების გათბობა ელექტრული მეთოდებით, რადგან ამჟამად ჩვენს ელექტროსადგურებს შეუძლიათ ენერგიის ნაწილი ძალიან ენერგოტევად მომხმარებლისთვისაც გამოყონ. ცალკეულ კოლმეურნეობებში კვალსათბურების ჩარჩოების ფართობი ათასობით კვადრატულ მეტრს უდრის. მაგალითად, მიტიშჩის რაიონის კოლმეურნეობაში „ჰამიატ ილიჩა“ 1953 წლამდე იყო 8 000 კვ მეტრი კვალსათბურის ჩარჩო. სკკპ ცკ-ის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შემდეგ იქმნება ახალი სასათბურო-კვალსათბური კომბინატები, ბევრ კოლმეურნეობაში წარმოებს კვალსათბურებისა და სათბურების გაძლიერებული მშენებლობა.

ნაკელით გათბობა ბევრ მუშახელსა და ძალას მოითხოვს. ერთ-ერთ მის არსებით ნაკლს წარმოადგენს ნაკელის წვის პროცესის მართვის შეუძლებლობა. ნაკელის ჩაყრისას ჩვეულებრივ აღვილი აქვს სითბოს სიჭარბეს, რომელიც მავნეა მცენარეებისათვის, დასასრულში კი — სითბოს ნაკლებობა იწვევს ნარგავების გაყინვას. გათბობის ელექტრული საშუალებები თავისუფალია ამ ნაკლოვანებებისაგან. ტეპ-

პერატურა კვალსათბურები შეიძლება სავსებით ზუსტად რეგულდებოდეს და ამასთან — ავტომატურად.

1928—1929 წლებში პირველ სამეცნიერო კვალსათბურების ლაბორატორიაში სოფლის მეურნეობაში გამოიყენებისათვის დუბროვიცაში (პოლოსკთან) შემუშავებულ იქნა კვალსათბურების გათბობის ორი საშუალება: „თბური“ კაბელითა და ფოლადის სადენით, რომელიც რკინის მილშია გაჭიმული და მილისაგან იზოლირებულია მინის ან კერამიკული მძივებით. თბური კაბელი პირველად გამოუშვა ლენინგრადის კაბელების ქარხანამ. ჩვეულებრივი კაბელები სპილენძის ძარღვისაგან მზადდება, რათა შეამცირონ კაბელის აქტიური (ომური) წინაღობა და, მაშასადამე, შეამცირონ გახურება, როცა მასში დენს გაატარებენ. თბური კაბელი, პირიქით, უნდა ათბობდეს ნიადაგს, ამიტომ ის კეთდება მაღალომური მასალისაგან. ლენინგრადის კაბელში ძარღვი ნიკელისაგან კეთდებოდა.

ფოლადის მავთულით გათბობას რიგი თავისებური უპირატესობა ჰქონდა. ცვლადი დენი, მიედინებოდა რა ფოლადის სადენით, რკინის მილში ქმნიდა ცვლად მაგნიტურ ველს. ცვლადი ველის მოქმედებით მილის კედლებში წარმოიქმნებოდა ელექტრული დენები, რომლებიც ათბობდნენ რკინის მილს. ასეთი სისტემა სრულიად უსაფრთხოა შეხების თვალსაზრისით და დაცულია დაზიანებისაგან, რაც მას შეიძლება ბარმა ან სხვა იარაღმა მიაყენოს ნიადაგის დამუშავებისას.

უკანასკნელ დროს ყურადღება მიიქცია უშუალოდ დედამიწის ფენიდან კვალსათბურები ელექტრული დენის გატარების გზით გათბობის ხერხმა, რომელიც წამოყენებულია ინჟინერ ხ. ა. ესიევის მიერ. ამ ხერხის დიდ ღირსებას წარმოადგენს ის, რომ დენი, გადის რა დედამიწის ფენით კვალსათბურები, ათბობს ამ ფენას ამა თუ იმ გამთბობი ელემენტების გამოუყენებლად. ამ მეთოდის ნაკლია — კვალსათბურები მომუშავების დენით დაშავების საშიშროება. ინჟინერი ესიევი რჩევას იძლევა ძაბვა ქსელში ტრანსფორმატორების დახმარებით დაწეულ იქნეს 50 ვოლტამდე. მაგრამ ამ ძაბვის პირობებშიც რჩება დენით დაშავების შესაძლებლობა.

სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციაში „შორეული დამიზნების“ პრობლემებიც არის. ეს არის მაღალი სიხშირეების გამოყენება ეგრეთ წოდებული ღიელექტრული გათბობისა და სხვადასხვა ბოსტნეულის, ხილის და ჩარის ხმობისათვის.

მაღალი სიხშირის დენით ხმობის პროცესი შემდეგნაირად წარმოებს. ელექტრული კონდენსატორის შემონაფენებს შორის ათავსებენ ბოსტნეულს, მარცვლეულს, ხილს ან პარკს — ყველაფერს, რაც საჭიროებს გახმობას. კონდენსატორების შემონაფენები ჩაირთვება რხევით კონტრულში და მათ შორის წარმოიქმნება მაღალი სიხშირის ელექტრული ველი. ეს ელექტრული ველი გამსჭვალავს კონდენსატორში მოთავსებულ მარცვალს ან ხილს და იწვევს გათბობას მათში მოთავსებული მასალის მთელ სიზ-

რქებე. თუ მასალა ერთგვაროვანია, მაშინ იგი თანაბრად თბება მთელ სიზრქეზე. არაერთგვაროვანი მასალა მეტად თბება იმ ადგილებში, სადაც ტენი უფრო მეტია ან, როგორც იტყვიან, წარმოიშვება „სელექტური“ გახურება. ასეთ გახურებას იყენებენ მარცვლის დეზინსექციისათვის; მარცვალზე უფრო ტენიანი ბეღლის მავნებლები სწრაფად ხურდებიან და იღუპებიან, რადგან მარცვალი უფრო სუსტად თბება. ხილის, პარკისა და ჩაის მაღალი სიხშირის დენით შრობა უფრო ხელსაყრელი აღმოჩნდა, ვიდრე სხვა ხერხები. პროდუქტის ხარისხი და ვიტამინების შენახვა ხილში ასეთი შრობის დროს უაღრესად მაღალი ხარისხითაა უზრუნველყოფილი.


მაღალი სიხშირის დენით თბობა გამოყენებას პოვებს სოფლის მეურნეობაში და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის დროს. ვინაიდან მაღალი სიხშირის დანადგარების მომსახურებისათვის მაღალკვალიფიციური პერსონალია საჭირო, ყველაზე უფრო რაციონალური იქნება ერთსა და იმავე დანადგარზე სრულდებოდეს მთელი კომპლექსი მუშაობისა, რაც საჭიროა როგორც მემცნარეებისათვის, ისე სახელოსნოების მუშაკთათვის.

### უფრო სრულად და ფართოდ გამოვიყენოთ ელექტრობა

ამჟამად ელექტროსადგურებისა და ქვესადგურების სიმძლავრე მხოლოდ სოფლის მეურნეობაში ბევრად აღემატება რევოლუციამდელი რუსეთის ყველა ელექტროსადგურის — საქართვო და საზოგადოებრივის — მთელ სიმძლავრეს. ორ უახლოეს წელიწადში გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობის ელექტროფიკის ტემპების შემდგომი მკვეთრი გადიდება, განსაკუთრებით მეცხოველეობასა და მებოსტნეობაში. სასოფლო ელექტროფიკის გიგანტური მასშტაბების შესახებ მსჯელობა შეიძლება იმის მიხედვით, რომ მარტო მეცხოველეობისა და მტსების საჭიროებისათვის უახლოეს ორ წელიწადში საჭირო იქნება 210 ათასი ელექტროძრავი.

მემინდვრეობისათვის შექმნილია ელექტროტრაქტორები და ელექტროკომბაინები, რომლებიც გამოცდას გადიან მტს-ებში — ურალზე, რსფსრ ცენტრალურ ოლქებსა და უკრაინაში შექმნილ სპეციალურ ელექტრო-სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში.

წამოყენებულია ახალი, არაჩვეულებრივად მნიშვნელოვანი ამოცანა — კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საჭარო ქსელის შეცვლა შემსუბუქებული ტიპის კაბელური ქსელით, რომელსაც ქლორვინილის იზოლაცია აქვს. ასეთი კაბელის გაყვანა შესაძლებელი იქნებოდა ტრაქტორის დახმარებით, რომელსაც თან მიაქვს განსაკუთრებული ფორმის ჩამთესი. უკანასკნელი მიწის ქვეშ აკეთებს რაღაც მილის მაგვარს, — ძალიან მკვრივი კედლებით.



ნახ. 5. აბრეშუმის პარკის (B) ავტომატურად დახარისხება ფოტოელემენტით (2). ევარცის ლამპით (a) მოსხივებული პარკი ფლუორესცირებას იწყებს. ამ ფლუორესცირების ფერი აბრეშუმის ხარისხზეა დამოკიდებული. ამგვარად, მეტად ზუსტად შეიძლება პარკის დახარისხება

ამავდროულად ჩამთესი ამ მილში აწყობს კაბელს ქლორვინილის იზოლიაციით. ამ შემთხვევაში ზედმეტი ხდება მილიონი ბოძები, იზოლატორები, კაცვები და სხვა მასალა. თვით ელექტროფიკის ტემპები მკვეთრად ამაღლდება.

არანაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანაა — სოფლის მეურნეობისათვის გამოვიყენოთ ელექტრობის ყველა შესანიშნავი თვისება. აქამდე გამოუყენებელი რჩებოდა ელექტროსტატიკური ძალები, წარმოქმნილ ნაწილაკებს შორის, რომლებმაც ელექტრული მუხტი შეიძინეს. თუ მუხტები ერთნაირია, ეს ნაწილაკები განიბიძებება. თუ მუხტები სხვადასხვა ნიშნისაა (დადებითით და უარყოფითით) — ისინი მიიზიდება.

ელექტროსტატიკური ძალები შეიძლება და საჭიროა გამოვიყენოთ სხვადასხვა ტექნოლოგიურ პროცესებში, მაგალითად, თესლის გაწმენდისა და სეპარაციისათვის, მცენარეთა მოსხურებისა და იმ შხამიანი ნივთიერებების დალექვისას, რომლებიც მცენარეთა მავნებლებისაგან დასაცავად თვითმფრინავით მოიფრქვევა. წარმოიდგინეთ, რომ შხამიანი მტვრის ნაწილაკები მოფრქვევისას დადებით ელექტრულ მუხტს იძენენ მაღალვოლტიანი დანადგარიდან და მხედველობაში მიიღეთ, რომ მცენარეებს დედამიწაზე ჩვეულებრივ უარყოფითი მუხტი აქვთ. მაშინ შხამის დამუხტული ნაწილაკები დიდი რაოდენობით დაიღებება მცენარეებზე. ეს ძვირი შხამიანი ნივთიერებების მნიშვნელოვან ეკონომიას მოგვცემდა.

ჯერჯერობით ეს მხოლოდ ვარაუდია, მაგრამ, ეჭვს გარეშეა, რომ თეორიული შესაძლებლობა მათი განხორციელებისათვის არსებობს.

ამჟამად სოფლის ელექტროფიკატორების წინაშე დგას ამოცანა — ფართოდ დანერგონ მეცნიერების მიღწევები სოფლის მეურნეობაში.

(ტეხნიკა მოლოდენი)

# კართლის სხვლის ასალი ტექნიკა

რედაქცია  
მეცნიერება

## სიმონ ღოგიაშვილი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერება-მედვინეობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის დადგენილება ძირითად ამოცანად ისახავს სასურსათო და სამრეწველო საქონლის წარმოების თვალსაჩინო გადიდებას. კერძოდ, მეცნიერებაში იგი გვავალებს ხუთწლედის მანძილზე 50 % -ით გადიდეს ვენახის ფართობი, ხოლო ყურძნის წარმოების პროდუქცია — 60 % -ით.

დღითი დღე იზრდება საქართველოში ვენახების ფართობი, მან უკვე ბევრად გადაჭარბა რევოლუციამდელ დონეს. უფრო მეტად და სწრაფად იზრდება მოსავლიანობა. თუ ძველად ჰექტარზე 400—500 ფუთი ყურძნი დიდ მოსავლად ითვლებოდა, დღეს ბევრია მეურნეობები, რომელთა მოსავალი 1 000 ფუთს აჭარბებს.

იმ აგროლონისძიებათა შორის, რომლებიც ხელს უწყობენ ვენახის მოსავლიანობის მკვეთრად გადიდებას, უდიდეს როლს თამაშობს ვაზის გასხვლა-ფორმირება. იგი მიზნად ისახავს მიმდინარე წლის მაღალი მოსავლის მიღებასთან ერთად, ძლიერი და მომწიფებული ნაზარდის განვითარებას მომავალ წელს უფრო მაღალი მოსავლის მისაღებად.

გასხვლის ამა თუ იმ სისტემის შემუშავებას საფუძვლად უნდა დაედოს ვაზის ჯიშის ფიზიოლოგიური და ბიოლოგიური თვისებები. ამასთან ერთად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი ზრდა-განვითარების პირობები (ნიადაგი, ჰავა, კვების არე და სხვ.).

გასხვლის სხვადასხვა წესებს შორის დღემდე დიდად გავრცელებულია ვაზის ქართული ცალმხრივი და ორმხრივი წესით ფორმირება, რომელსაც შერეული სხვლა ახასიათებს. ამ დროს ვაზზე ტოვებენ 2—4 რქას, რომელთაგან ზოგი გრძლად — სანაყოფები ისხვლება და ზოგი მოკლედ — სამამულები. რქების სხვადასხვა სიძლიერით დატვირთვა (2—10 კვირტი) და მდებარეობა უზრუნველყოფს მიმდინარე წელს მაღალ მოსავალს სანაყოფები, ხოლო მომავალი წლისათვის — ძლიერი რქების განვითარებას სამამულები. უკანასკნელი გარემოება იმით აიხსნება, რომ სამამულე რქა სანაყოფები დაბლა იტოვება, რაც მას ფესვთა სისტემასთან — აღმავალ დენთან აახლოებს და გამტარი ქსოვილების თანაბრობის გამო, მისი თითოეული რქა უფრო მეტი საკვებით სარგებლობს, ვიდრე სანაყოფები.

მიუხედავად ამ დადებითი მხარისა, შერეულ

სხვლას ზოგიერთი უარყოფითი თვისებებიც აქვს, რაც ძირითადად იმაში გამოიხატება, რომ გასხვლის დროს სანაყოფე რქის მოჭრით, რომელიც სამწლიანია, ვაზზე დიდი ჭრილობა რჩება. ზოგი სპეციალისტი იმ აზრსაც იზიარებს, რომ მოკლე სამამულე რქების დატოვება ამცირებს ვაზის მოსავლიანობას. ამის გამო სამამულე რქების საჭიროებას სათუოდ ხდიან. ჩვენი აზრით, ქართული ცალმხრივი და ორმხრივი წესით ფორმირების უარყოფითი მხარე შერეული სხვლის წესი კი არ არის, არამედ მისი მუდმივი ერთი შტამბი, სანაყოფე და სამამულე რქების თანაბარი რაოდენობა და გადიდებულ (3 კვ. მეტრი) კვების არეზე მისი მცირე (15—20 კვირტი) დატვირთვა.

ამ საკითხების ირგვლივ ჩვენ მიერ ჩატარებულია ცდები, რომლის ზოგიერთი შედეგები გვინდა მკითხველს გავუზიაროთ.

ვაზის სხვადასხვა ფორმისა და დატვირთვის დროს შესწავლილი იყო რქაწითელის ჯიშზე სამამულები და სანაყოფები დატოვებული რქების განვითარება და შემდეგი სურათი მივიღეთ:

ფორმის დასახელება და კვირტების რაოდენობა	რქის სიგრძე		რქის დიამეტრი	
	საზოგადო	სამამულე	საზოგადო	სამამულე
ქართ. ცალმხრივი 12 კვირტი	110,3	171,0	5,6	6,7
ქართ. ორმხრივი 24 "	98,5	125,0	5,0	5,8
რუაიას კორდონი 44 "	89,5	111,5	5,0	5,8
კაზენავას კორდონი 54 "	61,3	90,3	4,4	5,2

როგორც ცდის მონაცემები გვიჩვენებს, მიუხედავად ვაზის ფორმირებისა და დატვირთვის სიმცირისა, სამამულები ყველა შემთხვევაში უფრო ძლიერი რქებია განვითარებული, ვიდრე სანაყოფები, რაც ვაზის სიძლიერისა და მაღალი მოსავლის საწინარია.

ამასთან ერთად, ჩვენ მიერ შესწავლილ იქნა სამამულე რქებზე ნაყოფისა და ნამხარის გავლენა. ამ მიზნით სამამულეს ყლორტებზე შეცვლილ იქნა თანაყვავილი მათი გამოჩენის მე-5-6 დღესვე. რათა ამ ვაზზე მოსავალი არ შემცირებულიყო, სანაყოფე რქაზე წინასწარ 2 კვირტით მეტი იყო დატოვებული. მათ საკონტროლოდ შესწავლილი იყო ვაზები, რომელთა სამამულე ყლორტებზე თანაყვავებული არ

შეგვიცლია და სანაყოფე გასხლული იყო 10 კვირ-ტზე, ნაცვლად საცდელი ვაზებისა, რომლებიც 12 კვირტზე გაისხლა.


აღრიცხვის შედეგად მიღებულია: საცდელ ვაზ-ზე სამამულე რქის საშუალო სიგრძე 185 სმ და ძირზე საშუალო მოსავალი 2 800 გრ, ხოლო საკონ-ტროლოზე შესაბამისად — 155 სმ და 2 750 გრ მო-სავალი.

ამრიგად, სამამულე ყლორტებზე მოსავლის შეც-ლამ და მის სამაგიეროდ სანაყოფეზე 2 ზედმეტი კვირტის დატოვებამ, გააუმჯობესა როგორც მომა-ვალ წელს საჭირო რქების ზრდა-განვითარება, აგ-რეთვე მოსავალიც გადიდდა.

შემდეგი წლის დაკვირვებამ და აღრიცხვამ გა-მოავლინა, რომ წინა წელს სამამულის ყლორტებზე მტევნებშეცლილ რქებზე კვირტების განვითარება 83%-ს შეადგენდა და 1 ძირის მოსავალი 2531 გრ უდრიდა, ხოლო მის საკონტროლოზე, შესაბამისად კვირტების 75%-ის განვითარება და 2 427 გრ მოსა-ვალი, ე. ი. გაუმჯობესდა კვირტის განვითარების უნარიანობა და გადიდდა მოსავალი.

ნამხარის გავლენას ზამთრის კვირტის განვითა-რებაზე ბევრი მკვლევარი დადებით მოვლენად თვლის. მიუხედავად ამისა, მას ხშირად ყველა შემ-თხვევაში აცლიან. ჩვენი დაკვირვებებით, ნამხარის ყველა შემთხვევაში ძირში შეცლა არასწორია ვა-ზის საერთო განვითარების და მოსავლიანობის თვალსაზრისით. ვაზის ბიოლოგიის საკითხებისადმი ასეთი მექანიკური მიღვომა უნდა უარვყოთ და, პი-რიქით, ზოგიერთ შემთხვევაში, მისი მდგომარეობი-სა და ცალკეული რქების დანიშნულების მიხედვით, კიდეც უნდა გავაძლიეროთ საასიმილაციო ფართობი ნამხერევების დატოვებით. მით უმეტეს, რომ ზოგი-ერთ მკვლევართა დასკვნით, ნამხარის ფოტოსინთე-ზური აქტივობა 3—7-ჯერ, ხოლო ტრანსპირაცია 2-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე ძირითადი ყლორტის ფოთლებისა, რასაც დადებითად შეუძლია იმოქმე-დოს ნახშირწყლების ცვლაზე და აქედან — ყლორ-ტის უკეთ განვითარებაზე.

ნამხარის გავლენის შესასწავლად, სამამულის ყლორტებზე მისი განვითარება ხელოვნურად გამო-ვიწვიეთ. ამ მიზნით, როგორც კი ყლორტმა 14—15 ფოთოლი განავითარა, წავაწყვიტეთ ნაზარდი 10—12 ფოთლის — კვირტის დატოვებით, რამაც 70—80 %




თვისუფალი სხვლის წესით ფორმირებული ვაზი

ფოთლის იღლიაში ნამხარი გამოიწვია. აგვისტოს პირველ რიცხვებში, ნამხერევებს წვერი წაგაწყვიტეთ ზრდადაუსრულებელი ფოთლებით. ნამხერევების რქების შემდეგ წელში სანაყოფედ დატოვებამ, ვა-აუმჯობესა როგორც კვირტის განვითარება, აგრეთ-ვე მოსავალიც გაადიდა და შემდეგი სურათი მივი-ღეთ: საცდელი ვაზების სანაყოფე რქაზე კვირტის განვითარება — 82,2%-ს შეადგენდა, მსხმოიარე ყლორტები ძირზე — 8,5, მტევნის საშუალო წონა — 219 გრ, მოსავალი ძირზე — 2 638 გრ, მაშინ, რო-დესაც საკონტროლოზე (უნამხევო სანაყოფი რქე-ბი) შესაბამისად მიღებულია — კვირტის განვითა-რება — 75%, მსხმოიარე ყლორტები — 7,8, მტევ-ნის წონა — 204 გრ და მოსავალი ძირზე — 2 447 გრ. ამრიგად, ვაზის საერთო სიძლიერესთან ერთად საცდელი ვაზების მოსავალი 7,7%-ით გაიზარდა.

მიუხედავად აღწერილი დადებითი მხარეებისა, ნამხარი, ზოგ შემთხვევაში, უარყოფით მოქმედებას ახდენს. ასე, მაგალითად, მისი ძლიერი ზრდის გამო ვაზი იბურება, ამასთანავე ნამხარის ფოთოლი, ვიდ-რე ნორმალურ სიდიდეს მიაღწევდეს, ზედმეტად ხარჯავს საკვებსა და წყალს და ყოველივე ეს უარყო-ფითად მოქმედებს როგორც ცალკეული ყლორტების განვითარებაზე, აგრეთვე ნორმალურ დაყვავილება-ზე. ამისდა მიხედვით, თუ ნამხარი საჭირო არ არის იმავ წელს მოსავლის მისაღებად, ანდა შემდეგში ვაზის სხვლის ელემენტებისათვის სანაყოფე რქაზე, რაც იგი ადრე შეეცლება, ისა ჯობია, ხოლო სამა-მულეს ყლორტებზე, არამცთუ უნდა შევინარჩუ-ნოთ, არამედ ხელოვნურადაც შევუწყოთ ხელი მათ განვითარებას.

ქართული სხვლის ერთ-ერთ უარყოფით მხარედ მისი მუდმივი შტამბი დავასახელეთ და, მართლაც. როგორც დაკვირვება გვიჩვენებს, სანაყოფე რქების მოსავლიანობა მით უფრო მცირეა (მსხმოიარობის კოეფიციენტი, მტევნის წონა), რაც იგი ხნოვანი შტამბის დიდ ნაწილს შეიცავს, მით უმეტეს, თუ იგი დაკოურებული და დაფუტურავებულია. ამ მიზნით ჩვენ მიერ შესწავლილია მსხმოიარობა ერთი და იგი-ვე ვაზზე შტამბის ძირზე ამონაყარი და მის წვერ-ში განვითარებული სანაყოფე რქებისა.

შესწავლილი იყო რქაწითელის ჯიშის 100 ძირი ვაზი, რომელთა შტამბი 50—55 სმ სიმაღლეზე 18—20 წელზე ნაკლები ხნოვანების არ იყო, ვაზი ნასხ-ლავი იყო ქართული ცალმხრივი და ორმხრივი წე-სით და ამასთანავე სანაყოფე რქები დატოვებული ჰქონდა შტამბის ძირზე (10—20 სმ სიმაღლეზე დე-დამიწის ზედაპირიდან) წინა წლის ამონაყარზე. სა-ნაყოფე რქების თანაბარი დატვირთვის (8—10 კვირტი) შემთხვევაში, შტამბის ძირზე ამონაყარის მტევნის საშუალო წონა 157 გრამს შეადგენდა და მსხმოიარობის კოეფიციენტი 1.49-ს, მთლიანი რქის საშუალო მოსავალი 2 105 გრ, ხოლო შტამბის წვე-რის სანაყოფე რქებზე მტევნის საშუალო წონა 149 გრამს შეადგენდა, მსხმოიარობის კოეფიციენტი 1.12 და რქის მოსავლის საშუალო წონა 1 502 გრ უდრი-



თავისუფალი სხვლის წესით ფორმირებული ვაზის მსხმოიარობა:

და, ე. ი. მოსავლის მატება პირველ შემთხვევაში 39 % შეადგენს. ამრიგად დადასტურდა, რომ განახლებული შტამბის ჩერები უფრო მაღალმოსავლიანია, ვიდრე ძველი შტამბისა. მოსავლის ასეთი სხვაობა იმით აიხსნება, რომ დაკოურებული და მით უმეტეს დაფუტურავებული შტამბი აძნელებს წვენის მოძრაობას, საკმარისად ვერ აწვდის საკვებს რქას და ნაყოფს, რაც უარყოფითად მოქმედებს როგორც მსხმოიარობის კოეფიციენტზე, აგრეთვე საერთო მოსავლიანობაზე.

ჩვენს მიერ საქართველოს სხვადასხვა ეკოლოგიურ პირობებში გამოცდილი შერეული სხვლის ფორმებიდან ყურადღებას იმსახურებს თავისუფალი სხვლა, რომელიც წარმოადგენს მრავალშტამბიან (3—5) ფორმას, 35—40 კვირტის დატვირთვით. სხვა ფორმებისაგან იგი იმით განსხვავდება, რომ მისი ყოველწლიური დატვირთვა ვაზის სიძლიერით განისაზღვრება და, თუ პირველ წლებში ვაზი საშუალოდ 40 კვირტზე ისხვლება, შემდეგში შეიძლება 70—80 კვირტზე გაისხლას, თუ კი სხვა პირობები (კვების არე, მოწინავე აგროლონისძიებათა გამოყენება და სხვ.) ამის საშუალებას მოგვცემს. ამასთანავე თავისუფალი სხვლა არ არის ყალიბური სხვლა და ყოველწლიურად წინა წლის დამოუკიდებლივ შეიძლება ჩატარდეს. მას, მართალია, შერეული სხვლა ახასიათებს, მაგრამ მის მომავალი წლის დატვირთვას 2 კვირტზე სამამულედ გასხლული რქები კი არ განსაზღვრავს, როგორც ეს სხვა ფორმების დროს არის მიღებული, არამედ ვაზის საერთო სიძლიერე, რის გამოც დასაშვებია სანაყოფე რქები მიეცეს არა მარტო სამამულებზე, არამედ წარსული წლის სანაყოფეზედაც. სანაყოფე რქები მათი მდებარეობის მიხედვით პირველ ან მეორე მავთულზე მაგრდება, რაც საშუალებას გვაძლევს სავეგეტაციო ნაზარდი შპალერზე უფრო უკეთ გვანაწილოთ. ჩვენს მიერ საქართველოს სხვადასხვა ეკოლოგიურ პირობებში გამოცდა ადასტურებს თავისუფალი სხვლის დიდ უპირატესობას. ასე, მაგალითად, 1953 წ. ყვარლის საბჭოთა მეურნეობაში (ყვარლის რაიონი), საცდელ ნაკვეთზე ქართული ორმხრივი წესით ფორმი-

რებული ვაზის თითოეულ ჰექტარზე მიღებულია 102 ცნ ყურძენი, ხოლო თავისუფალი წესით ფორმირებულიდან — 126 ცნ; წინანდლის საბჭოთა მეურნეობაში (თელავის რაიონი) შესაბამისად 81 ცნ ტნებულის ნაცვლად — 98 ცნ; ს. ახმეტის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობაში (ახმეტის რაიონი) 65 ცნ ტნერის ნაცვლად — 99 ცნ და სხვ.

საგულისხმოა, რომ აღნიშნული წესით ვაზის ფორმირების შედეგად მაღალი მოსავალი მარტო საცდელ ნაკვეთებზე კი არ არის მიღებული, არამედ ბევრ მეურნეობაში და საბრიგადო და მერგოლურთა ნაკვეთებზე. მაგალითად, ყულარის საბჭოთა მეურნეობაში (მარნეულის რაიონი) 143 ჰექტარ ფართობზე საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 134,8 ცნ, ბალღოჯიანის კოლმეურნეობაში (ყვარლის რაიონი) — 136 ცნ. ს. ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში (გურჯაანის რ-ნი) ბრიგადირ გ. კუტიბაშვილის მიერ მიღებულია — 144 ცნ ყურძენი ჰექტარზე, ხოლო მერგოლურმა ს. ბოჭორიძემ (წითელწყაროს რაიონი, ს. ზემო მაჩხანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა) რგოლისათვის მიჩნეულ თითოეულ ჰექტარზე 200 ცნ ტნერი ყურძენი მოიყვანა.

წარსულ წელს მიღებული მოსავლის შედეგებიდან მსგავსი მაგალითები ბევრი შეიძლება დავასახელოთ. თავისუფალი სხვლის ფორმა ყოველწლიურად მეტ ყურადღებას იმსახურებს და საქართველოს მევენახეობაში ძირითად ფორმად ხდება. ჩვენს ამოცანას შეადგენს ასეთი წესით გასხვლასთან ერთად ფართოდ დავნერგოთ სხვა მოწინავე აგროლონისძიებანიც (სასუქების გამოყენება, ნიადაგის სწორი და დროული დამუშავება, ვაზის მწვანე ოპერაციები და სხვ.), რაც ხელს შეუწყობს ვაზის სავეგეტაციო ნაზარდის უფრო გაძლიერებას, უკანასკნელი კი — ვაზის დატვირთვის გადიდებას, რითაც ყოველწლიურად მაღალ და მზარდ მოსავალს მივაღწევთ.

მოყვანილ დაკვირვებათა საფუძველზე დავასკვნით: ფართოდ უნდა დაინერგოს სხვლის თავისუფალი ფორმა შერეული წესის გამოყენებით და, რათა იგი არ გადაიქცეს ჩვეულებრივ ყალიბურ ფორმად, სამამულე რქები უფრო ნაკლები უნდა იტოვებოდეს, ვიდრე სანაყოფე. სანაყოფე რქები შეირჩეს არა მხოლოდ სამამულეზე, არამედ სანაყოფეზედაც. ამ ფორმას უნდა ახასიათებდეს ძირიდანვე გაყოფილი 3—5 შტამბი, რომლებიც 5—7 წლში ერთხელ უნდა ახლდებოდეს. მოსავლის გასაღიდებლად ვაზის დატვირთვა უნდა გაძლიერდეს სანაყოფე რქებზე, ხოლო სამამულე რქაზე მტევანი ყვავილობამდე შეეცალოს, რათა ძლიერი ნაზარდი განვითაროს.

სამამულე ყლორტების ნაყოფიერების გასაღიდებლად უნდა გამოვიწვიოთ მათზე ნამხარის განვითარება, რისთვისაც ყლორტებზე 13—14 ფოთლიანი ნაზარდის განვითარებისას წვერი უნდა წავაწყვიტოთ 11—12 ფოთლის დატოვებით. ყლორტებზე განვითარებულ ნამხარზე აგვისტოს პირველ ნახევარში წავაწყვიტოთ წვერი 5—6 ზრდადასრულებული ფოთლის დატოვებით.

# გონის ლინარი



აღმასახლე გენერალი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი

1947 წლის სექტემბერში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის მიერ მოწყობილ დუშეთის გეოფიზიკურ სადგურში დაიწყო ე. წ. მიწის ანუ, როგორც წინათ ეძახდნენ, ტელურული დენების სისტემატური შესწავლა. ამ წერილში ჩვენ გვინდა პკითხველს მოკლედ გავაცნოთ ამ დენების ბუნება, მათი გამოვლინება მიწის ზედაპირზე და ის მნიშვნელობა, რაც მათ შეიძლება მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობისათვის ჰქონდეთ.

დაკვირვებებით ცნობილია, რომ მიწის ქერქში ყველგან მოძრაობს სუსტი ძალის ელექტროდენი. ეს დენი მეტად რთული წარმოშობისაა. ქალაქ ადგილებში, ე. ი. იქ, სადაც ცოტად თუ ბევრად მძლავრი ელექტროდანადგარები გვაქვს, მიწაში მოძრაობენ ე. წ. მოხეტიალე დენები, რომელიც ხელოვნური დენის წყაროსაგან წარმოიშვებიან. მაგრამ ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა ეს დენები, არამედ ბუნებრივი წარმოშობის ელექტრომამოძრავებელი ძალები, რომელიც ყოველთვის შეიმჩნევიან დედამიწის ყოველ წერტილში.

მიწის ბუნებრივი დენები პირველად შემჩნეული და ექსპერიმენტულად გაზომილ იქნა ინგლისში რ. ფოქსის მიერ 1830 წელს. მან შეამჩნია, რომ კორნუელის პოლიმეტალური საბადოს მიღამოებში მიწაში მოძრაობს ლოკალური სახის ელექტროდენი, რომელიც თავისი წარმოშობით მადნეულ სხეულთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. უფრო გვიან ეს დენები დეტალურად იქნა შესწავლილი და აღმოჩნდა, რომ პოლიმეტალურ საბადოებს, მართლაც, ახასიათებენ ე. წ. ბუნებრივი ელექტრომამოძრავებელი ძალები, რომელიც ელექტროქიმიური პროცესების შედეგად მაღნეულის შემადგენელი მეტალების დაუანგვით წარმოიშვებიან. ეს გარემოება შემდეგში საფუძვლად დაედო ელექტროძიების ერთ-ერთ მეთოდს — ე. წ. ბუნებრივი ველის მეთოდს, რომლის თეორიული დასაბუთება და პრაქტიკაში დანერგვა რუს მეცნიერს ა. პეტროვსკის ეკუთვნის.

მაგრამ ამ დენს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლოკალური, ე. ი. ადგილობრივი ხასიათი აქვს და უშუალოდ დაკავშირებულია მაღნეულის საბადოსთან. შემდეგში შემჩნეულ იქნა, რომ ტელეგრაფის ხაზებში დროდადრო წარმოიშვებიან საჭმალ

მძლავრი ელექტრომამოძრავებელი ძალები. შემჩნეულ იქნა აგრეთვე, რომ ელექტრომამოძრავებელი ძალები, როგორც წესი, წარმოიქმნებიან მაშინ, როდესაც მაგნიტურ სადგურებში ე. წ. მაგნიტურ ლელვებს აქვს ადგილი. ამგვარად, აღმოჩნდილ იქნა ე. წ. რეგიონალური ელექტროდენები, რომელიც დაუკავშირდნენ მაგნიტურ მოვლენებს. სწორედ ამ დენებს აქვს რეგიონალური ხასიათი და მათ ახასიათებს არასტაციონარული რეჟიმი, ე. ი. ცვალებადობა დროის განმავლობაში. უკვე ას წელზე მეტია მეცნიერება შეისწავლის ამ მოვლენას, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ მისი ბუნებისა და წარმოშობის მიზეზების შესახებ ჩვენ ზუსტად დადგენილი თეორია არ მოგვეპოვება. ამ დენების შესწავლა გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მრავალ ქვეყანაში წარმოებდა. მაგრამ მათზე დაკვირვებებს იმდენად დიდი ცდომილებანი ახასიათებდა, რომ მრავალი დაკვირვება მოკლებული იყო მეცნიერულ ინტერესს. ყოველ შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ ეს დენები არა მარტო დედამიწის მაგნიტიზმს, არამედ მრავალ სხვა მოვლენასაც უკრვშირდება და სხვადასხვა მიზეზებით გამოწვეული მდგენელების ერთმანეთისაგან გამოყოფა მეცნიერებისათვის მეტად საძნელო შეიქნა. ამასთან თვით გაზომვების მეთოდიკა არ იძლეოდა ზუსტი მეცნიერული კვლევის უზრუნველყოფის საშუალებას. მაგალითად, მიწის დენის გაზომვა ჩვეულებრივ წარმოებდა ტელეგრაფის ხაზებში ან დედამიწის ორ წერტილში ჩამიწებულ მეტალურ ელექტროდებს შორის. მაგრამ, როგორც ამჟამად კარგადაა ცნობილი, ორი მეტალური ელექტროდი მიწასთან შეხების დროს თვით წარმოშობს ელექტრომამოძრავებელ ძალებს — ე. წ. პოლარიზაციის დენს, რომელიც მიწის დენებთან სრულიად შესაძარისი სიღილისა არის, მათ ემატება ან გამოაკლდება და, ამგვარად, იმ სიღილის გაზომვის საშუალებას არ იძლევა, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს. საჭირო შეიქნა შემუშავებული ყოფილიყო ისეთი კონსტრუქციის ელექტროდები, რომელიც პოლარიზაციის დენს ან სრულიად არ წარმოშობდნენ ან ეს დენი მეტად მცირე სიღილისა იქნებოდა. ისეთი ელექტროდები, რომელიც პოლარიზაციას სრულიად არ ქმნიან, დღემდე არ არსებობენ, მაგრამ უკვე არიან ისეთნი, რომელიც მეტად მცირე სიღილის პოლარიზაციის დენს წარმოშენენ.

ამ მიზეზების გამო გასული საუკუნის ოთხ-მოციან წლებამდე მიწის დენების გამოკვლევა ისეთი მეთოდებით წარმოებდა, რომ მიღებული შედეგები, მათი მეცნიერული ღირებულების თვალსაზრისით, დიდ ეჭვებს იშვევენ. ოთხმოციან წლებში ჩატარებულ ქნა რიგი დაკვირვებები, რომელიც მტკიცე მეცნიერულ ბაზას ეძყარებოდნენ და მათი შედეგებიც საიმედოა. ამ დაკვირვებებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია პავლოვსკის ობსერვატორიის დაკვირვებანი (ვილდი), ვაინეშტეინის დაკვირვებანი გერმანიაში, ერისა — იიგლისი და გაძოკვლევანი რუსი მეცნიერის ბახმერიევისა.

მოკლედ შევჩერდეთ იმ შედეგებზე, რომელიც პავლოვსკის ობსერვატორიაში და ბახმეტიევის მიერ იქნა მიღებული. პავლოვსკის ობსერვატორიაში ჩატარებულ დაკვირვებათა შედეგად დადგენილ იქნა შეძლები:

თუ ელექტროდებს შორის მანძილი 1 კილომეტრს უდრის, მიწის დენების მიერ გამოწვეულ პოტენციალთა სხვაობა 0,001 ვოლტს შეადგენს მაგნიტურად წყნარ პირობებში და 0,05 ვოლტს — მაგნიტური შეშფოთებების დროს. ელექტროდების საკუთარი ელექტრომაზონრავებელი ძალა დროის განხავლობაში მუდმივ სიდიდეს აღწევს და შესაძლებელია და საჭიროა მისი გამორიცხვა შილებული შედეგებიდან. ელექტროდებს შორის მანძილის გადიდებასთან ერთად მათი საკუთარი ელექტრომაზონრავებელი ძალის შედარებითი მნიშვნელობა მცირდება.

დენებს, რომელთაც ჩვენ მაგნიტურად წყნარ პერიოდში ვაკვირდებით, საკმაოდ ბუდმივი ხასიათი აქვთ და გარკვეული დღელამური სვლა ახასიათებით. პავლოვსკში მიწის დენები, ვილდის დაკვირვებით, სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ იყვნენ მიმართული. მიწის დენები გარკვეული სახით უკავშირდებიან დედამიწის მაგნიტურ ელემენტებს. სახელდობრ, მიწის დენების აღმოსავლეთ-დასავლეთის მდგრენლი შეესაბამება მაგნიტური ველის პორიზონტულ მდგრენელს, ხოლო ჩრდილოეთ-სამხრეთის მდგრენელი — მაგნიტური დეკლინაციას. ეს პარალელიზმი განსაკუთრებით ცხადად არის გამოხატული მაგნიტური ღელვის დროს. მიწის დენების ორივე მდგრენელს (აღმოსავლეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთისა) დღე-ღამის განმავლობაში გარკვეული მაქსიმუმი და მინიმუმი ახასიათებს. EW მდგრენელს უფრო დიდი პოტენციალთა სხვაობა ახასიათებს ერთ კილომეტრზე, ვიდრე NS მდგრენელს.

ამის საფუძველზე ვილდის მიერ წამოყენებული იყო მიწის დენების ვარიაციების წარმოშობის თვორია, რომელიც საფუძვლად დაედო ამ დარგ-

ში მემდეგ წამოყენებულ თითქმის ყველა თეორიას. ამ თეორიის თანახმად მიწის დენებისა და მაგნიტური მოვლენების ვარიაციების გამომწვევი მიზეზი მზის გამოსხივების აქტივობაში უნდა ვეძიოთ.

პროფ. პ. ბახმეტიევის გამოკვლევებს ამ დარგში დიდი მნიშვნელობა აქვს და ეს მნიშვნელობა დღემდე არ არის სათანადოდ შეფასებული. საჭე იმაშია, რომ პროფ. პ. ბახმეტიევის პირველად მიაქცია ყურადღება მთელ რიგ ფაქტორებს, რომელიც შიშის დენების გამოძვევა მიზეზთა რიგს ეკუთვნიან და რომელაც მახამდე ყურადღებას არ აქცევდნენ. პროფ. პ. ბახმეტიევის, დაამტკიცა, რომ მიწის დენები წარმოიშვება ძთელი რიგი მიზეზების გაშო. წირველ რიგში აღსანიშნავია ე. წ. თერმოელექტრული დენები, რომლებიც მიწის სხვადასხვა ადგილას ტემპერატურის სხვაობათა გამო ჩნდება. თერმოელექტრულ დენებს ბახმეტიევი დიდ როლს აკუთვნებდა მიწის დენების წარმოქმნის საქმეში. არა ნაკლებ როლს ამ მხრივ თამაშობენ ე. წ. მიწის გაუონვის დენები, რომელიც წარმოიშვებიან ნიადაგში წყლის ჩაუონვის დროს. ამ ორ ფაქტორთან ერთად, რომლებიც, ბახმეტიევის აზრით, უმთავრესი არიან, გარკვეულ როლს თამაშობენ ისეთი მოვლენები, როგორიცაა მთის ქანების გამოფიტვა, მდინარის ან ჰლვის წყლის ხახუნი ნაპირზე, ორგანულ ნივთიერებათა ლპობა, თოვლის მიერ ელექტრომუხტების გადატანა და სხვ., — ყველა ამ მოვლენის ერთობლიობა, ბახმეტიევის აზრით, მიწის დენების გარკვეულ სიდიდესა და მიმართულებას გვაძლევს. ამ მოვლენებში უპირველეს როლს თამაშობენ თერმოელექტრული დენები, რომლებიც საბოლოო ანგარიშში მზის აქტივობით აიხსნებიან. ამგვარად, წინათ შემჩნეულმა მოვლენამ მიწის დენების კავშირისა მზის აქტივობასთან, ბახმეტიევის ორორით თავისი ახსნა პოვა. დიდ ინტერესს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ბახმეტიევმა გამოთქვა საყურადღებო აზრი მიწის დენების კავშირის შესახებ მიწისძვრის მოვლენებთან. ეს საკითხი მეტად დიდი ყურადღების ღირსია იმდენად, რამდენადაც მიწის დენები შეიძლება მიწისძვრის წინამორბედი აღმოჩნდნენ და, ამგვარად, საფუძვლად დაედო ამ მოვლენის პროგნოზის საქმეს.

XX საუკუნის დასაწყისიდან მიწის დენებზე სისტემატური დაკვირვებანი წარმოებდა მსოფლიოს მთელ რიგ მაგნიტურ ობსერვატორიებში, ასე რომ, მეტად დიდი მასალა იქნა დაგროვილი; მაგრამ მიწის დენების წარმოშობისა და მათი ბუნების გამოკვლევის საქმემ დიდად ვერ წაიწია წინ,

წამოყენებულია რიგი მოსაზრებანი, რომელიც არ შეიძლება ჯერჯერობით სავსებით დადასტურებულად ჩაითვალონ. ამ მასალის შესწავლას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ მიწის დენებს შემდეგი კანონზომიერებანი ახასიათებს: ცვალებადობა დროის მიხედვით; ამ მხრივ აღსანიშნავია მიწის დენების 11-წლიანი პერიოდულობა, რაც თანხვდება მზის ციკლის პერიოდულობას. გარდა ამისა, მიწის დენებს ახასიათებს წლიური პერიოდი და მინიმუმებისა და მაქსიმუმების ცვალებადობა წელიწადის დროთა მიხედვით. დადგენილია 27 დღის პერიოდულობა მიწის დენების ვარიაციების ამპლიტუდების მაქსიმუმებისათვის. შემჩნეულია, რომ მიწის დენებს დღე-ღამის განმავლობაში (ჩვენს სიგანედზე) ორი მაქსიმუმი და ორი მინიმუმი ახასიათებს.

მიწის დენებს გარკვეული კანონზომიერება ახასიათებს აგრეთვე სივრცეში, მაგალითად, სხვა-დასხვა განედებზე მათ სხვადასხვა მიმართულება და ინტენსივობა აქვს. სხვადასხვა განედებზე ცვლილებებს განიცდის აგრეთვე მიწის დენების დღეღამური და წლიური სვლები.

საბჭოთა კავშირში დაკვირვებანი მიწის დენებზე წარმოებდა 1929—30 წლ. კანდალაშაში, 1938 და 1939 წლებში — მოსკოვის ახლოს, 1946—47 წლებში — მავ ზღვაზე. შემდგომ წლებში სისტემატური დაკვირვებანი წარმოებდა ზურაში, ირკუტსკის მახლობლად, მოსკოვის მაგნიტურ ობსერვატორიაში, მრავალრიცხოვან ელექტროსაძიებო ექსპედიციებში. ფართო მასშტაბით მიწის დენებზე დაკვირვებებს ამჟამად აწარმოებს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკური ინსტიტუტი. ამ სამუშაოების გაშლა საფუძველს იძლევა ვითიქროთ, რომ ჩვენს ქვეყანაში მოხდება ბუნების ამ მოვლენის წარმომადი მიზეზების ზუსტად დადგენა.

აძგვარად, მიწის დენებს მეტად რთული ბუნება ახასიათებს და, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დენებს, რომელიც ხელოვნურ ელექტროდანადგარებს უნდა მივაწეროთ, მათ შექმნაში მონაწილეობას იღებენ შემდეგი მოვლენები:

1. მიწის მაგნიტური ველის ვარიაციები და შეშფოთებანი. ეს კავშირი შემჩნეულია თითქმის ყველა მკვლევარის მიერ. ძნელია თქმა იმისა, რომელი მოვლენა არის პირველადი — მაგნიტური თუ ელექტრული. უფრო მოსალოდნელია ვითიქროთ, რომ ორივე მოვლენას ერთი მიზეზი აქვს და ამ მიზეზს წარმოადგენს მზის მოქმედება. ამგვარად, შეიძლება ვითიქროთ, რომ მიწის დენების ცვალებადი ნაწილი (ვარიაციები) დაკავშირებულია იმ პროცესებთან, რო-

მელთაც ატმოსფეროს ზედა ნაწილებში (იონო-ფეროში) აქვს ადგილი და, ამგვარად, იმავე წარმოშობისა არიან, როგორც მაგნიტური ველის ვარიაციები. ამ პარალელიზმზე მიგვითოვებს ამ ვარიაციათა თანხვდენა დღე-ღამის განმავლობაში და განსაკუთრებით ელექტრული და მაგნიტური შეფოთებების თანხვდენა.

2. თერმოლექტრული პროცესები მიწის ქერქში. ამ მოვლენის როლი საკმაოდ დადასტურებულად შეიძლება ჩაითვალოს. ლითოსფეროს შემადგენელი ქანები არაერთგვაროვნობით ხასიათდება და თერმულ არაერთგვაროვნობას განაპირობებენ, რამაც შეიძლება ელექტრული პროცესების წარმოქმნამდე მიგვიყვანოს.

3. ელექტრომიური პროცესები ები ლითოსფეროში. ეს პროცესები საკმაოინტენსივობით ხასიათდებიან, მაგრამ მათ ლოკალური ხასიათი და არასტაციონარული რეჟიმი ახასიათებს იმ დროს, როდესაც პირველი მიზეზით გამოწვეულ დენებს რეგიონალური ხასიათი აქვს და სტაციონარული რეჟიმი ახასიათებს. ამ პროცესებში აღსანიშნავია ის მოვლენები, რომელიც განსაკუთრებით დაკავშირებული არიან მაღნეული საბადოების დაუანგვასთან, რასაც მივყევართ ასეთ რაიონებში მიწის დენების ანომალიურ გამოვლინებებთან.

4. ელექტროფილტრაციის პროცესები, რაც დაკავშირებულია წყლის ჩაუნვასთან ნიადაგში. ამ მოვლენას უკავშირდება მდინარეების ან ზღვის წყლის ნაპირებთან ხახუნის გამო წარმოშობილი ელექტრომამოძრავებელი ძალები, წვიმის ან თოვლის მოსვლის დროს მიწაში წყალის ჩაუნვის გამო წარმოშობილი დენები და სხვ. ამავე მოვლენასთან არის დაკავშირებული აგრეთვე ატმოსფეროს ნალექების მიერ ელექტრომუხტების გადატანა, რასაც ის ფაქტი ადასტურებს, რომ თოვლის ქარბუქის დროს მიწის დენებს გაზრდის ტენდენცია ახასიათებს.

5. ატმოსფერული ელექტრობის გავლენა, ჭეკა-ჭურის მოვლენა, მოვლენების მოვლენები და სხვ. ეს პროცესები, რომლებიც დაკავშირებულია ატმოსფეროში ელექტრულ პოტენციალთა დიდი სხვაობის წარმოშობასთან, იწვევენ მიწაში დენის ინდუცირებას და, მაშასადამე, მიწის დენების ცვლილებებს.

6. ელექტრული მუხტების გადატანა ჭარის მიერ, რაც აგრეთვე იწვევს ელექტროპოტენციალის ერთგვარ გადანაწილებას მიწის ქერქის ზედა ნაწილში და მიწის დენების ზრდას ან კლებას.

7. მიწის დენების გამომწვევა ან ხელისშემწყობ მიზეზებად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე მიწის ზედაპირზე ორგანულ ნივთიერებათა ლპობის პროცესები, ზღვის მოქცევა. ზოგიერთი ავტორი მიწის ელექტრული ველის ცვლილებას უკავშირებს მიწაში დრეკადი ტალღების გავლას და სხვ.

თავისთვალ ცხადია, ყველა ამ მოვლენას არ აქვს თანაბრად დიდი ხვედრითი წონა მიწის დენების წარმოქმნის პროცესში. გარდა ამისა, კანონზომიერებანი მიწის დენების გამოვლინებაში არ შეიძლება ყველა ზემოაღნიშნული მიზეზებით გამოწვეულ დენებს ახასიათებდეს და, თუ ჩვენ დენების გამოვლინებაში მაინც ვამჩნევთ ერთგვარ კანონზომიერებას (პერიოდულობა, გარკვეული მიმართულება, მაგნიტურ ელემენტებთან თანხვდენა და სხვ.), ეს იმას ნიშნავს, რომ ფაქტორები, რომელთაც რეგიონალური ხასიათი აქვს და იგივე კანონზომიერებას ემორჩილებიან, რასაც მათ მიერ გამოწვეული მოვლენები (პირველი და მეორე ფაქტორი), უპირატეს როლს თამაშობენ მიწის დენების წარმოშობაში.

მიწის დენების შესწავლას დიდი მეცნიერული ინტერესი აქვს. არ არის გამორიცხული ის გარემოება, რომ ამ დენების შექმნაში მონაწილეობას იღებდნენ პროცესები, რომელიც დედამიწის შიგნით მიმდინარეობენ. ასე რომ, ნაწილობრივ ეს დენები წარმოადგენენ სიგნალებს დედამიწის შინაგანი ცხოვრების შესახებ. თუ ეს ასეა, მათ შეუძლიათ დიდი როლი ითამაშონ მიწის შინაგანი ბუნების შესწავლის საქმეში. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იმ კავშირის დადგენა, რომელიც შეიძლება არსებობდეს მიწის დენებსა და მიწისძვრის მოვლენებს შორის. ამ საკითხის შესწავლამ შეიძლება მიწისძვრის დროის პროგნოზის პრობლემის გადაწყვეტამდე მიგვიყვანოს, თუ, ცხადია, შესაძლებელი გახდა ამ კავშირის დადგენა და მისი ხასიათის გამორკვევა. შესწავლას საჭიროებს აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, თუ რა როლს თამაშობენ მიწის დენები დედამიწის მცენარეული საფარის ზრდისა და განვითარების საქმეში. შეიძლება ვითიქროთ, რომ მიწის დენები გარკვეულ როლს ასრულებენ ამ საქმეში და ამ გავლენის ხასიათის შესწავლამ შეიძლება მცენარეული საფარის ზრდასა და განვითარებაზე ერთგვარი გავლენის მოხდენის მეთოდის შემუშავებამდე მიგვიყვანოს.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მიწის დენების შესწავლას გეოლოგიური ძიების საქმეში. გეოფიზიკური ძიების მიწის დენების მეთოდი წარმოადგენს ელექტროძიების ერთ-ერთ სახეობას, რომელიც ჯერჯერობით სრულიად დაუმუშავებელია და მისი შესაძლებლობანი ჯერ გამოვლინებული არ არის. ამ მეთოდის იდეა ჯერ კიდევ ბახმეტივის შრომებში იყო მოცემული ბახმეტივი მიწის დენების გამოყენებით ზომავდა მიწის გარკვეული მოცულობის. ელექტროწინააღმდეგობას. ამგვარად, გავრცელებული შეხედულება, თითქოს ეს მეთოდი ფრანგ გეოფიზიკოს კ. შლიუმბერჟეს აღმოჩინოს, სწორი არ არის. კ. შლიუმბერჟემ მოახდინა ამ მეთოდის გამოყენების რამდენიმე ცდა და ნაწილობრივ დაამუშავა საველე მუშაობის ტექნიკა, ხოლო იდეა მიწის დენების გამოყენებისა მიწის ელექტროწინააღმდეგობათა გასაზომავად პ. ბახმეტივს ეკუთვნის.

მიწის დენების გამოყენება ელექტროძიებაში, ალბათ, შეიძლება ორი გზით წარიმართოს: თვით დენებისა და მათი ვარიაციების შესწავლა და მათი საშუალებით იმ მიზეზების გამოკვლევა, რომელიც მათ წარმოშობენ. ეს მეტად რთული და თითქმის სრულიად შეუსწავლელი პრობლემაა იმდენად, რამდენადაც ამის შესახებ მხოლოდ რამდენიმე თეორიული მოსაზრება არსებობს. მეორე გზა — ეს არის დედამიწის ორ რაიონში მიწის დენების შესწავლის საშუალებით ამ რაიონების ქანების ელექტროწინააღმდეგობათა ან დენის სიმკვრივის განაწილების დადგენა და ამ გზით გეოლოგიური ინტერპრეტაციის მოხდენა. როგორც ქანების ელექტროწინააღმდეგობა, ისე დენის სიმკვრივის განაწილება ცვლილებას განიცდის მიწის ქერქის გეოლოგიური აღნაგობის შესაბამისად. ასეთი სახით ეს მეთოდი რამდენჯერმე იყო გამოყენებული და ლიტერატურაში არის რამდენიმე ცნობა ამის შესახებ, მაგრამ საკითხი სრულიად დაუმუშავებელია, გაზომვების ტექნიკა დადგენილი არ არის და პრობლემის თეორიული მხარეც შესწავლას მოითხოვს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტში წარმოებს მიწის დენების ყოველმხრივი შესწავლა; პარალელურად ხდება მიწის ქერქის რყევების ჩაწერა და მათი შედარება მიწის დენების მოქმედებასთან. წელს გეოლოგიური ძიების მიზნით პირველად ჩატარდება ელექტროული აგეგმვა დიდი მასშტაბით. უნდა ვითიქროთ, რომ ამ საკითხების ყოველმხრივ დამუშავებას ნაყოფიერი შედეგი ექნება როგორც მეცნიერული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.



## ორი ინსტიტუტის გაერთიანებული სამეცნიერო სესია

1954 წლის 24 აპრილიდან 27 აპრილამდე თბილისში მიმღინარეობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო საქმის ინსტიტუტისა და სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის საშენი მასალებისა და ნაგებობათა ინსტიტუტის გაერთიანებული სამეცნიერო სესია.

სესია მიეძღვნა მოძმე რესპუბლიკების აღნიშნულ ინსტიტუტებს შორის მუიდრო შემოქმედებითი კავშირის დამყარებას. სესიაზე მოსმენილ იქნა 16 მოხსენება, რომლებიც სამშენებლო საქმის აქტუალურ პრობლემებს ეხებოდა და მოიცავდა იმ თემატიკას, რაზედაც ორივე ინსტიტუტი უკანასკნელ წლების განმავლობაში მუშაობს.

სესიაზე ნაგებობათა კონსტრუქციების ზოვრული მდგომარეობის მეთოდით გაანგარიშების საკითხებზე წაკითხულ იქნა სამი მოხსენება (მომხსენებლები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი კ. ზავრიევი და ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატები ვ. ფინაჭიანი და ნ. ასკლედიანი).

სესიაზე აღინიშნა, რომ ორივე ინსტიტუტისათვის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას უნდა წარმოადგენდეს ნაგებობათა თეორიის ზოვრული მდგომარეობის მიხედვით გაანგარიშების მეთოდის შემდგომი გაღრმავება და გაუმჯობესება. ეს პროგრესული მეთოდი წარმოადგენს კ. ზავრიევის მიერ 1913 წელს წამოყენებული „კონსტრუქციების მრავევი დატვირთვების მეთოდით გაანგარიშების“ შემდგომ განზოგადებას. ამ მეთოდს დიდი პერსპექტივები აქვს. მისი უპირატესობა ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ იგი სხვა მეთოდებზე უფრო სწორად ასახავს ნაგებობის მუშაობის რეალურ მდგომარეობას.

სესიაზე ხაზი გაესვა სათანადო ექსპერიმენტული მუშაობის ჩატარების აუცილებლობას. ექსპერიმენტულად უნდა დაზუსტდეს პლასტიკურობის თეორიის ძირითადი საკითხები და დადგენილ იქნეს ის კოეფიციენტები, რომლებიც საჭიროა ზოვრული მდგომარეობის მიხედვით ნაგებობათა გაანგარიშებისათვის.

ნაგებობათა დინამიკისა და სეისმომდგრადობის პრობლემებიდან მოსმენილ იქნა ოთხი მოხსენება (მომხსენებლები: სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა. ნაზაროვი და ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატები: გ. ქარცივაძე, შ. ნაფეტვარიძე და ბ. კარაპეტიანი).

ნაგებობათა დინამიკისა და სეისმომდგრადობის საკითხებზე ორივე ინსტიტუტში ჩატარებულია მნიშვნელოვანი თეორიული ხასიათის გამოკვლევები. სესიაზე აღინიშნა, რომ მომავალში ექსპერიმენტული კვლევა უნდა გაძლიერდეს, კერძოდ, შემდგომი განვითარება უნდა პოვოს ნაგებობათა სეისმომდგრადობის შესწავლის. ინსტრუმენტულმა მეთოდებმა. მუშაობა უნდა გაძლიერდეს დარტყმის დინამიკისა და სამშენებლო კონსტრუქციების რხევებით წარმოშობილი შინაგანი ხახუნის საკითხების შემდგომი შესწავლის მიმართულებით.

დრეკადი სისტემების გაანგარიშების მეთოდების შემდგომი გამარტივების საკითხს მიეძღვნა საქართველოს სსრ მეცნი-

ებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფ. გ. მუხაძის მოხსენება. მის მიერ დამუშავებულია უცრი კოცების, ფერმების, ჩარჩოების, საყრდენი კედლებისა და სხვა კონსტრუქციების გაანგარიშების ორიგინალური, მარტივი ხერხები. ამ შრომებს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. სესიამ სამშენებლო საქმის ინსტიტუტს თხოვა უმოკლეს ვადაში გამოაქვეყნოს პროფ. გ. მუხაძის აღნიშნული შრომა.

გარსების მშენებლობის გამოცდილებისა და თეორიის საკითხებზე მოსმენილ იქნა ორი მოხსენება (მომხსენებელი ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ო. თნიაშვილი და პროფესორი ს. ამბარცული მიანანი).

სესიამ მაღალი შეფასება მისცა იმ მუშაობას, რაც სამშენებლო საქმის ინსტიტუტის მიერაა შესრულებული თხელკადლიანი გარსების თეორიის შემდგომი განვითარებისა და ამ კონსტრუქციების პრაქტიკულად განხორციელების დარგში. ქ. თბილისში აგებულია მსუბუქი რკინა-ბეტონის მრავალი თხელკადლიანი დიდმალიანი გარსი, რომელთა პრაქტიკულა განხორციელება ინსტიტუტმა შეძლო სამშენებლო ორგანიზაციებთან შემოქმედებითი თანამეობრობის შედევად.

სესიამ აღნიშნა აგრეთვე მნიშვნელობა პროფ. ს. ამბარცუმიანის კვლევისა, რომელიც გარსების გაანგარიშების მიახლოებითი მეთოდების გამოყენების ზოვრებს ეხება.

სესიამ საჭიროდ ცნო შემდგომი მუშაობა გაიშალოს გარსების მშენებლობაში ინდუსტრიული მეთოდების დანერგვის მიმართულებით.

ბეტონების ტექნოლოგიის საკითხების ირგვლივ მოსმენილ იქნა ორი მოხსენება (მომხსენებლები: ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი მ. სიმონ ვილი და ინე. დ. ლომაძე).

აღსანიშნავია მ. სიმონოვის კვლევის დიდი მნიშვნელობა. მისი მუშაობის მიზანია ბეტონების სხვადასხვა ფაზების ურთიერთმოქმედების შესწავლის საფუძველზე სწორი წარმოდგენის შექმნა ბეტონის დეფორმაციულობისა და სიმტკიცის შესახებ. ინუ. დ. ლომაძის გამოკვლევა მიზნად ისახავს — დაადგინოს დროისა და გარემო პირობების გავლენა მსუბუქი ბეტონის სიმტკიცის ცვალებადობაზე.

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა პროფ. მ. იაკუბოვის სესიას გააცნო მსუბუქი რკინა-ბეტონისაგან ხიდების მშენებლობის მდგომარეობა. დღემდე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განხორციელებულია 15-დე პატარა მალიანი მსუბუქი რკინა-ბეტონის საცდელი ხიდის მშენებლობა. საჭიროა ამ ხიდებისადმი ხანგრძლივი მეთვალყურეობის დაწესება მათი ვარგისობის საბოლოო დადგენის მიზნით.

სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფ. გ. კასიან მარტინის მიუძღვნა ბუნებრივი ქვების კრის დინამიკის საკითხს.

ამ საკითხის აქტუალობა სავსებით გასაგები იქნება, თუ მხედველობაში მივიღებთ საშენი და მოსაპირეთებელი ქვების სიუხვეს როგორც სომხეთში, ისე საქართველოში და იმას, რომ მათ დამუშავებაზე დიდმალი თანხები ისარჩება. სესიამ მაღალი შეფასება მისცა პროფ. გ. კასიანის შრომას და მიზანი.

შეწონილად ცნო ამ მიმართულებით წარმოებული კვლევის გაგრძელება, ხოლო უკვე მიღებული, შედეგების — წარმოებაში დანერგვა.

ქიმიური მრეწველობის ნარჩენებიდან დეკორაციული თეთრი პორტლანდცემენტის მიღების საკითხზე მოხსენება გააკეთა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ლ. ზახაროვმა.

სამშენებლო ქვების შესწავლის საქმეში მათემატიკური სტატისტიკის მეთოდების გამოყენების შესახებ საინტერესო მოხსენებით გამოვიდა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ზ. აცაგორციანი.

სამეცნიერო სესიის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს თბილისის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების მუშავებმა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მეცნიერმა თანამშრომლებმა და წამყვანი სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციების ინიციერ-ტექნიკურმა პერსონალმა.

მოსმენილ მოხსენებების განხილვა მიმდინარეობდა კრიტი-

კისა და თვითკრიტიკის ნიშნით. დამსწრე საზოგადოებრიობაში სესიის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო.

ბოლო სხდომაზე, საღლესასწაულო კითარებაში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო საქმის ინსტიტუტისა და სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მასალებისა და ნაგებობათა ინსტიტუტს შორის დადებულ იქნა ორმხრივი შემოქმედებითი თანამეგობრობის ხელშეკრულება. მიღებულ იქნა მთელი რიგი ურთიერთვალდებულებები, რაც ხელს შეუწყობს ორივე ინსტიტუტის მუშაობის გაუმჯობესებას.

სომხეთის ინსტიტუტმა საქართველოს სამშენებლო საქმის ინსტიტუტს მიუძღვნა ინსტიტუტის მუშაკთა მიერ შექმნილი სეისმომეტრის (AINC-2) პირველი ეგზიმპლარი.

მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ მეორე გაერთიანებული სამეცნიერო სესია მოეწყოს 1955 წელს ერევანში.

დ. ლომაძე

სამშენებლო საქმის ინსტიტუტის სწავლული მდივანი

## სამეცნიერო სესია ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტი

მიმდინარე წლის 28 და 29 აპრილს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტმა ჩატარა მორიგი სამეცნიერო სესია, რომელიც მიძღვნილი იყო ინსტიტუტის მიერ გასულ წელს შესრულებული ზოგიერთი სამუშაოსადმი.

სესიის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ თბილისის სამეცნიერო დაწესებულებათა და სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა პროფ. რ. ა. გლაძემ სესიის მონაწილეთ უამბო მანგანუმისა და მისი შენაღნობების ანოდური გახსნით კალიუმისა და სხვა ტუტე ლითონების პერმანგანატის მიღების ელექტროქიმიურ მეთოდზე, რომელიც ინსტიტუტის ელექტრომეტრულებისა და ელექტროქიმიის განყოფილების მიერ არის დამუშავებული.

წარმოების აპარატურული სიმარტივე, მანგანუმისა და ტუტე ლითონის გამოყენების მაღალი კოეფიციენტი, ელექტროენერგიის მცირე ხარჯი და გზადაგზა — მანგანუმის მაღალი აქტივობის ორჟანგის ნარჩენი სასარგებლოდ განასხვავებენ ამ ახალ მეთოდს მრეწველობაში ახლა არსებული ძველი მეთოდისავან, რომელიც პიროლუზიტისა და მწვავე ტუტის დამუანგველ დნობასა და მიღებული მანგანატის ელექტროქიმიურ დაუანგვაზეა დაფუძნებული.

სესია კმაყოფილებით შეეგება ცნობას, რომ საბჭოთა კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს წინასწარი გადაწყვეტილებით ჩვენში უნდა აიგოს საკმაო სიმძლავრის საცდელ-სამრეწველო დანადგარი წარმოების ტექნოლოგიური პარამეტრების სამრეწველო პირობებში დაზუსტებისა და საერთოდ ამ მეთოდის წარმოებაში ფართოდ დანერგვის მიზნით.

ინტერესით იყო მოსმენილი ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის ქ. ფურცელაძის ცნობა, რომ ინსტიტუტმა გამოიმუშავა კიათურის საბაზოს მანგანუმის არაკონდიციური კარბონატული მაღნის გადამუშავების ტექნოლოგიური სქემა, რომ მელიც ითვალისწინებს ამ მაღნისავან ახალი მინერალური სასუქებისა და მანგანუმის მაღალხარისხოვანი კონცენტრატის მიღებას.

ახალი მინერალური სასუქები თავიანთი ქიმიური შემადგენლობით მკვეთრად განსხვავდება აზოტის სხვა არსებული სასუქებისავან, შეიცავს 20% შებმულ აზოტს, აქტიურ მანგანუმს, ნიკელს, კობალტს და სხვ. და მცენარეზე მოქმედებს როგორც მიკრო- და აზოტშემცველი სასუქი. მინდვრის პირობებში მათი წინასწარი გამოცდის შედეგები მათი მაღალფექტურობის პირდაპირი მაჩვენებელია.

საბჭოთა კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს დახმარებით ახალი სასუქების წარმოების მეთოდი ფართოდ გამოიცდება ქარხნულ პირობებში.

პროფ. კ. ქუთათელაძემ და ქიმიის მეცნ. კანდიდატმა ე. ზედგინიძემ სესიის მოახსენეს მათ მიერ ჩატარებულ კვლევებზე, რომელთა შედეგების მიხედვით დასაბუთებულია ბზიბის საბაზოს დოლომიტის გამოყენების სრული შესაძლებლობა საქართველოს მეტალურგიულ მრეწველობაში საჭირო ცეცხლგამძლე მასალათა წარმოებისათვის.

ამ სამუშაოს შედეგები უნდა შემოწმდეს და წარმოებაში დაინტერგოს მას შემდეგ, რაც რუსთავის მეტალურგიულ ქარხანში ცეცხლგამძლე მასალათა წარმოების სამქრო ამუშავდება.

ცხოველი ყურადღებით განიხილეს სესიის მონაწილეებმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტების პროფ. გ. გედევანიშვილის მოხსენება ფასონური კალიბრის შევსებადობის საკითხზე. ავტორის დასაბუთებით, საკითხის სწორად გადაჭრისათვის აუცილებელია კალიბრის შევსების სისრულის შესწავლა გლინივის სხვადასხვა ფაქტორზე დამოკიდებულებით. მის მიერ მიღებული მეთოდიკა იმაში მდგომარეობს, რომ გაჭრილ კალიბრში იცვლება პროფილის ცალკე ელემენტები ისე, რომ ყველა დანარჩენი ელემენტი მუდმივად ჩება. ასევე მუდმივია გადადგილებული ფართის შეფარდება ცალის განივი კვეთის ფართთან. იცვლება აგრეთვე პროფილის ცალკე კადლების სიგლუვე. ამ პირობებში იზომება სილრუების შევსების სისრულე.

ალინიშნა რა საკითხის ასე დაყენების ორიგინალობა, სესიის სასურველად მიაჩნია კვლევით სამუშაოთა გალრმავება ამ მიმართულებით.

პროფ. ფ. თავაძის, ქიმიის მეცნ. კანდიდატის ქ. დოლიაშვილისა და ინკ. მ. ნაბიჭვარიშვილის მოხსენებობით შეეხებოდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიც ფერმანგანუმის თავისთავადი დაშლა.

ავტორთა გამოკვლევით ფერმანგანუმის დაშლის ერთი ძირითადი მიზეზთაგანი მასში არამდგრადი კარბიდების არსებობაა. ფერმანგანუმის მდგრადობა იზრდება მკვეთრი გაცვებით. ამიტომ მიზანშეწონილია ფერმანგანუმის შენაღნობის თხელ ფენად ჩამოსხმა ლითონურ ფორმებში, რომლებიც ინტენსიურად უნდა ცივდებოდეს.

დოც. გ. მიქელაძემ და რ. ცხვედიანმა სესიის გააცნეს საინტერესო შედეგები იმ კვლევებისა, რომელთა მიხედვით ავტორები დაასკვნიან, რომ ფერმანგანული სილიკონის შეიცავს, იგი უფრო მეტად თერმულია, ვიდრე სხვა ჩვეულებრივი საკაზმენარევები.

ტყიბულის საბაზოს ფიქლებისაგან გ. მიქელაძის მიერვე შემუშავებული ორიგინალური მეთოდით გამოდნობილი სილიკონუმინის გამოყენება ფერმანგანული ბდენის ლითონთერმული დნობის დროს სასარგებლო და რაციონალური იქნება.

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ი. მელიქიძემ და ინუინრებმა ს. სენიუკმა, ვ. კალანდაძემ და ვ. კალანდაძემ თავიანთ ცნობაში კომპლექსურად დაახასიათეს ჩორდის ბარიტის საბაზოს ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები და განსაზღვრეს ბურლვადობის ტექნოლოგიური მაჩვენებლები.

სესიის მონაწილეებმა ავტორებს ურჩიეს მომავლისათვის ამ მიმართულებით შესრულებულ კვლევებში ქანების ფიზი-

კურ-მექანიკური თვისებების შესწავლა მათ პეტროგრაფიულ დახასიათებას დაუკავშირონ.

სესიის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა სამოცხე მეტი მეცნიერი მუშაკი და სპეციალისტი, იგი საკმაო ზერჩილულ დონეზე ჩატარდა და შესრულებულ სამუშაოთა უახლოეს-სა-მეურნეო მნიშვნელობა აღინიშნა.

ო. ლოლაძე

## ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა V სამეცნიერო კონფერენცია

მიმდინარე წლის 20—23 აპრილს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა V სამეცნიერო კონფერენცია.

კონფერენციის მიზანი იყო მჭიდრო მეცნიერული კავშირის დამყარება ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა შორის და გამოცდილების ურთიერთ გაზიარება.

კონფერენციამ თავისი მუშაობა 6 სექციაში ჩატარა. მასში მონაწილეობა მიიღო 400-დე ასპირანტმა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკმა. სექციებში წაკითხულ იქნა 68 მოხსენება.

ენისა და ლიტერატურის სექციაში (ხელმძღვანელი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფ. ა. ბარამიძე) წაკითხულ იქნა 9 მოხსენება. საინტერესო მოხსენება წაიკითხა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტმა გ. კლიმოვმა, რომელიც საასპირანტო კურსის გასავლელად მოვლინებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში. ასპირანტ გ. კლიმოვის მოხსენების თემა იყო: „ატრიბუტული კომპლექსის (მსაზღვრელ-საზღვრულის) ზოგიერთი სინტაქსური საკითხი მეგრულ-კანურში“.

აღსანიშნავია რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტის სტალინური სტიპენდიანტის შ. ჩიჩუას მოხსენება — „ხალხთა მეგობრობის იდეა ალ. ჭეიშვილის ახალ რომანში „დიდი ტალღა“.

საინტერესო მოხსენება წაიკითხა ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტმა რ. კუსრაშვილმა: „სახელის თავისებურებანი დავით გურამიშვილის ენაში“. ასევე საინტერესო იყო ასპირანტ ნ. ნათაძის მოხსენება „მესამე სერიის მწკრივთა წარმოებისათვის ქართულში“ და ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტის ლ. სანაძის მოხსენება „მწერლის შემოქმედებითი ლაბორატორიის შესწავლის მნიშვნელობა“.

ისტორიის, ხელოვნების ისტორიის, ფილოსოფიის და ეკონომიკის სექციაში (ხელმძღვანელი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფ. გ. ჩიტაია) წაკითხულ იქნა 19 მოხსენება, რომლებიც ეხებოდა ისტორიის, არქეოლოგიის, ხელოვნების ისტორიის, ფილოსოფიის, ეკონომიკისა და ფინანსობრივის საკითხებს.

საყურადღებო იყო ფილოსოფიის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ მუშაკის ა. კალანდიას მოხსენება — „მარქსიზმ-ლენინიზმის კრიტიკული და რევოლუციური ხასიათი“. ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკმა გააშუქა მარქსიზმ-ლენინიზმის კრიტიკისა და თვითკრიტიკის განუყრელ ერთიანობაში ყოფნის საკითხი.

ეკონომიკის ინსტიტუტის უმცროსმა მეცნიერ მუშაკმა მ. კეკელიძემ თავის მოხსენებაში — „სახალხო მოხმარების საგნების წარმოების განვითარების საკითხები“ ფართოდ განმარტა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენურის გადაწყვეტილებიდან გამომდინარე დიდი ამოცანები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სამრეწველო და სასურსათო საქონლის წარმოებას ეხება. ეკონომიკის საკითხებზე მოხსენებები გააკეთეს აგრეთვე ეკონომიკის ინსტიტუტის უმცროსმა მეცნიერ მუშაკმა გ. გველესიანმა — „მაქსი-ტრაქტორთა საღვურების როლი სოციალისტური მიწათმოქმედების განვითარებაში“, ბ. ხასიათ — „წარმოებრივ

კურ-მექანიკური თვისებების შესწავლა მათ პეტროგრაფიულ დახასიათებას დაუკავშირონ.

სესიის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა სამოცხე მეტი მეცნიერი მუშაკი და სპეციალისტი, იგი საკმაო ზერჩილულ დონეზე ჩატარდა და შესრულებულ სამუშაოთა უახლოეს-სა-მეურნეო მნიშვნელობა აღინიშნა.

ო. ლოლაძე

ურთიერთობათა ძირითადი ტიპების დახასიათებისათვის“ და ასპირანტმა მ. ისხაკოვამ — „ეკონომიური კანონების ხასიათი სოციალიზმის დროს“.

დიდი ინტერესი გამოიწვია დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ მუშაკების — ნ. ნასრაშვილის და მ. საყვარელიძის მოხსენებებმა „ბგერათცვალება წერა-კითხვის სწავლების პროცესში პირველი კლასის ბავშვებთან“ და „ცნებითი აზროვნების თავისებურება პრესენილური ფსიქოზის დროს“.

ისე როგორც გასული წლის კონფერენციაზე, წელსაც ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტმა მ. კარბელაშვილმა თავისი მოხსენება „ს. ქობულაძის ილუსტრაციები შექსპირის ტრაგედიისათვის „მეფე ლირი“ წაიკითხა სათანადო დიაპოზიტივების ჩვენებით.

ინტერესით იქნა მოსმენილი ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის უქროსი მეცნიერ მუშაკის მ. ინაძის მოხსენება „შავი ზღვისპირა რომაული ციხე-სიმაგრეები ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე“. 1949—1950 წლებში რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიციების შედეგად მოპოვებულ მასალებზე საინტერესო მოხსენება გააკეთა ისტორიის ინსტიტუტის უმცროსმა მეცნიერ მუშაკმა ნ. უგრელიძემ — „ფეოდალურ საქართველოში მინის წარმოების ისტორიისათვის“. ინტერესით იქნა მოსმენილი ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტის ვ. ითონიშვილის მოხსენება „ხალხური მმართველობის ისტორიიდან (მშვიდობის სამან-საყუნდი ხევში), ს. ჯანშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის უმცროსი მეცნიერ თანამშრომლის კ. ჩოლოყაშვილის მოხსენება „ქართული მუზარადი“ და ლ. მოლოდინის მოხსენება „მუშათა ახალი ყოფისა და კულტურის ექსპოზიცია საქართველოს მუზეუმის ერთიან ეთნოგრაფიულ გამოფენაზე“ და სხვ.

მათებატიკისა და ბუნების მეტყველებათა სექციაში (ხელმძღვანელი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი ა. ჯანელიძე) წაკითხულ იქნა 6 მოხსენება.

დიდი ინტერესი გამოიწვია აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ასპირანტის ნ. რაზმაძის მოხსენებამ — „ფორმამრავლებიანი სავარსკვლავო ელექტროფორომეტრი“. მომხსენებებმა დამსწრეთ გააცნო ელექტროფორომეტრი და აღნიშნა, რომ სავარსკვლავო ელექტროფორომეტრის დამზადებები გამომდევული იყო შედარებით კაშკაშა დიფუზიური და პლანეტარული ნისლების და აგრეთვე მკრთალი ვარსკვლავების ფორმეტრიის საჭიროებით.

ვახშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტმა ნ. ნაჟყებიამ წაიკითხა ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის საინტერესო მოხსენება — „მდინარე ჩიონზე ნაოსნობის საკითხი“. პრაქტიკული თვალსაზრისით, მეტად საყურადღებო იყო გეოფიზიკის ინსტიტუტის ასპირანტის ა. ქარცივაძის მოხსენება „მიწისპირა ღენის ატმოსფეროს ტემპერატურისა და ტენიანობის გრადიენტული გაზომვისათვის“ და მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ მუშაკის ლ. ბერუჩაშვილის მოხსენება — „უანგვა-ალდგენითი პროცესების გავლენა რკინის, ქრომისა და ალუმინის ჰიდროგენურ სინარებზე“. მოხსენებები წაიკითხეს აგრეთვე ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ასპირანტის გავლენა რკინის, ქრომისა და ალუმინის ჰიდროგენურ სინარებზე“.

პირანტმა ვ. ბერეკაშვილმა — „მწყრივთა შეჯამებადობის ერთი მეთოდის შესახებ“ და მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტის უმცროსმა მეცნიერ მუშაკმა ე. ხეჩინაშვილმა — „ნ-ოქტანის იზომერიზება გააქტივებული გუმბრინის თანაობით“.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა სექციაში (ხელმძღვანელი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი მ. საბაშვილი) წაკითხულ იქნა 11 მოხსენება. ყველა მოხსენების თემატიკა ეხმაურებოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენურის დადგენილებას სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ლონისძიებათა შესახებ. განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო ნიაღაგმცოდნეობის ინსტიტუტის ასპირანტის ო. ზარდალიშვილის მოხსენება — „გამოკვების დროს შეტანილი ბორისა და მანგანუმის გავლენა შაქრის კარხლის მოსავლიანობაზე“. საინტერესო იყო აგრეთვე ნიაღაგმცოდნეობის ინსტიტუტის ასპირანტის ი. გოგობერიძის მოხსენება — „სამგორის ნეშომბალა-სულფატიანი (გაჯიანი) ნიაღაგები და მათი გაკულტურება საშემოდგომო ხორბლისათვის მორწყვისა და ბალახების ზეგავლენით“, ა. გოგატიშვილის მოხსენება — „საჩხერის რაიონის ნიაღაგების დახასიათებისათვის მევენა. ხეობის თვალსაზრისით“.

მეტად საჭიროობო და პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხს შეეხო მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის ასპირანტი ი. ჭელიძე თავის მოხსენებაში — „ხმელი ხილის მავნებლების შესწავლის შედეგები საქართველოში“.

მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის ასპირანტმა რ. კიკაჩიშვილმა მოხსენებაში — „მასალები ჩინურის ჭიშობრივი აგროტექნიკის დადგენისათვის“ დამსტრეთ გააცნო ის აგროტექნიკური კომპლექსი, რომელიც საჭიროა ყურძნის უხვი მოსავლისა და მაღალხარისხოვანი პროდუქციის მისაღებად.

ბიოლოგიისა და მედიცინის მეცნიერებათა სექციაში (ხელმძღვანელი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წაკითხული მოხსენებები ძირითადად ეხებოდა ი. პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრების საკითხებს. ამ მხრივ აღსანიშნავი

ვი იყო ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტის დ. მაჭარაშვილის მოხსენება — „პირობითი რეფლექსების დიფერენციაციის პირობების შესწავლა საღიფერენციაციო გამლიზიანებლის წინასწარი ხმარების გარეშე“ და ფიზიოლოგიის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ მუშაკების ნ. ძიძიშვილისა და მ. ნუცუბაძის მოხსენება — „დიდი ტვინის ქერქის სხვადასხვა მიღამოთა ურთიერთისაგან გათიშვის გავლენა პირობით-რეფლექსურ მოქმედებაზე“.

საინტერესო იყო ქირურგიისა და ჰემატოლოგიის ინსტიტუტის სტალინური სტიპენდიანტის, ასპირანტ ზ. კახიანის მოხსენება — „კანის ექსპერიმენტული კიბოს საკითხისათვის“.

ქირურგიისა და ჰემატოლოგიის ინსტიტუტიდან მოხსენები წაიკითხეს: ასპირანტმა ლ. კანდელაკი — „სისხლის შრატის ცილოვანი ფრაქციების გამოკვლევა სხვადასხვა სახის ანემის დროს“, ასპირანტმა რ. ბელუსაშვილმა — „პათომორფოლოგიური ცვლილებები ნერვულ სისტემაში ინდუქცირებული სიმსიცნეების დროს“ და სხვებმა.

სულ ბიოლოგიისა და მედიცინის მეცნიერებათა სექციაში წაკითხული იყო 15 მოხსენება.

ტექნიკის მეცნიერებათა სექციაში (ხელმძღვანელი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფ. გ. გედევანიშვილი) წაკითხულ იქნა 8 მოხსენება. ყველა მოხსენება პრაქტიკული ხასიათის იყო და კაბათი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია.

აღსანიშნავია ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის ასპირანტის ს. მანჯგალაძის მოხსენება — „ლითონთა კოროზიული გამძლეობა თბილისის თერმულ წყლებში“.

საინტერესო იყო ენერგეტიკის ინსტიტუტის ასპირანტის ი. ითონიშვილის მოხსენება — „ექსპერიმენტები მღინარეთა გამონატანის გარეცხვის შესახებ“ და სამშენებლო ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ მუშაკის ნ. ახვლედიანის მოხსენება — „რეინა-ბეტონის თაღების ანგარიში ზღვარული წონასწორობის თეორიის მიხედვით“.

კონფერენციაზე წაკითხული ყველა მოხსენება საკუთარი მეცნიერული კვლევის შედეგებს წარმოადგენდა, დამუშავებული იყო სათანადო მეცნიერულ დონეზე და აქტუალურ საკითხებს ეხებოდა.

## გ. ლ-ე

### სამეცნიერო სესია, მიძღვნილი რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავისადმი

მიმდინარე წლის 13 და 14 მაისს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ჩატარდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებული სამეცნიერო სესია, მიძღვნილი რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავისადმი.

სესიის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ უკრაინიდან ჩამოსული სტუმრები — უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი გ. სავინი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარის მოვალეობის აღმასრულებელი ი. ბელოდედი და საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოაღვილეს გაპონენკო.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ნ. მუს ს ხ-ლ ი შ ვ ი ლ მ ა, რომელმაც ილაპარაკა რუსეთთან უკრაინის შეერთების ისტორიულ მნიშვნელობაზე. ამასთან ერთად აკადემიკოსმა მუსხელიშვილმა ქართველ მეცნიერთა სახელით მხურვალე სალაში გადასცა დიდ რუს და უკრაინელ ხალხებს.

დამსტრეთ გულთბილად მიულოცა დიდი დღესასწაული სესიაზე სპეციალურად ჩამოსულმა უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა გ. სავინმა.

მოხსენებით „რუსეთთან უკრაინის შეერთება და მისი ისტორიული მნიშვნელობა“ გამოვიდნენ დოც. ა. სურგულაძე და მეცნიერებათა კანდიდატი ლ. გაბონინი.

კომუნიზმის მშენებლობის საქმეში უკრაინელი ხალხის მიღწევებზე ილაპარაკა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა პროფ. გ. ხ ა ჭ ა პ უ რ ი ძ ე მ.

მეორე დღეს სესიაზე მოხსენებით გამოვიდა პროფ. ი. ცინცაძე, რომელმაც გაშუქა უკრაინელი და ქართველი ხალხის ურთიერთდამკიდებულების ისტორიული საფუძვლები. მოხსენებით „საბჭოთა საქართველოსა და საბჭოთა უკრაინის ხალხთა მეგობრობა და სამეურნეო კავშირი“ გამოვიდა დოც. ი. მიქ ე ლ ა ძ ე.

ქართველი და უკრაინელი ხალხების კულტურული ურთიერთობის ისტორიის საკითხები გაშუქებულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პროფ. ა. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს, ლ ი ც ლ ა ს ა თ ი ა ნ ი ს და დოც. ბ. უ ლ ე ნ ტ ი ს მოხსენებაში, რომელმაც სესიაზე დამსტრეთ გააცნო პროფ. ა. ბარამიძემ.

საინტერესო მოხსენება „ნ. წერეთელი უკრაინული ხალხი შემოქმედების ძეგლების შემკრებები და გამომცემელი“ წაიკითხა ო. გვინჩიძემ. მან დაწვრილებით გააცნო დამსტრეთ ცნობილი ფოლკლორისტის ნიკოლოზ წერეთელის ცხოვრება და მოვაწეობა, რომელმაც მთელი თავისი ძალა და ენერგია მოახმარა უკრაინელი ხალხური შემოქმედების ძეგლების შეგროვებასა და შესწავლას.

სესიის დასასრულს დამსტრეთათვის გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიღებული თვითშემოქმედების კოლექტივებმა. გ. ლ.

# ხაის ჩასანერი კვარაცი



## ოთარ ჩიჯავაძე

ყოველწლიურად ეწყობა ექსპედიციები ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეებში ხალხური ჭეპირსიტყვაობის ნიმუშებისა და სიმღერების შესაგროვებლად. შემკრებლობითი მუშაობის წარმოება და მოპოვებული მასალის მეცნიერული დამუშავება დიდად არის დამოკიდებული ჩანაწერის ხარისხზე. სამეცნიერო ექსპედიციის შედეგიანობის ბედ-ილბალს ხმის ჩასაწერი აპარატურის ხარისხი განსაზღვრავს.

არსებული ხმის ჩასაწერი აპარატები სამ სხვადასხვა პრინციპზეა აგებული:

1. აკუსტიკურ პრინციპზე, 2. ფოტოეფექტზე,
3. ელექტრომაგნიტურ პრინციპზე.

ამჟამად აკუსტიკურ პრინციპზე აგებული ხმის ჩასაწერი აპარატები ფოლკლორულ ექსპედიციის თუ გამოიყენება, ისიც იმ შემთხვევაში, როდესაც დენის გამოყენების საშუალება არ არსებობს.

ფოტოეფექტსა და ელექტრომაგნიტურ პრინციპზე აგებული აპარატები ფართოდ არის გამოყენებული სახალხო მეურნეობაში. ელექტრომაგნიტურ პრინციპზე აგებული აპარატები ამჟამად თანდათან აძვებენ ფოტოეფექტის პრინციპით მოქმედ აპარატებს.

ხმის ჩაწერის ისტორია სულ ასიოდე წლით შეიძლება განისაზღვროს. ამ ხნის განმავლობაში აკუსტიკურმა აპარატებმა, კერძოდ, ფონოგრაფმა, დიდი კონსტრუქციული ცვლილებები განიცადა. ასე, მაგალითად, რუსმა ინჟინერმა ა. ლინევმა გააუმჯობესა ფონოგრაფი მრავალხმიანი სიმღრის ჩასაწერი მოწყობილობის გამოყენებით. რამდენიმე რუპორის საშუალებით იგი ახერხებდა მომღერალთა დიდი რიცხვის ჩაწერას.

ყველა სისტემის აკუსტიკური აპარატები, განურჩევლად მათი კონსტრუქციული თავისებურებისა, შემდეგი პრინციპის საფუძველზე მოქმედებენ: ბგერის წყაროდან წარმოშობილი ტალღები მიემართება აპარატის რუპორისაკენ, საღაც ისინი იკრიბებიან. რუპორის მილის ბოლოზე მიერთებულია დაფი, რომელზედაც მაგრდება ჩამწერი ნემსი. დაფი ბგერის ტალღის გავლენით იწყებს რხევას ბგერის სიხშირის შესაბამისად. რხევა გადაეცემა ჩამწერ ნემსს და ეს უკანასკნელი გარკვეული სიჩქარით მბრუნავი სანთლის ან სტანიოლის (ჩასაწერი მასალა) ლილვაკზე აღბეჭდავს მას ნაჭდევების სახით. ჩანაწერის გახმოვანება შებრუნებით ხდება, ე. ი. ლილვაკის ნაჭდევებზე ნემსის მოძრაობა იწვევს დაფის რხევას, რომე-

ლიც რუპორში ძლიერდება და ჩაწერილ ბგერებს აღადგენს.

ფონოგრაფის ნაკლი შემდეგში მდგომარეობს:


1. ჩანაწერი არ წარმოადგენს მხატვრულ მასალას, რადგან არ იძლევა წარმოდგენას ტემპრალური ფერების შესახებ და ჩანაწერთან ერთად ძლიერი ხრიალი ისმის.

2. ლილვაკები ხშირი ხმარებისაგან (20-30-ჯერ დაკვრით) ცვდება და, ამრიგად, თავს იჩენს ჩანაწერის დაკარგვის საფრთხე.


3. ლილვაკები საკმაოდ მსხვრევადია და ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადატანისას მოუხერხებელი არიან დიდი მოცულობის გამო.

მაგრამ ფონოგრაფს დადებითი თვისებაც აქვს: მისი საშუალებით ჩაწერის წარმოება შესაძლებელია ნებისმიერ პირობებში, გადასატანად აღვილია და გაშიფრვის მიზნით შეიძლება ლილვაკის ბრუნვის სიჩქარის ცვლა.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, უკანასკნელ ხანებში დიდი პრაქტიკული გამოყენება პოვა ელე-



ნახ. 1. ფონომაგის საერთო ხედი



ნახ. 2. ფონომაგის პანელი შიგნიდან

ქტრომაგნიტურ პრინციპზე მოქმედმა აპარატმა მაგნიტოფონმა, რომელსაც ისეთი დადებითი თვისებები ახასიათებს, რომელნიც დღემდე არსებულ სხვა ხმის ჩასაწერ ხელსაწყოებს არ ჰქონიათ.

პირველ ხანებში მაგნიტოფონზე ჩასაწერ მასალად იყენებდნენ ფოლადის ჭავთულს, მაგრამ მისი ექსპლოატაცია მოუხერხებელი აღმოჩნდა, რის გამოც იგი აღარ იხმარება. ამჟამად მაგნიტოფონში გამოყენებულია ფერომაგნიტურ ფირზე ხმის ჩაწერის ელექტრომაგნიტური პრინციპი. მიკროფონში ბგერა გადაიქცავა ელექტროიმპულსებად, რომლებიც შემდეგ ელექტრომაგნიტურ ველად გარდაიქმნება და ფირს გარკვეული წესით ამაგნიტებს.

ფერომაგნიტური ფირი საშუალებას იძლევა უხარისხობის შემთხვევაში წაიშალოს ჩანაწერი და ჩაწერა გამეორდეს იმავე ფირზე მრავალჯერ. ამასთანავე შესაძლებელია ჩანაწერის მოსმენა თვით ჩაწერის მომენტში.

მაგნიტოფონის საშუალებით ჩაწერა ხდება მაღალხარისხოვნად, ტემპრალური ელფერის შეცვლელად. ფირის გაწყვეტის შემთხვევაში ხდება მისი გადაწებება, რაც არ იწვევს ჩანაწერის დამახსინჯებას. ფირი მსუბუქი და ამასთანავე მოქნილია, რის გამოც მისი შენახვა და მოხმარება ძალიან აღვილია.

მიუხედავად ყოველივე ზემოთ თქმულისა, მაგნიტოფონს ნაკლიც აქვს. იგი რთულ კონსტრუქციას წარმოადგენს, რაც ზღუდავს მის გამოყენებას ექსპედიციებში. დღესდღეობით არსებობს გაღასატანი მაგნიტოფონის ორი ტიპი: „M3Z-3“, რომელიც სამი საკმაოდ მძიმე კოლოფისაგან

შედგება, და „დნეპრი“, რომელი შაც, მართალია, ის უპირატესობა აქვს, რომ მთელი კონსტრუქცია ერთ კოლოფში თავსდება, მაგრამ საკმაოდ დიდი წონა აქვს. დღევანდელ პირობებში, გაოდა ამ ორი აპარატისა, გაჟოენებას პოულობენ აგრეთვე მაღალხარისხოვანი სტაციონარული აპარატები, რომელთა სათავსოსაც აფტომანქანა წარმოადგენს.

ყველა ტიპის მაგნიტოფონები ცვლადი დენით იკვებება. ამიტომ მათი გამოყენება იქ, საღაც დენი არ არის, შეუძლებელია. ამასთანავე მაგნიტოფონი მოკლებულია უნარს ცვალოს ფირის მოძრაობის სიჩქარე, რაც ფოლკლორისტიკის თვალსაზრისით ნაკლს წარმოადგენს. მაგნიტო-

ფონისათვის არსებობს სიჩქარეთა სტანდარტები— 192, 5 მმ/წმ, 385 მმ/წმ, 456 მმ/წმ და 770 მმ/წმ, რომელთა შეცვლა შეუძლებელია.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, მაგნიტოფონი რთულ კონსტრუქციას წარმოადგენს, მაგრამ მისი ტექნიკური სირთულე იმით არის ანაზღაურებული, რომ:

1. მაგნიტოფონზე ჩანაწერი წარმოადგენს არა მარტო მხატვრულ, არამედ სრულფასოვან მეცნიერულ დოკუმენტს, რომელზეც ერთხელ და სამუდამოდ არის ფიქსირებული დედანი ჰანგი, იგი ადასტურებს გარკვეულ აღგილზე, გარკვეულ პირობებში მისი არსებობის ფაქტს.

2. ჩანაწერის მოსმენა შესაძლებელია ჩაწერისათანავე.

ყოველივე ზემოთქმული საშუალებას იძლევა ვიმსჯელოთ როგორც ფონოგრაფის, ისე მაგნიტოფონის დადებითსა და უარყოფით თვისებებზე. ერთსაც და მეორესაც აქვს ისეთი დადებითი თვისებები, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს როგორც შემკრებლობით მუშაობას, აგრეთვე შეკრებილი მასალის მეცნიერულ დამუშავებას. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა ეს თვისება ერთი აპარატის კუთვნილებას არ წარმოადგენს.

იმისათვის, რომ ხმის ჩასაწერი აპარატი წარმატებით იქნეს გამოყენებული ფოლკლორისტულ კვლევა-ძიებაში, მას შემდეგი თვისებები უნდა ჰქონდეს.

1. წონა მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი, რათა აპარატი აღვილსატარებელი იყოს,

2. ხმის ჩაწერა უნდა ხდებოდეს ხმარებაშა მიღებულ სტანდარტულ და ტრანსპორტირებისათვის მოსახერხებელ მასალაზე.

3. ჩანაწერი უნდა წარმოადგენდეს როგორც მეცნიერულ, აგრეთვე მხატვრულ ღირებულებას.

4. ჩაწერა და ჩანაწერის დაუყოვნებლივ გახმოვანება უნდა ხდებოდეს ადგილზევე, შემოწმების მიზნით.


5. აპარატი ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ შესაძლებლობას იძლეოდეს ჩანაწერის გარკვეული ნაწილის ნებისმიერჯერ მოსმენისა, ხარისხის გაუარესების გარეშე, რაც გააადვილებს სიმღერის ან ტექსტის გაშიფრას.

6. აუცილებელია აპარატს შეეძლოს სხვადასხვა სიჩქარით მუშაობა.

7. აპარატის მუშაობა არ უნდა იყოს დამოკიდებული ელექტროდენზე.

ყველა ამ დებულებათა აუცილებლობა დადასტურებულ იქნა ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკალური ფოლკლორის კაბინეტის მიერ მივლინებული ექსპერიციების მუშაობით. ეს გარემოება კარგად გაითვალისწინეს ამავე კონსერვატორიის ხმის ჩაწერი კაბინეტის თანამშრომელმა თ. სიდამონერისთვისა და რადიოსპეციალისტებმა—ვ. რაჭისინოვმა და კ. ეირანოვმა, რომელთაც გასული წლის მიწურულში შექმნეს ახალი კონსტრუქციის ხმის ჩასაწერი აპარატი „ფონომაგი TBK“-ს სახელწოდებით.

ხმის ჩასაწერი ახალი აპარატი სულ 11,5 კგ იწონის. ხმის ჩაწერა ხდება მაგნიტოფონის სტანდარტულ ფერმაგნიტურ ფირზე.



ნახ. 3. ფონომაგის გამაძლიერებელი

მექანიზმი — ფირგამწევი ნაწილი მოძრაობს ზამბარული ამძრავით. ზამბარის დაჭიმულობა უზრუნველყოფს მუშაობას ნორმალური რით (192,5 მმ/წმ პირობებში) 5 წუთის განმავლობაში. თუ ჩასაწერი სიმღერის ან ტექსტის ხანგრძლივობა ხუთ წუთს აღემატება, შესაძლებელია გზადაგზა ზამბარის დაჭიმვა, რაც გავლენას არ ახდენს ჩანაწერის ხარისხზე. აპარატს აქვს აგრეთვე სიჩქარის ცვლის შესაძლებლობაც ორივე მიმართულებით, რაც აადვილებს მუშაობას. ფირის დამუხტვის ხანგრძლივობა 15 წუთით განისაზღვრება.

ჩაწერილი ან მოსმენილი მასალის გადახვევა ხდება ფირის კასეტების ადგილთა გადანაცვლებით. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა რომელიმე ადგილის გამეორება, შესაძლებელია სპეციალური მოწყობილობის საშუალებით ნებისმიერჯერ იქნეს დაბრუნებული ის ადგილი, რომელიც ერთი მოსმენით ვერ იქნა ათვისებული.

აპარატში გამოყენებულია მუდმივი დენის ოთხკასკადიანი (საფეხურიანი) გამაძლიერებელი თითა ელექტრონულ მილაკებზე. სამ კასკადში მუშაობს პენტოდი 1 ნ 1 პ, მეოთხე კასკადში კი კიპენტოდი — 2 პ 1 პ. პირველი მილაკი ამორტიზებულია მიკროფონური ეფექტის თავიდან აცილების მიზნით. გამაძლიერებელს აქვს ხმის სიძლიერის რეგულების საშუალება. იგი შეიძლება მიერთებულ იქნეს დამატებით ხმამაღლამოლაპარაკებზე, აგრეთვე მიმღებზე ან გამაძლიერებელზე დიდი აუდიტორიისათვის.


„ფონომაგ TBK“-ს გამაძლიერებელი გაანგარიშებულია დინამიკური ტიპის მიკროფონით მუშაობაზე. მას აქვს სპეციალური ბუდეები: ერთი მიკროფონისათვის, მეორე კი დამატებითი რეპროდუქტორისათვის. ხმის ჩაწერის ან მოსმენის დონეს კონტროლს უწევს აპარატზე დაყენებული მილიამპერმეტრი და მილყური.

გამაძლიერებელზე დაყენებულია გადამრთველი, რომელსაც აქვს სამი მდგომარეობა: „ჩაწერა“, — რომლის დროსაც დინამიკი გამოითიშება და ჩაირთვება მიკროფონი. ამ დროს გამაძლიერებლის სამი კასკადი მუშაობს. ჩაწერის კონტროლს გახდენთ მილიამპერმეტრითა და მილყურით.

შეორე მდგომარეობა გადამრთველისა არის „მოსმენა“. ამ დროს მუშაობს გამაძლიერებლის ოთხივე კასკადი. ჩაირთვება ხმამალლამოლაპარაკე და ხდება ჩანაწერის გახმოვანება. მესამე მდგომარეობაა — „ნეიტრალური“, რომლის დროსაც დენის ხარჯვის თავიდან აცილების მიზნით ბატარეა ითიშება.

გადამრთველთან დაკავშირებულია აგრეთვე წამშლელი მოწყობილობა. როდესაც გადამრთველი დაყენებულია „ჩაწერა“-ზე, ხდება ძველი ძასალის წაშლა და ახლის ჩაწერა.

გამაძლიერებელი იკვებება მშრალი ბატარეით „BAC-60“ ანოდისათვის და 2 ელემენტით „3C“ — ვარვარების ძაფისათვის. მათი მუშაობის ხანგრძლიობა განისაზღვრება 170 საათით, რის შემდეგაც საჭიროა მათი შეცვლა. მთელი მექანიზმი აწყობილია დურალუმინის პანელზე, რომელიც ნიტროსანდალოზით არის შეღებილი.



ნახ. 4. ფონომაგი (ზარჯვნივ) და ფონოგრაფი

მის ჩასაწერი ახალი აპარატი — „ფონომაგი TBK“ საჭაროდ იქნა გასინჯული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასა და საქართველოს რესპუბლიკური ხალხური შემოქმედების სახლში, სადაც სპეციალისტებმა მას მაღალი შეფასება მისცეს.

## პროფესიონალური მულტიკიპის წიგნი უნგრულ ენაზე

უნგრეთის დემოკრატიულ რესპუბლიკის დედაქალაქ ბუდაპეშტში გამშვეულდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, აწგანსვენებული პროფესორის გრიგოლ ანტონის-ძე წულუკიძის უნგრულ ენაზე გადათარგმნილი ფუნდამენტალური შრომა: „მაღნეულის საბადოთა მიწისქვეშა დამუშავების მეთოდები“.


დასახელებული წიგნი საპროექტო ორგანიზაციების ინჟინერ-ტექნიკოსებისა, კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერ თანამშრომლებისა და სამთო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის პრაქტიკულ და სასწავლო სახელმძღვანელოს წარმოადგენს. შრომაში ავტორის მიერ შექმნილ დამუშავების მეთოდთა საერთო კლასიფიკაციის საფუძველზე ყველა სახის მაღნეულის დამუშავების კურსებია გაერთიანებული, რითაც ახალი სიტყვაა თქმული სამთო-ტექნიკურ ლიტერატურაში.

ქართულ ენაზე ეს შრომა 1943—1949 წლებში ორჯერ გამოიცა სამ ტომად თბილისში.

რუსულ ენაზე იგი გამოვიდა 1948 წ. მოსკოვში (გამომცემლობა „მეტალურგიზდატი“) სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფ. მ. აგოშკოვის რედაქციით, რომელიც თავის წინასიტყვაობას ასე იწყებს: „გრიგოლ ანტონის-ძე წულუკიძის წიგნის გამოქვეყნება განხილული უნდა იქნეს, როგორც დიდი მოვლენა სამთო-ტექნიკურ ლიტერატურაში“.

უნგრულ ენაზე წიგნი გამოსცა უნგრეთის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტრომ. თარგმანი შესრულებულია ვიდ პალის მიერ. რედაქტორია კუმერ ფერენცი.

**ი. გელიძიძე**  
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოთონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი



# მასნიერება დ გეპიკა

## სახურაო ფემურატის ქვეყნის

ჩინეთი


### სპილენძი მოლიბდენის მაგივრად

ახალ ჩინეთში მეცნიერება ჩაყენებულია ხალხის სამსახურში. სწავლულები ამუშავებენ უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია გაშლილ ინდუსტრიულ მშენებლობასთან. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მოცულობა ახალ ჩინეთში პ0-ჭერ გაიზარდა ქვეყნის განთავისუფლებამდე პერიოდთან შედარებით.

„ცინხუას“ უნივერსიტეტის პროფესორმა ცნობილმა ჩინელმა ფიზიკოსმა იუნ უუი-ხუანმა, რენტგენის ლაბორატორიის თანამშრომლებთან ერთად, დაძაბული კვლევითი მუშაობის შედეგად შეძლო რენტგენის მიღების მთავარ ნაწილებში იშვიათი ლითონები — მოლიბდენი და ნიკელი — შეეცვალა სპილენძით და სპილენძის შენაღნობებით. ეს საშუალებას იძლევა მკვეთრად გამარტივდეს და დაჩქარდეს რენტგენის აპარატის დამზადების პროცესი.

### რკინიგზების მშენებლობა

1 500 კილომეტრზე მეტი რკინიგზის მაგისტრალია აგებული უკანასკნელ წლებში სახალხო ჩინეთში. რკინიგზის ქსელის განვენილობა ამჟამად 25 ათას კილომეტრს აღწევს.



ახლა შენდება კიდევ რამდენიმე ახალი ხაზი. ისინი უმნიშვნელოვანეს ქალაქებს და სამრეწველო რაიონებს დააკავშირებენ.

სურათზე — დიზელის ახალი მატარებელი პეკინ-ტიან-ძინის მაგისტრალზე.

გერმანიის

### დემოკრატიული

### რესპუბლიკა


### კოქსი მურა ნახშირისაგან

მურა ნახშირიდან კოქსის მიღება დიდი საწარმოო მასშტაბებით მეტად რთული ამოცანაა. დიდი ხანი არა ეს რთული პრობლემა პრაქტიკულად გადაწყვეტილ იქნა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. საქსონიაში, ქალაქ ლაუხგამერის მახლობლად, აგებულია დიდი კოქს-ქიმიური კომბინატი — მსხვილი საწარმო, რომელიც პირველხარისხის მეტალურგიულ კოქსს უშვებს მურა ნახშირის ბრიკეტებიდან.

ერთდღოულად ხდება თანაური პროდუქტების გადამუშავება. კომბინატმა მოაწყო ბენზინის, სხვადასხვაგვარი მუვებისა და ზეთების, პლასტმასის მისალები ნახევარფაბრიკატების გამოშვება.

### ახალი საკერავი მანქანა



ას წელზე მეტია პროდუქციას უშვებს საკერავი მანქანების ქარხანა გერმანიაში. „H“ ტიპის ახალი საკერავი მანქანა უეისლება წარმატებით იქნეს გამოყენებული საოჭაზო პიროვნეული.



ბებსა და სამკერვალო სახელოსნოებში. მისი კონსტრუქცია შესაძლებლობას იძლევა კერვა წარმოებდეს ორივე მიმართულებით (წინ და უკან), იგი აწარმოებს აგრეთვე ქარგვას და ნემსვას. მანქანა უნაკლოდ ამუშავებს მეტად სქელ მასალასაც და თხელ აბრეშუმის ქსოვილებსაც. მისი უველა მუშა ნაწილი დამზადებულია ხარისხოვანი ფოლადისაგან და გამოწრობილია. მანქანას აქვს ადგილი ელექტრომოტორის დასადგმელად. სურათზე — „H“ ტიპის საკერავი მანქანა

# მომავლის გრანსპორტი

კუთხით  
ბირთვები



რამდენიმე წევთ — და სასწრაულ ტექნიკური მოსკოვიდან ცუნინგრადში ხელება.  
ეს უკვე არის არა მომავალი. ეს არის ჩვენი ჩატვრიული ფილიას დღევანდლები.

გაიღლის არა ისე ბევრი წლები. და მგზავრი ისაუხებს მოსკოვში, ვაჭამს კი შეეცემა 10 ათასი კილომეტრის სიმორჩევა, ელაფოვისტუში. თვეთმუშაონაც მას იქ გადაიყენას სიჩქარით, რომელიც ბევრს უსწრებს.

მაღალი სიჩქარები და უდიდესი ზღვების უნარით არა მარტივი ტექნიკური მოსკოვიდან ჩვენი ქვეყნის ტრანსისტორისადმი. არა ერთ მარტივი ტექნიკური მოსკოვიდან ჩვენი სამარტინო, საბერევო და წილი გაძლიერდება. მოსკოვის ეს ნაკადები პირდაპირ ზღვაპირულ სისტემაზე იზრდება. მრეწველობის მოთხოვის ნებლეულსა და სათბობს, სოფულის მეურნეობა — მარტანებსა და სასუეს. ქალაქებსა და სოფულებში იზრდება სასურათო და სამჩრევოლ სერვისს სიციკლი.

უდიდესი წევასაცავები, მთის ხეობები, ველები გადაიყენება მაღლიერ უძრავიდების მწყობრი მაღლებით. ამ ესტუარებით იქროლებენ ელექტრიზაცია და აირელ-მატრიცებები.

ავტოსტრადებითაც იყლინ მატარებლები, მაგრამ არა საქემით ჩემელებისიც. მათ ექნებათ პრეცენტური საბურავები, გლევე — ასფალტით მათ გაქროლებენ მძლავრი დიზელიანი საწევარები. ჩვენ ძელი „ნაციონალური“ — შემორჩენილი დანიშნულების კომფორტუაბელურ საზოგადოებრივ ელექტრომატრიცელ გადაიქცევა. წინა მოტორისათვის ვაკინები ექსპლუატაციის მოხერხებით, სრულად უჩინური ვაგონების მწყობრის. ქვეყნის ახლ გზები ისე იქნება ივებული, რომ გადაიყენოთ ლინანი სხვადასხვა ლინეჟზე იმყოფებით.

ჩვენი მდინარეების სელ უფრო სწორდება, მათ სამირები ბეტონითა და გრანიტთ მისახმა. მორს არ არის ლით, რომ მდინარეებია და ზღვებით დაიძრის სწრაფმავალი სამგზავრი და დიდი სატრირო ელექტრომატრიცელები, რომელიც დეის სატრირობის სადენიტონ მიმღებები. მათ მძლავრი და სამიღლო მოტორები იმუშავებენ 20—25 ათას კონტრ ცელად ერთფარან დენით.

საექსპრესო სახებზე ელექტრომატრიცელები შექლების მიღებას ისე, რომ მასადამ არ მიაღწეო. სრული სკოლის დროს მათ უზრუნველყონა და ეშვებან გელაციონურები.

რამდენიმე წელი მატარებლები ყველა სადგურებზე ჩადის გაერტყება, შეიქმნება სამგზავრო ბაქნები, რომლებიც მატარებლებთან ერთობრულ დორისაც გვევარებენ. მგზავრები და დაფინანსდებან მორავა მატარებლებში. ასეთი კონკურენცია — მომავალი დეის დაფინანსდება დიდ ქალაქებში — უკავშირ უფრო სასტრატაგეტის შემთხვევაში. ისინი ქალაქის მცხოვრებთავის შეცვლაზე ტრანზისი, ეტანსასა და ტროლეიბუსს, რომლებიც ხერგავნ ქარჩებს.

სსრ კაუზინის მეცნიერებათა აკადემიის წერა-კორპუსის წერტილი 3. გ. 433063 თბილისი  
(აზერბაიჯანის მთავრობის 14 მ. 1954)






## რუმინეთი

### ცემენტის მრეწველობის გიგანტი

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაშ მემკვიდრეობით მიიღო სუსტადგანვითარებული სამშენებლო მრეწველობა. სახალხო მეურნეობის განვითარების მძაფრი ტემპების უზრუნველყოფისათვის, გრანდიოზული ახალმშენებლობების წარმატებით დამთავრებისათვის რუმინეთის მშრომელებმა დაიწყეს ცემენტის, აგურისა და ბეტონის ახალი ქარხნების მშენებლობა. „მშვიდობის ცემენტი“, — ეს ეწოდა მშრომელთა მიერ ქვეყნის უველავე მსხვილ ცემენტის ქარხანას. იგი აგებულია სამი წლის მანძილზე და ახლა იძლევა თავის პროდუქციას ფართოდგაშლილი მშვიდობიანი მშენებლობისათვის.



სურათზე — ქარხანა „მშვიდობის ცემენტის“ მშრომელი ლუმელი.

### მოწყობილობა ნავთობმრეწველობისათვის


რუმინეთის წიალი მდიდარია ნავთით. მაგრამ წინათ მოწყობილობანი, რომლებიც საჭიროა ნავთის სარეწებისათვის, საჭიროარეთიდან შემოჰქონდათ. ახლა უკვე — პირველად რუმინეთის მრეწველობის ისტორიაში — საძირკველი ჩაეყარა ამ მოწყობილობის — მძლავრი სატალახე ტუმბოების, ჯალამბრებისა და ჭაბურლილების გასათხრელად საჭირო სხვა მოწყობილობის სამამულო წარმოებას.

## უნგრეთი

### პლანერის მშენებლობა

ახალი უნგრეთის ახალგაზრდობას უყვარს პლანერიზმი — გამაცთა სპორტი. პლანერიზმი იმდენად პოპულარული შეიქნა, რომ მრავალ მსხვილ საწარმოს ახლა აქვს თავისი აერო-

კლუბები, სადაც მეცადინეობენ ასობით ჭაბუკები და გოგონები. პლანერების პარკი სწრაფად იზრდება. უკანასკნელი წამი



წლის მანძილზე უნგრეთის ქარხნების მიერ გამოშვებულია ხუთჯერ მეტი პლანერი, ვიდრე თხუთმეტი წლის განმავლობაში ქვეყნის განთავისუფლების წინ. ბევრი ნაციონალური და საერთაშორისო რეკორდი დაამყარეს უნგრელმა მფრინავებმა „ფერვეტეგ“-ის („გრიგალის“) ტიპის ახალი პლანერით. ეს შესანიშნავი ორადგილიანი მანქანა დანიშნულია შორ მანძილზე ფრენისათვის.

სურათზე — უნგრული პლანერი „გრიგალი“ ფრენის დროს

### უნგრული სატვირთო ავტომანქანა

რამდენიმე წლის წინათ ბუდაპეშტში მწყობრში ჩადგა პირველი უნგრული ავტომანქანა, უკვე გამოშვებულია 15 ათასზე მეტი სატვირთო მანქანა და 25 ათასზე მეტი დიზელური მოტორი. ახლა უნგრეთის უველა ახალმშენებლობაზე მუშაობს სატვირთო მანქანები „ჩეპელ-დ-350“. მას აქვს ოთხილინდრიანი დიზელური ძრავი 85 ც. ძ. სიმძლავრით, მანქანის ტვირთმშეიღავა შეადგენს 3,5 ტონას, ხოლო მაქსიმალური სისწრაფე 77 კმ/ს აღწევს. ამ ქარხნის სატვირთო მანქანები შეიძლება ნახოთ ჩინეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, უგვიპტის, თურქეთისა და სხვა ქვეყნების გზებზე.

## გულგარეთი

### სოფიის ცენტრის რეკონსტრუქცია

ქვეყნის 120-ზე მეტი საუკეთესო არქიტექტორი მუშაობს ახლა ბულგარეთის დედაქალაქის — სოფიის ცენტრის რეკონსტრუქციაზე. აქ აღიმართებიან საცხოვრებელ და ადმინისტრაციულ შენობათა დიადი ანსამბლები. ამ რამდენიმე ხნის წინათ დამთავრდა ელექტროფიკაციის სამინისტროს შენობისა და აგრეთვე რესპუბლიკაში უველავე დიდი — 117-ბინიანი საცხოვრებელი სახლის აგება. სახალხო ხელისუფლებაში უკანასკნელი წლების მანძილზე სოფიაში გაცილებით მეტი სახლი ააშენა, ვიდრე უველა ბურუუაზიულმა მთავრობამ გასული საუკუნის შუა წლებიდან 1944 წლამდე.

ბულგარელ მშენებელთა სიამაყენეს წარმოადგენს პირველი მაღლივი 28-სართულიანი სასახლის — საბჭოების სახლის აგება. მოკლე ხანში მისი მწყობრი კონტურები აღიმართება ბულგარეთის დედაქალაქზე. მაღლივი შენობა აღიჭურვება ტექნიკის უკანასკნელი სიტუაციის მიხედვით. აქ იქნება დღის სინათლის ნათურები, ჩქაროსი ლიფტები, ხელოვნური კლიმატის მოწყობილობანი.

(„ტეხნიკა მოლოდენი“)

# ისტორია

ინფორმაციული რეპორტი

რკინა-ბეტონის კონსტრუქციებს შედარებით მოკლე ხნის ისტორია აქვს. ეს ისტორია ერთ საუკუნეზე ნაკლები დროით განისაზღვრება. ამა თუ იმ კონსტრუქციების დამზადებაში რკინა-ბეტონი გამოყენებას პოულობს XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან. მიუხედავად ამისა, მას ამჟამად წამყვანი და თვალსაჩინო ადგილი უკავია მშენებლობაში.

რევოლუციამდელ რუსეთში რკინა-ბეტონის კონსტრუქციები პირველად გამოყენებული იყო 1886 წელს. ამ დროისათვის გავრცელებული იყო ეგრეთ წოდებული „მონიეს სისტემა“, დაკავშირებული პარიზელი მებაღის მონიეს სახელთან. 1867 წელს მონიემ პირველი პატენტი აიღო ცემენტის ხსნარით შელესილი საყვავილე რკინა-ბეტონის კასრების დამზადებაზე. რკინა-ბეტონი მან გამოიყენა აგრეთვე ფილების, მილების, თაღებისა და სხვა კონსტრუქციების დამზადებაში. მაგრამ მონიეს კონსტრუქციები არ წარმოადგენდა გაანგარიშების შედეგად მიღებულ ხელოვნურ ნაგებობებს. მისი წინადადებები ემპირიული ხასიათის იყო და უხეშ შეცდომებს შეიცავდა.

რუსეთში რკინა-ბეტონის გავრცელების საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის გზათა მიმოსვლის ინუინერთა ინსტიტუტის პროფესორს ნ. ა. ბელელუბსკის, რომელსაც კარგად ესმოდა რკინა-ბეტონის მნიშვნელობა მშენებლობის საქმეში. 1891 წელს პროფ. ბელელუბსკის ხელმძღვანელობით პეტერბურგში ჩატარებული იყო სხვადასხვა სახის რკინა-ბეტონისა და ბეტონის კონსტრუქციების გამოცდა, რომლის მიზანი იყო რკინა-ბეტონის, როგორც სამშენებლო მასალის, რაციონალურობის შემოწმება, სხვადასხვა სახის მშენებლობაში მისა გამოყენება და დანერგვა. გამოცდის შედეგები მეტად დამაჯერებელი იყო და სავსებით ნათელყოფდა რკინა-ბეტონის კონსტრუქციების უპირატესობებს. 1904 წელს პროფ. ბელელუბსკის კონსულტაციით პირველად მსოფლიოში ქ. ნიკოლაევში აშენებულ იქნა რკინა-ბეტონის შუქურა (ნახ 1).


XIX საუკუნის მიწურული და XX საუკუნის დასაწყისი ითვლება რკინა-ბეტონის განვითარების პირველ ეტაპად, რომელიც ხასიათდება მეცნიერული მონაცემების საფუძველზე ამა თუ იმ სახის რკინა-ბეტონის კონსტრუქციების გაანგარიშებით. მაგრამ ამ დროისათვის ოფიციალური ნორმები და ტექნიკური პირობები რკინა-ბეტონის

კონსტრუქციების გაანგარიშებისათვის არ არსებობდა. ამის გამო ბელელუბსკი ჯერ კიდევ 1904 წელს მოითხოვდა ნორმებისა და ტექნიკური პირობების უმოკლეს დროში შედგენას და დამტკიცებას, რათა ამა თუ იმ სახის რკინა-ბეტონის კონსტრუქციების დაპროექტებას შემთხვევითი ხასიათი არ ჰქონდა.


გზათა მიმოსვლის სამინისტრომ 1908 წ. დაატკიცა პირველი ტექნიკური პირობები რკინა-ბეტონის ნაგებობებისათვის, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთში რკინა-ბეტონის გამოყენების განვითარებისათვის. 1911 წ. იმავე სამინისტრომ გამოსცა ახალი ტექნიკური პირობები, რომელსაც დართული ჰქონდა რკინა-ბეტონის ნაგებობათა გაანგარიშებისათვის საჭირო ნორმები. ტექნიკური პირობები, რომელიც 1912 წ. გამოიცა, ეხებოდა არა მარტო რკინა-ბეტონის კონსტრუქციებს, არამედ რკინა-აგურისა და ბეტონის ნაგებობებსაც.

ამ დროისათვის ბეტონის ტექნოლოგიის, ბეტონისა და რკინა-ბეტონის სამუშაოების საკითხები ძირითადად მუშავდებოდა ქ. პეტერბურგის გზათა მიმოსვლის საინჟინრო ინსტიტუტის (პროფ. ნ. ა. ბელელუბსკი), სამხედრო საინჟინრო აკადემიისა (პროფ. ი. გ. მალიუგა) და პოლიტექნიკური ინსტიტუტის (პროფ. ს. ი. დრუჟინინი) ლაბორატორიებში. ქ. მოსკოვში ბეტონის მემსწავლელი ლაბორატორია პირველად ჩამოყალიბდა პროფ. ნ. კ. ლახტინმა.

მიუხედავად იმისა, რომ მეფის რუსეთში რუსი ინჟინრების თუშაობა შეზღუდული იყო, ვინაიდან თვითმკურობელობა უცხოელი სპეციალისტების წინაშე მონური ქედის მოხრის პოლიტიკას ატარებდა, რუსი ინჟინრების პროექტებითა და ხელმძღვანელობით აგებულ იქნა მთელი რიგი სამ-



ხელით ქარხნების რკინა-ბეტონის კორპუსები და სამრეწველო და სამოქალაქო შენობები, რომელთა




ნახ. 2

შორის ლენინგრადში აღსანიშნავია ნევის პროსპექტისა და გოგოლის ქუჩის გადაკვეთაზე №7 სახლი, უნივერსალური მაღაზია (ნახ. 2), სასტუმრო „ასტორია“ და ბევრი სხვ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებშივე, განსაკუთრებით აღდგენითს პერიოდში, იწყება რკინა-ბეტონის, როგორც სამშენებლო მასალის, ფართო გამოყენება. პირველ დიდ მშენებლობას, სადაც ფართოდ იყო გამოყენებული რკინა-ბეტონი, წარმოადგენდა პიდროელსადგური მდინარე ვოლხოვზე (1921—1926 წწ.). ეს სადგური დაპროექტებული და აგებულია საბჭოთა კონსტრუქტორებისა და ინჟინრების ძალებით. ვოლხოვზე პიდროელექტროსადგურის მშენებლობის დამთავრების შემდეგ 1927 წელს დაიწყო მძლავრი პიდროელექტროსადგურის მშენებლობა მდინარე დნეპრზე, ხოლო 1928 წელს — მდინარე სვიტზე. მათი მშენებლობისათვის ძირითად გამოყენებული იყო ბეტონი და რკინა-ბეტონი.

ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი პირველი — ვ. ი. ლენინის სახელობის ზემოავჭალის პიდროელექტროსადგურის მშენებლობა, დაწყებული




ნახ. 3

1923 წელს მდინარე მტკვარზე (ნახ. 3). აქაც მშენებლობაში გამოყენებული იყო ბეტონისა და რკინა-ბეტონის სხვადასხვა კონსტრუქციები.

პირველი ხუთწლედის დასაწყისში შეიქმნა სამშენებლო კავშირო საპროექტო ორგანიზაცია, რომლის ამოცანას შეადგენდა ქარხნებისა და სამრეწველო კომბინატების პროექტების დამუშავება. ამ ობიექტების მშენებლობაში მთავარი როლი ეჭირა რკინა-ბეტონს, როგორც სამშენებლო მასალას. ამ პერიოდისათვის აგებული იყო კრამატორსკის მანქანათსაშენებელი და ბევრი სხვა ქარხანა და სამქრო დიდმალიანი ჩარჩოვანი და თაღოვანი რკინა-ბეტონის კონსტრუქციებით (ნახ. 4).

1928 წლიდან მშენებლობაში გამოყენებას პოულობს თხელკედლიანი სივრცითი სახის კონსტრუქციები — გარსები, ნაოჭები, გუმბათები და სხვ. ამ დროისათვის საბჭოთა მეცნიერების მიერ შემუშავებულ და განვითარებულ იქნა თხელკედლიანი გადახურვების თეორიული ანგარიში და დაპროექტების მეთოდები, რითაც ჩვენმა მეცნიერებმა მნიშვნელოვნად გაუსწრეს საზღვარგარეთელ მეცნიერებს. პროფ. ვ. ზ., ვლასოვის მიერ




ნახ. 4

შექმნილი გარსების თეორიის საფუძველზე სამრეწველო მნიშვნელობის ცენტრალურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (ЦНИИПС) პროფ. ა. ა. გვოზდევის ხელმძღვანელობით შესრულებული იყო დიდი თეორიული და ექსპერიმენტული გამოკვლევები, რის საფუძველზე გამოიცა პირველი ინსტრუქცია თხელკედლიანი გადახურვების და სახურავების ანგარიშისა და დაპროექტების შესახებ.

ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს საქართველოს მრავალი საპროექტო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებისა და განსაკუთრებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

საქართველოს საქმის ინსტიტუტის მუშაკთა მეტად ნაყოფიერი მუშაობა. მათი კონსტრუქციებითა და პროექტირებით თბილისში აგებულ და გადახურულ იქნა მრავალი მნიშვნელოვანი და საგულისხმო საწარმო. მათ შორის შეგვიძლია დავასახელოთ თბილისის მაუდ-კამპოლის ფაბრიკის მთავარი კორპუსისა და ტრამვაი-ტროლეიბუსების სამართველოს სპორტული დარბაზის გადახურვა ორმაგი სიმრუდის გარსებით და ბევრი სხვა.

პირველი თხელკედლიანი გუმბათი მნიშვნელოვანი მაღლით აშენებული იყო 1929 წელს ქ. მოსკოვში, ხოლო 1934 წ. მსოფლიოში უველავე დიდი გუმბათი 55,5 მ დიამეტრით — ქ. ნოვოსიბირსკში (ნახ. 5), რომლის პროექტის დამუშავების ხელმძღვანელი იყო პროფ. პ. ლ. პასტერნაკი.



ნახ. 5

1929 წლიდან მსხვილ ნაგებობათა მშენებლობაში დიდი გამოყენება პოვა შესაკრებმა კონსტრუქციებმა. 1933 წელს შემუშავდა და გამოიცა ინსტრუქცია შესაკრებ კონსტრუქციათა შესახებ, რამაც დიდად შეუწყო ხელი რკინა-ბეტონის აღნიშნული კონსტრუქციების ფართოდ გამოყენებასა და გავრცელებას. ამ პერიოდისათვის განვითარდა რკინა-ბეტონის სამშენებლო დეტალების დამამზადებელი მრეწველობა, რითაც ბევრად წინ გავსწარით საზღვარგარეთის ქვეყნებს.

საბჭოთა მეცნიერების მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს წინასწარ დაძაბული რკინა-ბეტონის კონსტრუქციები, რომელთა გამოყენება იწყება 1930 წლიდან, როდესაც პროფ. ვ. ვ. მიხაილოვის მიერ ქ. თბილისში ჩატარებულ იქნა სათანადო ექსპერიმენტული სამუშაოები. 1934 წელს გამოშვებულ იქნა წინასწარ დაძაბული რკინა-ბეტონის კონსტრუქციების დაგეგმარების ინსტრუქცია (პროექტი), რომელიც დამუშავებული იყო სამრეწველო მშენებლობის ცენტრალურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში პროფ. ა. ა. გვოზდევის ხელმძღვანელობით.

მნიშვნელოვანი გამოყენება პოვა რკინა-ბეტონმა მიწისქვეშა მშენებლობებშიც. ამ მხრივ აღსანიშნავია პირველი რიგის მეტროპოლიტენის მშენებლობა ქ. მოსკოვში. აქ სამშენებლო სამუშაოების უმთავრესი ნაწილი შესრულებულია რკინა-ბეტონის კონსტრუქციებით.

პირველი ხუთწლედის ბოლო წლებში სამშენებლო სამუშაოების ფართო მასშტაბით გაშლამდა განვითარებამ წამოჭრა სამშენებლო მასალებისა და პირველ რიგში ლითონის ეკონომიის საკითხი. ამ მიზნით ჯერ განხორციელებულ იქნა არმატურის პირაპირების ელექტროშედულება, ხოლო შემდეგ — მაღალი დენადობის ზღვარის მქონე ლითონის ლეროების გამოყენება რკინა-ბეტონის კონსტრუქციებში.

სამშენებლო მასალების, ბეტონისა და ლითონის ეკონომიის საკითხი გადაჭრილ იქნა აგრეთვე მათზე დასაშვები ბაზების გაზრდით, რაც თავისთავად სიმტკიცის მარაგის კოეფიციენტის შემცირებას მოასწავებდა.

1932 წელს დაიწყო რკინა-ბეტონის ქველი თეორიის გადასინჯვა ამავე წელს პროფ. ა. ფ. ლოლეიტის მიერ წამოყენებული წინადადების საფუძველზე. 1936 წლის სექტემბერ-ოქტომბერში პროფ. ლოლეიტის იდეის მიხედვით სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან არსებულ რკინა-ბეტონის კონსტრუქციების ლაბორატორიაში პროფ. ა. გვოზდევის ხელმძღვანელობით დამუშავებულ იქნა რკინა-ბეტონის ელემენტების ანგარიშის ახალი თეორია რღვევის სტადიის მიხედვით. ლოლეიტის წინადადებამ მნიშვნელოვანი გამოხატულება პოვა 1939 წ. გამოცემულ ახალ ნორმებსა და ტექნიკურ პირობებში.

ამ საკითხთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ქ. ზავრიევის მიერ ჯერ კიდევ 1913 წ. პირველად წამოყენებული წინადადება ლითონის კონსტრუქციების მრღვევი ძაბვებით გაანგარიშების შესახებ.

რკინა-ბეტონის კონსტრუქციების ახალი მეთოდით (მრღვევი ძაბვით) გაანგარიშება ქველი მეთოდით (დასაშვები ძაბვით) გაანგარიშებასთან შედარებით ლითონის ეკონომიას იძლევა. რკინა-ბეტონის კონსტრუქციების ახალი მეთოდით გაანგარიშებამ დიდი გამოხმაურება პოვა საზღვარგარეთელ მეცნიერთა შორის, რომლებმაც საბჭოთა მეცნიერების მიერ შექმნილი ახალი მეთოდის საფუძველზე დაიწყეს მუშაობა.

ახალი თეორიის შექმნის, თეორიული და ექსპერიმენტული სამუშაოების დასაწყისი დაახლოებით ემთხვევა რკინა-ბეტონის გამოყენების განვითარების მეორე ეტაპის დასაწყისს, რომელიც სივრცითი კონსტრუქციებისა და წინასწარ დაძა-

ბული რკინა-ბეტონის კონსტრუქციების დამუშავებითა და გამოყენებით ხასიათდება.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ მნიშვნელოვანი მიღწევებია მოპოვებული რკინა-ბეტონის სამუშაოების ორგანიზაციისა და მათი წარმოების საქმეში. სვირის ელექტროსადგურისა და სხვა დიდ მშენებლობებზე გამოყენებული იყო ისეთი მექანიზმები, რომლებიც ბევრად ჭაბლა უცხოეთის მრავალი ქვეყნის მშენებლობებზე გამოყენებულ მექანიზმებს.

დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ზამთრის პირობებში ბეტონისა და რკინა-ბეტონის სამუშაოების შესარიცხვების მეთოდთა დამუშავება საბჭოთა შეცნიერების (ს. ა. მირონოვი, ვ. ნ. სიზოვი და სხვ.) მიერ. ჩვენს ქვეყანაში ზედმეტია ლაპარაკი ბეტონისა და რკინა-ბეტონის სამუშაოების სეზონურობაზე. ზამთრის პირობებში ბეტონისა და რკინა-ბეტონის სამუშაოთა მოცულობით საბჭოთა ქვეყანას მსოფლიოში პირველი აღგილი უკავია.

რკინა-ბეტონის კონსტრუქციებმა გამოყენება პოვა რკინიგზების, გზატკეცილებისა და ქალაქის რკინა-ბეტონის ხიდების მშენებლობის საქმეშიც, რომლის დასაწყისად ითვლება 1899 წელი. 1901—1902 წწ. განმავლობაში მარტო რკინიგზის ერთ ხაზზე — ვიტებსკი-ულობინი აგებულ იქნა და საექსპლატაციოდ გადაეცა რკინა-ბეტონის 27 გზა-გამტარი და ხიდები, რომელთა საერთო სიგრძე 412 გრძივ მეტრს უდრიდა. ხიდების მშენებლობის საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის აკადემიკოსს გ. პ. პერედერიის, რომლის მიერ დაწერილი რკინა-ბეტონის ხიდების პირველი კურსი 1912 წ. გამოიცა. მის მიერვე იქნა დამუშავებული შესაკრები რკინა-ბეტონის ხიდების საკითხი, ხოლო 1936 წ. გ. პ. პერედერიის მიერ შედგენილი პროექტით მდინარე ნევაზე ააგეს დიდმალიანი თაღოვანი ხიდი, რომელშიაც არმატურად გამოყენებული იყო შილები. ეს ხიდი თავისი სიდიდითა და კონსტრუქციით ერთადერთია მსოფლიოში. დიდმალიანი რკინა-ბეტონის ხიდები, აგებული დნეპრზე, ვოლგაზე, მოსკოვზე, მტკვარზე და სხვა მდინარეებზე, მოწმობენ საბჭოთა კავშირში ხიდების მშენებლობაში რკინა-ბეტონის ფართოდ გამოყენებას და დიდ მიღწევებს ამ საქმეში.

უკანასკნელი წლები რკინა-ბეტონის თეორიისა და პრაქტიკის მნიშვნელოვანი განვითარებით ხასიათდება. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, საპროექტო ორგანიზაციებისა და ცალკეული მკვლევარების მიერ შესრულებული მუშაობის შედეგად შექმნილია რკინა-ბეტონის სხვადასხვა სახის ორიგინალური კონსტრუქციები, რომელთა გაანგარიშებისა და კონსტრუქციების მეთოდები საზღვარგარეთულ მეთოდებზე უფრო მოწინავეა. პირველად ჩვენს ქვეყანაში დამუშავდა და წარმოებაში დაინერგა განუწყვეტელი არმირების პრინციპი. დიდი მიღწევებია მოპოვებული პირო-

ელექტროსადგურების, კაშხალების, გვირაბებისა და სხვა სახის პიდროტექნიკურ მშენებლობაში. სერიოზულ მიღწევად უნდა ჩაითვალოს წინასწარ დაძაბული კონსტრუქციების გამოყენება მშენებლობის სხვადასხვა დარგში და განსაკუთრებით კომპოვანი რკინიგზის ხიდების მშენებლობის საქმეში.

საბჭოთა მეცნიერებისა და მკვლევართა მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს ახალი რკინა-ბეტონის კონსტრუქციების დაპროექტების ნორმებისა და ტექნიკური პირობების შემუშავება (გამოიცა 1948 წ.). რკინა-ბეტონის ახალი კონსტრუქციების დაპროექტების ნორმები და ტექნიკური პირობების პროექტი 1948 წ. იახვარ-თებერვალში განიხილა და დააზუსტა ბეტონისა და რკინა-ბეტონისადმი მიძღვნილმა საკავშირო კონფერენციამ, რომელიც თბილისში შედგა.

ჩვენს ქვეყანაში მეტად მნიშვნელოვანი და საგულისხმო მუშაობაა ჩატარებული მსუბუქი რკინა-ბეტონის შესწავლისა და მისგან დამზადებული კონსტრუქციების გამოყენებისა და დანერგვისათვის. საბჭოთა კავშირში პირველად (1929—1933 წწ.) თბილისში დამუშავდა მსუბუქი რკინა-ბეტონის თეორიის საკითხები. ამ საკითხებზე მომუშავე პირებიდან უნდა დავასახელოთ პროფ. ი. ი. შტაერმანი, მ. ზ. სიმონოვი, პროფ. მ. ა. იაკუბოვიჩი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი გ. დ. ცისკრელი და ბევრი სხვ. საკითხები მუშავდებოდა საქართველოს სსრ აკადემიის ნამდვილი წევრის კ. ს. ზავრიევის უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით. მსუბუქი რკინა-ბეტონის შესწავლისა და განვითარების საქმეში დიდი მუშაობაა ჩატარებული თბილისის ნაგებობათა და პიდროენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ТНИСГЭЙ) მიერაც.

1932 წ. პირველად თბილისში მსუბუქი რკინა-ბეტონისაგან აგებულ იქნა მაცივრის გადახურვა, რამაც დიდად შეუწყო ხელი ჩვენს ქვეყანაში და განსაკუთრებით საქართველოში მსუბუქი რკინა-ბეტონის გამოყენებას და ამ საქმის განვითარებას. პირველად საბჭოთა კავშირში საქართველოში იქნა აგებული ხიდი მსუბუქი რკინა-ბეტონისაგან. საქართველოს მშენებელთა საგულისხმო და ენერგიულმა მუშაობამ გამოხმაურება პოვა 1948 წ. ბეტონისა და რკინა-ბეტონისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე (თბილისში), რომელმაც ხელი შეუწყო მსუბუქი ბეტონისა და რკინა-ბეტონის გავრცელებას და გამოყენებას საბჭოთა კავშირში.

სსრ კავშირში რკინა-ბეტონის თეორიისა და პრაქტიკის განვითარება ახლანდელ პერიოდში აღინიშნება ახალი — მესამე ეტაპით, რომელიც ხასიათდება რკინა-ბეტონის სამუშაოების ინდუსტრიალიზაციაზე (შესაკრები და მონოლითური კონსტრუქციები) და ახალ პროგრესულ მეთოდზე (კონსტრუქციის ზღვრული მდგომარეობის მიხედვით გაანგარიშება) გადასვლით.

# გვარენის ბორჯომის მუზეუმი

რა დროიდან არის ცნობილი ბორჯომის მინერალური წყლები

## იჩივე კავანაძე

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი

ლიტერატურაში, რომელიც ბორჯომის მინერალურ წყლებს შეეხება, გავრცელებულია აზრი, რომ თითქოს ეს მინერალური წყლები აღმოჩენილი და ცნობილია 1825 წლიდან, მას შემდეგ, რაც მათ პირველად წაწყდნენ ხერსონის გრენადერთა პოლკის ჯარისკაცები.

ეს პოლკი მონაწილეობას იღებდა ახალციხის აღებაში 1828 წელს და ომის შემდეგ დაბანაკებული იყო ქ. გორში. მართლაც, ამ პოლკის ჯარისკაცები, რომლებიც დღევანდელ ქ. ბორჯომის ტერიტორიაზე ხე-ტყეს ამზადებდნენ, წაწყდნენ მინერალურ წყლებს, რაც მათვე პირველად ჩაიტანეს ქ. გორში. ამის შემდეგ 1837 წლიდან იწყება ამ წყლების მეცნიერული შესწავლა. ვიდრე ხერსონის გრენადერთა პოლკის ჯარისკაცები ამ წყლებს წაწყდებოდნენ, იგი უკვე მოიხსენიეს 1825 წელს გამოცემულ წიგნში: „საქართველოს მედიკო-ტოპოგრაფიული აღწერა“, სადაც ბორჯომის მინერალური წყლების შესახებ ნათქვამია: „მნახველები მეტად აქებენ და მრავალ ავაღმყოფობას კურნავს“. ეს ფაქტი იმას ამტკიცებს, რომ მიუხედავად ბორჯომის მინერალური წყლების მეტად საშიშარ აღგილზე მდებარეობისა (იგი თურქეთის საზღვრებში შედიოდა) მისი სამკურნალო თვისებები იმდენად ცნობილი იყო ხალხში, რომ არ უშინდებოდნენ ათასგვარ დაბრკოლებებს და ახერხებდნენ იქ სამკურნალოდ წასვლას. ხოლო იმის გამო, რომ ეს წყლები პირველად 1825 წ. იქნა მოხსენიებული ლიტერატურაში და ხერსონის გრენადერთა პოლკის ჯარისკაცების მეშვეობით დაიწყო მისი სისტემატურად გამოყენება სამკურნალოდ (პირველად სამხედრო უწყებისათვის), ამიტომ მისი ისტორიის დასაწყისად ეს თარიღი მიიჩნიეს.

საისტორიო ლიტერატურაში ბორჯომის მინერალური წყლები არსად არ იხსენიება. მას არც ქართველი გეოგრაფი ვახუშტი იხსენიებს.

ნუთუ მართლა არ იცნობდნენ ბორჯომის შესანიშნავ მინერალურ წყლებს?

მრავალი ფაქტი აღასტურებს, რომ ბორჯომის მინერალური წყლები ცნობილი ყოფილა მეტად ძველი დროიდან. მაშ ჩით აიხსნება, რომ ეს წყლები მოხსენებული არ არის არც ერთ ლიტერატურულ წყაროში და არც ვახუშტის „საქართველოს აღწერაში“.

ცხადია, უწინ ბორჯომის მინერალური წყლები ცნობილი იქნებოდნენ სხვა სახელწოდებათ. ხოლო რაც შეეხება იმას, რომ ვახუშტის გამორჩა ბორჯომის წყლები, ეს შეიძლება აიხსნას საქართველოს მაშინდელი მდგომარეობით. იმ დროისათვის (1745 წ.) ბორჯომის ხეობა და მინერალური წყლები შედიოდა თურქეთის საზღვრებში, ამასთან ერთად მთელი ეს ტერიტორია მრავალჯერ აოხრების შედეგად, წარმოადგენდა უმოსახლო და უდაბურ ადგილს. ამიტომ აღვილი შესაძლებელია ვახუშტის არ ჰქონდა ცნობები ამ წყლების შესახებ მით უმეტეს, რომ მან თავისი შრომები დაწერა საქართველოს გარეთ.

ყველაზე მეტი დამადასტურებელი ფაქტი იმისა, რომ ბორჯომის მინერალური წყლები უხსოვარ დროიდანაა ცნობილი, არის 1912—1913 წლებში მინერალური წყლების ირგვლივ საკაპტაურ სამუშაოების დროს შვიდი უძველესი აბაზანის აღმოჩენა.

ამის შესახებ საინტერესოა პროფ. პ. ვინოგრადოვ-ნიკიტინის ხელნაწერი, რომელიც ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული.

„ეკატერინეს წყაროს ირგვლივ საკაპტაურ მუშაობის დროს, — წერს პროფ. ვინოგრადოვ-ნიკიტინი, — 1912—1913 წლებში, 9 არშინის სიღრმეზე, მდინარის მონაყარისა და ანდეზიტის კლდის ნამტვრევების ქვეშ, აღმოჩენილ იქნა შვიდი უძველესი აბაზანის ნაშთები, რომლებიც წარმოადგენდნენ პატარა აუზებს, ზომით  $3 \times 1,5$  და  $3 \times 2$  არშინს, გაკეთებულს უხეშად თლილი ქვებისაგან. ამ აბაზანების ზემოდან დალაგებული ტუფისა და რიყის ქვის ფენების მიხედვით, ამ უკანასკნელთა აშენება უნდა მივაკუთვნოთ მეტად შორეულ დროს არა ნაკლებ 1000 წლის წინა პერიოდს ანდა, შეიძლება, ჩვენი ერის დასაწყისს...“

გარდა ქვის აბაზანებისა, პროფ. ვინოგრადოვ-ნიკიტინის ხელნაწერის მიხედვით, ამავე დროს ზედა ფენებში აღმოჩენილია საბანაოები ხის ძელურების სახით. ისინი სხვადასსვა ხისა და სხვადასხვა სიღრმეზე ყოფილან. ჩანს, როდესაც ეს უძველესი აბაზანები მდ. ბორჯომულამ გადასილა და მასზე ახალი ფენები წარმოქმნა, შემდეგი დროის მოსახლეობამ ისევ მოაწყო ახალი საბანაოები. ამაზიგად, მოსახლეობა ყოველთვის სარგებლობდა ამ მინერალური წყლების სამკურნალო თვისებებით, რასაც

ადასტურებს სხვადასხვა სიღრმეზე აღმოჩენილი და სხვადასხვა დროის ზემოხსენებული ძველი აბაზანების ნაშთები.

ყოველივე ამის შემდეგ სამართლიანი იქნება, თუ ხერსონის გრენადერთა პოლკს მივაწერთ ამ მინერალური წყლების მრავალი წლების განმავლობაში დავიწყებისა და გავერანების შემდეგ აღმოჩენას (თუმცა მოსახლეობაში ცნობილი იყო ამ წყლების არსებობა), რამაც საფუძველი დაუდო მის მეცნიერულად შესწავლის დასაწყისს. ამ მნიშვნელობით სწორი იქნება, თუ მათ ისტორიას ამ პერიოდიდან დავიწყებთ. მართლაც, ძნელი დასაჯერებელია დაარც შეიძლებოდა, რომ ძველად ამ შესანიშნავი მინერალური წყლების ყველა სამკურნალო თვისება ცნობილი და გამოყენებული ყოფილიყო. ჩვეულებრივად მას ხმარობდნენ აბაზანების სახით და არა სასმელად, როგორც ეს ღლეს არის მიღებული. მისი სმა სამკურნალო მიზნით შემოღებულ იქნა მხოლოდ 1842 წლიდან ქართველ გრენადერთა პოლკის ეჭიმ ს. ა. ამიროვის მიერ.

ამ წყლების ახლანდელი სახელით მოხსენიება დაიწყეს 1830-იანი წლებიდან. ეს სახელწოდება მან მიიღო ბორჯომის ხეობიდან, რომელსაც აღრე, საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე (1801 წ.), ისტორიულად „მტკვრის ხეობა“ ეწოდებოდა. საინტერესოა, რატომ ეწოდა მტკვრის ხეობას ბორჯომის ხეობა.

ამის შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს.

ზოგი ახლანდელ სახელწოდებას ბორჯომის ხეობის ისტორიულ წარსულს უკავშირებს და აქედან „ბორჯომის“ ეტიმოლოგიის ახსნას ცდილობს. თითქოს სიტყვა „ბორჯომი“ შეღვებოდეს ორი სიტყვისაგან: „ბორჯ“ და „ომი“, სადაც პირველი სიტყვა თათრულია და ნიშნავს „ფესვს“, ხოლო მეორე არის ქართული, სიტყვა „ომი“. ზოგი ფიქრობს, რომ „ბორჯ“ ნიშნავს აულებელს, ზოგი უფრო შორსაც მიდის, რადგან გონია „ბორჯომის“ მაგივრად უნდა იყოს „გურჯი“, რაც თათრულად ქართველს ნიშნავს, ხოლო „გურჯომი“ ქართველებთან ომისაგან არის წარმომდგარი. ერთი სიტყვით, ამ სიტყვის მნიშვნელობას და წარმოშობას ყველა ბორჯომის ხეობაში წარმოებულ ხშირ ბრძოლებს უკავშირებს.

ჩვენ აქ არ გვაინტერესებს სიტყვა „ბორჯომის“ მნიშვნელობა ენათმეცნიერების თვალსაზრისით. ჩვენ გვინდა გავარკვიოთ საიდან მიიღო მტკვრის ხეობამ ეს სახელწოდება, რომლითაც მისი მოხსენიება იწყება 1820-იანი წლებიდან, ესე იგი საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდგომი დროიდან, როდესაც აქ არავითარი ბრძოლები აღარ წარმოებულა.

ვახუშტი ბაგრატიონი თავის შრომაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (1745 წ.) დღევანდელ

ქ. ბორჯომის ტერიტორიაზე იხსენიებს ომ უფელს: ნუას (მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეზე) და ეშმაკთუბანს (მდ. მტკვრის მარცხენა მხარეზე), ხოლო სოფ. ბორჯომს და ბორჯომის ხეობას ქ. ახალციხეს იქით.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“, რომელიც თურქებმა მათ მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე (რომლებშიც ბორჯომის ხეობაც შედიოდა) გადასახადების გაწერის მიზნით 1595 წელს შეაღვინეს, „ბორჯომის“ სახელწოდებით არც ერთი დასახლებული პუნქტი არ იხსენიება.

ბორჯომის ხეობის ყოფილი მფლობელები თავადი ავალიშვილები, რომლებიც პრეტენზიას აცხადებდნენ ბორჯომის ხეობაზე, კავკასიის მეფის ნაცვლის მ. ვორონცოვისაღმი მიცემულ 1851 წლის 12 ივნისს დაწერილ თხოვნას ასე იწყებენ:

„ოქვენო ბრწყინვალებავ! ძველთაგან ჰქონდათ ნაბოძები სანუქაფოთ ერთგულებითისი ნამსახურობისათვის წინაპართა პაპათა და მამათა ჩვენთა, თავადთ ავალოვთა საზოგადოთ მტკვრის ხეობა, რომელსაცა აწ უწოდებენ ბორჯომის უჩელიედ...“\*

ამრიგად, ეს სახელწოდება ახალი დროისაა და ბორჯომის ხეობის ისტორიულ სახელწოდებას არ წარმოადგენს.

გაშ რატომ ეწოდა მტკვრის ხეობას ბორჯომის ხეობა და საიდან ან ვინ მოიტანა ეს სახელწოდება?

გაზეთი „კავკაზი“ 1853 წლის 2 ივლისის (33-ე) ნომერში წერდა:

„...მტკვრის ხეობა ბორჯომის ხეობად იწოდება ახლო ხნიდან. სახელწოდება თითქმის რუსების მიერაა შემოღებული. მათ, ალბათ, არ სურდათ ემტვრიათ ენა და ამ ხეობას უწოდეს ახალციხის ზევით, 48 ვერსის მანძილზე მდებარე უმნიშვნელო ხეობის სახელწოდება. სხვათა შორის, რამდენიმე ძველი მცხოვრები ირწმუნება, რომ ხეობის შესავალთან, სურამის მხრიდან, იმყოფებოდა საღარაჯო კოშკი ბორჯომის სახელწოდებით. მართლაც, ამ დრომდე შესამჩნევი იყო ხეობის შესავალთან არა მარტო კოშკის ნანგრევები, არამედ ქვის ძველი ხილისაც და ციხე-სიმაგრისაც, რომელიც მდებარეობდა მაღალი, კონუსური მთის მწვერვალზე“.

უდავოა, რომ მტკვრის ხეობას ბორჯომის ხეობა უწოდეს რუსმა ჯარისკაცებმა იმ საღარაჯო კოშკის სახელწოდების მიხედვით, რომელიც ხეობის დასაწყისში სოფ. ტაშისკართან იდგა. ამ აღგილას გადიოდა საქართველოსა და თურქეთის საზღვარი 1828 წლამდე, ესე იგი ახალციხის აღებამდე.

ვინაიდან ლეკები საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგაც არ წყვეტილი თავიანთ ყაჩა-

\* დედანი დაცულია ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ღურ თავდასხმებს ახალციხიდან ბორჯომის ხეობით, მთავრობამ ხეობის შესავალი გაამაგრა ჯარის ნაწილებით. აქ ყოველთვის იდგა ქართული მილიციის ქვეითი და ცხენოსანი რაზმები. ამ გამაგრებულ ადგილს უწოდებდნენ „ბორჯომის ბლოკპაუზის“, ვინაიდან აქვე იდგა ძველი პატარა სადარაჯო კოშკი, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები „ბორჯომს“ თუ „ბურჯომს“ უწოდებდნენ. ამ ნაკლებად ცნობილი კოშკის არსებობას შეიძლება კვალი არ დაეტოვებინა, თუ მისი სახელის მიხედვით აქ გამართულ ბლოკპაუზისათვის რომ „ბორჯომის ბლოკპაუზი“ არ ეწოდებიათ. 1807 წლიდან ქართული მილიციის რაზმებს სურამიდან მე-9 ეგერთა პოლკი დაუმატეს. ამ პოლკის ჯარისკაცებმა, რომლებიც, უეჭველია, დაზვერვის ან სხვა სამხედრო მიზნით, დროდადრო შევიღოდნენ მტკვრის ხეობაში, თანდათანობით ხმარებაში შემოიტანეს სახელწოდება „ბორჯომის ხეობა“ „ბორჯომის ბლოკპაუზის“ მიხედვით, რაც შემდეგ სამხედრო მიმოწერაშიც დამკვიდრდა.

ახალციხის აღების შემდეგ (1828 წ.) სამხედროთა საშუალებით ეს სახელწოდება მთელ მტკვრის ხეობაზე გავრცელდა, რაღანაც მას განაგებდნენ სამხედრო ნაწილები და იგი უმოსახლო და უდაბურ ადგილს წარმოადგენდა. ეს სახელწოდება განმტკიცდა და საბოლოოდ შერჩა ისტორიულად მტკვრის ხეობას.

რაც შეეხება გაზ. „კავკაზის“ ერთ ვარაულს, რომ ბორჯომის ხეობის სახელწოდებად თითქოს გადმოტანილ იქნა ახალციხის იქით მდებარე უმნიშვნელო ხეობის სახელწოდება, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. მტკვრის ხეობას ბორჯომის ხეობა ჯერ კიდევ ახალციხის აღებამდე ეწოდა, ამიტომ შეუძლებელია აქ გადმოეტანათ ჯერ კიდევ თურქეთის საზღვრებში მოქცეულ ტერიტორიაზე არსებული ხეობის სახელწოდება.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ბორჯომის ხეობის ამ სახელწოდებით მოხსენიება იწყება 1820-იანი წლებიდან. ამის შემდეგ ეს სახელი ეწოდა ბორჯომის მინერალურ წყლებს, ხოლო უფრო გვიან, 1840-იან წლებში, მინერალურ წყლებთან შექმნილ დასახლებულ პუნქტს — დღევანდელ ქ. ბორჯომს, რომელმაც ძველ სოფელ ნუას ტერიტორია დაიკავა.

ამრიგად, ბორჯომის მინერალური წყლები ცნობილია ძველი დროიდან, ხოლო დღევანდელი სახელწოდებით იხსენიება 1830-იანი წლებიდან. რა სახელწოდებით იცნობდნენ ძველად ამ შესანიშნავ სამკურნალო წყლებს, ცნობილი არ არის.

# საბჭოთა მეცნიერების ცენტრის მიღწევები

## ასბოვინილი

მოსკოვის ქიმიური მანქანათმშენებლობის ინსტიტუტის მასალების ქიმიური წინალობის ლაბორატორიაში ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ი. ი. კლინოვის ხელმძღვანელობით დიდი კვლევითი მუშაობა ჩატარდა ახალი სახის პლასტიკური მასის — ასბოვინილის დამზადებისა და ათვისებისათვის. ასბოვინილს კარგი ანტიკოროზიული თვისებები აქვს.

ასბოვინილი — ეს არის გაფხვიერებული ასბესტისა და შემკვრელი ნივთიერების — სანდალოზ „ეტინოლის“ — ერთ-ერთი ქიმიური წარმოების ნარჩენის ნარევი.

ასბოვინილის დამზადების პროცესი მარტივია. ეტინოლისა და ასბესტის სათანადო რაოდენობას შემრევებში ჩატავირთავენ. ამ ნარევს საათანახვევის განმავლობაში გაუთბობლად ურევენ, ვიღრე ერთგვაროვან პროდუქტს მიიღებდნენ. ქიმიურ სიმტკიცეს ასბოვინილი გამყარებისას იძენს. ამის შემდეგ იგი თვისებებს არ იცვლის მინუს  $50^{\circ}$ -დან +  $110^{\circ}$ -დე ფარგლებში.

ტექნოლოგიის სიმარტივის მეოხებით ასბოვინილის დამზადება თვით მომხმარებელ ქარხნებს შეუძლიათ.

ასბოვინილი იხმარება სხვადასხვა მიღების, სამკაპების, არმატურისა და ქიმიური აპარატურის სხვა დეტალების დამზადების დროს.

ლითონის ან კერამიკული ნაწარმის ზედაპირზე წასმული ასბოვინილი კარგად ეკვრის მას და კოროზიისაგან იცავს.

ასბოვინილით დაფარული აპარატების ხანგრძლივი ექსპლოატაციის გამოცდილება კარგ შედეგებს უჩვენებს. ასბოვინილის შემოღება უფანგავი ფოლადის, კერამიკის, ტყვიისა და სხვა ფერადი ლითონების მნიშვნელოვანი რაოდენობის დაზოგვის შესაძლებლობას იძლევა მრეწველობის სხვადასხვა დარგში. («ტეხნიკა მოლოდენი»)

## ეკონომიკური სასწორი

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სახელმისამართის სახელმისამართის შემთხვევაში პირველი პარტია ავტომატური სასწორებისა, რომლებიც დანიშნულია კალის, ტყვიის და სპილენძის ფხვნილის, მურის, გრაფიტის, გაფხვიერებული კოქსის, ფინის ასაწონად. ახალი აგრეგატები ალკაზმულია სპეციალური ვიბრომკვებავით, რომელიც უზრუნველყოფს მასალის თანაბარზომიერ და შეუფერხებელ მიწოდებას ხვიმირიდან სასწორზე. მართვის ელექტროპნევრონური სისტემა შესაძლებელს ხდის აღნიშნული მასალების წინასწარ გათვალისწინებული რაოდენობის აწონვას. ამ ოპერაციის დამთავრების შემდეგ აგრეგატი ავტომატურად ჩერდება.

დამზადებულია სასწორები სასოფლო-სამეურნეო შეამშალების გაწონაფუთვისათვის. დაწყებულია ახალი ავტომატური სასწორების წარმოება თევზის მრეწველობისათვის.

ქარხნა შეუდგა აპარატების გამოშვებას ფქვილის მექანიკური გაწონაფუთვისათვის და ტომრებში მისი ჩატარებისათვის. ასეთი აპარატის მწარმოებლობა ათასამდე ტონას შეადგენს ცვლაში.

(„ლენინგრ. არაედა“)



# ქართული გამოკვლევების უნიტარულ არქეოლოგი

აპრილში საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა მოისმინა ჩრდილოეთის საზღვაო გზის სამმართველოს არქტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მოხსენება ომის შემდგომ პერიოდში საბჭოთა გამოკვლევებისა და აღმოჩენების შესახებ ცენტრალურ არქტიკაში.

ჩატარებული ექსპედიციებისა და მოდრეიფე ყინულებზე მეცნიერული სადგურების ხანგრძლივი მუშაობის შედეგად კომპლექსური გამოკვლევებია განხორციელებული ცენტრალური არქტიკის რაიონებში, რომლებიც წინათ არ ყოფილა შესწავლილი.

1948—1949 წლებში ექსპედიციების მიერ აღმოჩენილია, შემდგომ წლებში კი გამოკვლეულია დიდი წყალქვეშა ქედი, სიმაღლით 2,5-3 კილომეტრი, რომელიც ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეს კვეთს ახალ ციმბირის კუნძულებიდან გრენლანდიის მიმართულებით, აგრეთვე ფსკერის რიგი სხვა ამაღლებანი, რომლებიც ოკეანეს რამდენიმე ლრმაწყლიან ტაფობად ყოფენ. შედგენილია ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის ცენტრალური ნაწილის სიღრმეთა პირველი სარწმუნო რუკა.

საექსპედიციო გამოკვლევების მასალები შესაძლებლობას იძლევა გადავსინჯოთ არქტიკული აუზის ცენტრალური ნაწილის გეოლოგიური წარსულის საკითხი. გამორკვეულია მცდარობა შეხედულებისა აქ უძველესი მდგრადი ბელტის არსებობის შესახებ. საბჭოთა გამოკვლევების შედეგებმა დაადასტურა სისწორე გულვებისა, რომ ჩრდილოეთის ოკეანის სიღრმეებში დაძირულია ნაოჭა ქედი, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიიდან ჩრდილოეთის პოლუსით ელსმირის მიწისაკენ ვრცელდებოდა.

საბჭოთა მეცნიერებმა ვრცელი მასალები შეკრიბეს ოკეანის წყლის მასების ხასიათის შესახებ, ცენტრალურ არქტიკაზე ატმოსფეროს სტრუქტურის შესახებ, გამორკვეულია მნიშვნელოვანი კა-

ნონზომიერებანი არქტიკით ციკლონებისა და ანტიციკლონების მოძრაობისა და მასთან დაკავშირებული ყინულების დრეიფის შესახებ.

დაღასტურდა საბჭოთა მეცნიერების პიპოთეზა გეომაგნიტური ველის თავისებურებებზე ცენტრალურ არქტიკაში. აღმოჩენილი და გამოკვლეულია განსაკუთრებული მაგნიტური ანომალია, რომელიც არქტიკული აუზის უზარმაზარ ფართობზე ვრცელდება. ექსპედიციების მუშაობის შედეგად შედგენილი რუკა გვიჩვენებს, რომ მაგნიტური მერიდიანები, მჭიდროვდებიან რა ტაიმირის ნახევარკუნძულის რაიონში, უფრო ჩრდილო-აღმოსავლეთით თავს იყრიან თითქმის პარალელური ხაზების ვიწრო კონად, რომლებიც პოლუსის მახლობელი რაიონიდან მიიმართებიან კანადის არქტიკული არქიპელაგისაკენ; ამავე დროს გამორკვეულია, რომ „მეორე მაგნიტური პოლუსი“ არქტიკაში არ არსებობს. ახალი საინტერესო მონაცემებია მიღებული მაღალ განედებში მაგნიტური შეშფოთებების შესახებ.

ცენტრალურ არქტიკაში მოდრეიფე ყინულებზე მუშაობის დროს ნაპირებიდან შორეულ მანძილზე (1000 და მეტი კილომეტრი) ნაპოვნია პოლარული ტერიტორიის ცხოველთა სამყაროს სხვადასხვა წარმომადგენლები: თეთრი დათვები, თეთრი მელიები, სელაპები და სხვ. ოკეანის წყალში აღმოჩენილია ახალი, წინათ უცნობი სახეები პლანქტონური ორგანიზმებისა, კერძოდ, რიგი ნიჩაბფეხიან კიბოებისა. აღმოჩენილია არქტიკის აუზის სპეციფიკური სიღრმის ფაუნა, რომელიც არ გვხვდება მსოფლიო ოკეანის სხვა რაიონებში, ჩატარებულია აგრეთვე მთელწლიური ციკლი დაკვირვებებისა ზოო- და ფიტოპლანქტონის განვითარებასა და გადაადგილებაზე ოკეანის სიღრმეებში. რიგი პლანქტონური ორგანიზმების არარსებობა დასავლეთის ტაფობის ღრმა წყლებში ადასტურებს, რომ წყალშვეშა ქედი ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის

ცენტრალურ ნაწილს ორ განცალკევებულ აუზად ჰყოფს. პირველადაა შეკრებილი მასალები არქტიკული აუზის აღმოსავლეთ ნაწილის ფსკერული ფაუნის შესახებ.

საბჭოთა მეცნიერთა ბიოლოგიური დაკვირვებებით უარყოფილია შეხედულებები სიცოცხლის უალრესი სილარიბის შესახებ ცენტრალურ არქტიკული.

თავის გამოკვლევებს არქტიკის მაღალ განედებში საბჭოთა მეცნიერები მჭიდროდ უკავშირებენ სახალხო მეურნეობის პრაქტიკას, პირველ რიგ-

ში ჩრდილოეთის საზღვაო გზით ნავიგაციის მუშა-ხურებას ამინდისა და ყინულების მდგომარეობის პროგნოზებით.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრე-ზიდიუმმა აღნიშნა, რომ ჩატარებულ გამოკვლეულ ვებს მოყვა უდიდესი მეცნიერული აღმოჩენები, რომელთა შედეგადაც უნდა გადაისინჯოს ბევრი წინანდელი წარმოდგენა ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის ცენტრალური ნაწილის ბუნების შესახებ.

## საგართა ცეკვის მიღვევები

### ტყის გაშენების ახალი ხერხი

მიმდინარე წელს არხანგელსკის ოლქში გამოიყენეს ტყის უშუალოდ თოვლზე თესვის ახალი ხერხი. უქარო ამინდში გამოთესილი თესლი ხვდება ფხვიერ თოვლზე და, ტენთან ერთად შეაღწევს რა ნიადაგში, ღივდება ჩვეულებრივზე უფრო ადრე. დღის განმავლობაში მფრინავი თესავს 50 ჰექტარამდე, თითოეულ ჰექტარზე ხარჯავს კილოგრამ თესლს. ეს ფართობი მოვლი დღის განმავლობაში ხელით რომ ეთესათ, საჭირო იქნებოდა ოთხასი მუშა.

მიმდინარე წელს არხანგელსკის ოლქში ახალი ხერხით დაითხოვთ თრი ათასი ჰექტარი ტყე.

### უკომპრესორო წრფივდენადი ფრქვევანა

ყოველ მშენებლობაზე ფართოდ გამოიყენება საბათქაშო სამუშაოები. ხსნარის მექანიზებული მიწოდება სამუშაო ადგილზე და მისი შელევსა კედლზე ჩვეულებრივ ხორციელდება კომპლექსური დანადგარის დახმარებით. ასეთი დანადგარები რთულია მომსახურების მხრივ და ბევრ ელექტროენერგიას საჭიროებს.

საბჭოთა ინჟინრებმა შექმნეს მოსაბათქაშებელ ჰედაპირზე ხსნარის მოფრქვევის უკომპრესორო ხერხი. ამ ტიპის დანადგარებში გამოიყენებულია ხსნარის წნევა, რომელიც შექმნილია პლუნერული ხსნარტუმბოთი. ეს პრინციპი საშუალებას იძლევა კირ-სილიანი ხსნარი მოფრქვეულ იქნეს უპარო ჰიდრაულური ხერხით.

უკომპრესორო დანადგარისათვის დაგეგმარებულია ახალი წრფივდენადი ფრქვევანა. ხსნარი ფრქვევანის ვიწრო ნახვრეტით მიეწოდება მოსაბათქაშებელ ჰედაპირზე 1,5-დე მეტრის სიგრძის და 50—80 სმ-დე სიგანის ბრტყელი ჭავლის სახით.

წრფივდენადი ფრქვევანა წარმოადგენს სხვადასხვა დიამეტრის მქონე ორი მილის ნაკერს, რომლებიც ერთმანეთში ჩახანილია მუფთით. ნაკლები დიამეტრის მქონე მილის წინა ნაკერზე მონტირებულია ჩამკეტი მოწყობილობა. იგი შედგება სახელურისა, ზამბარისა, რეზინის სარქველისა, თამასისა, სარეგულებელი ხრახნისა და ცალულისაგან. სახელურის დაშვებისას იღება რეზინის სარქველი და სეგმენტური ამონაკერით, რომელიც კუჭრუტანას ქმნის, ხსნარი პირდაპირ ნაკადად ამოდის ჰედაპირზე.

წრფივდენადი ფრქვევანა სახმარებლად ადვილია და დიდი ზომის არა. ფრქვევანის წარმოადგა საბათქაშო მასის მოფრქვევაში ცვლაში 900 კვ. მეტრს შეადგენს. ასეთი კონსტრუქციის დანერგვა მცირე სიმძლავრის ხსნარტუმბოს გამოიყენებით საბათქაშო ხსნარის უკომპრესორო მოფრქვევის საშუალებას იძლევა.

(ტექნიკური მოლოდენი)

### ახალი სათბობი ქვაბი

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გ. მ. კრუიუანოვსკის სახელობის ენერგეტიკის ინსტიტუტის სპეციალისტებმა ტრესტ „ორგანიზებრომის“ კონსტრუქტორებთან თანამეგობრობით დაგეგმარეს აირის ფოლადის ქვაბი საათში 500.000 კალორიის წარმოადგენით. იგი დანიშნულია ცენტრალური ცხელი წყალმომარაგებისა და გათბობისათვის წყლის იძულებითი ცირკულაციით.

ასევე ცნობილია, რომ ატლანტის ოკეანის სანაპიროზე, უმთავრესად გოლფსტრიმის თბილი დინების მახლობლად, ელვა-ქუხილის მოვლენები უმთავრესად ზამთარში ვითარდება.

ამხ. ს. მარიამიშვილს

თქვენ გაინტერესებთ გაიგოთ, თუ რა იწვევს გვალვიან წლებს.

მზის სხივების გავლენით დედამიწის ზედაპირი ყველგან და ყოველთვის ერთნაირად არ თბება. ეს დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა: 1. დედამიწის ღრების მდებარეობის ცვალებადობა წლის განმავლობაში მზის მიმართ; 2. ოქეანების, ზღვებისა და კონტინენტების (მთებისა და მდინარეების) არათანაბარი განაწილება დედამიწაზე.

დედამიწის ღრების ისეთი მდებარეობა უკავია მზის მიმართ, რომ დედამიწის პოლუსები მზიურენერგიას მცირე რაოდნებით იღებენ, ხოლო ეკვატორი და მის მახლობლად მდებარე რაოდნებით, პირიქით, მზიურ ენერგიას იღებენ დიდი რაოდნებით. ზაფხულში, მიუხედავად იმისა, რომ დედამიწა შორიდება მზეს, უფრო მეტად თბება, ვიდრე ზამთარში. ეს იმით აიხსნება, რომ ზაფხულში მზის სხივები შვეულად ეცემა დედამიწის ზედაპირზე, ხოლო ზამთარში — ღახრილად.

გარდა ამისა, ხმელეთი აღრე თბება და ასევე აღრე ცივდება, ხოლო ოკეანეები და ზღვები გვიან თბება და აგრეთვე გვიან ცივდება. მთის კალთა, რომელიც მზის სხივებისაკენ არის მიმართული, აღრე თბება, ვიდრე ბარი და ა. შ.

ამიტომ სხვადასხვა გეოგრაფიულ პირობებში ჰაერიც არა

თანაბრადაა გამოხარი მზიური ენერგიის ზეგავლენით. ეს კი იწვევს ატმოსფერული წნევის არათანაბარ განაშილებას, რის გამოც წარმოიშვება ჰაერის დინებანი.

ოკეანებისა და ზღვების ზედაპირიდან დიდი რაოდენობით ხდება წყლის აორთქლება, რომელიც ჰაერის სამხრეთ-და-სავლეთის დინებებს გადმოაქვთ ხმელეთზე და წარმოიშვება ნალექები. მხოლოდ ჰაერის ჩრდილო-აღმოსავლეთის, აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის დინებები, რომელიც ისეთი მშრალი რაიონებიდან მოემართება, როგორიც არის ციმბირი და შუა აზია, ღარიბია წყლის ორთქლით და სრულიად არ გამოყოფს ნალექებს.

იმისდა მიხედვით, თუ რომელი მიმართულების დინებანი იქნება გამეფებული წლის უმეტესი ღრის განმავლობაში, ადგილი ექნება ან ხშირ ნალექებს, ან გვალვას.

ამგვარად, თუ წლის უმეტესი ღრის განმავლობაში გან-შილებულია ჩრდილო-აღმოსავლეთის, აღმოსავლეთისა და სამ-ხრეთ-აღმოსავლეთის დინებანი, მაშინ ასეთი წელი გვალვიანი იქნება.

კარგი იქნება, თუ ამ საკითხზე წაიკითხავთ შემდეგ ლიტე-რატურას: 1. Н. А. Максимов — „Отчего бываето засухи“ და 2. ქ. პაპინაშვილი „ამინდი და მისი წინასწარმეტყველება“.

### ქ. ი. პაპინაშვილი ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი

#### თბილისი. ამხ. ვლ. სიმონიშვილს

თქვენ გაინტერესებთ გაიგოთ:

1. სამართლიანია თუ არა ნიუტონის პირველი კანონი ვარ-დნილი სხეულის შემთხვევაში და

2. რამდენად სწორია გალილეის კანონის შესამოწმებლად თქვენს მიერ ჩატარებული ცდებით მიღებული შედეგი.

1. ნიუტონის როგორც პირველი, ისე ორი დანარჩენი კანო-ნი სამართლიანია არა მარტო სხეულის ან სხეულთა სისტემის რომელიმე კონკრეტული მდგომარეობისათვის, არამედ საზოგა-დოდ კლასიკური მექანიკის ფარგლებში.

როგორც ცნობილია, ნიუტონის პირველი კანონი ეხება სხეულის ინერციულობის თვისებას და იმაში მდგომარეობას, რომ „სხეული ინარჩუნებს უძრაობის ან თანაბარი და სწორ-ხაზობრივი მოძრაობის მდგომარეობას, სანამ გარეშე სხეულის მოქმედება მას ამ მდგომარეობიდან არ გამოიყვანს“. თავისუ-ფალ ვარდნის შემთხვევაში, ცხადია, სხეული არ ინარჩუნებს ინერციულ მდგომარეობას, რადგან მასზე მოქმედებს დედამი-წის მიზიდულობით გამოწვეული ძალა და, როგორც ცნობი-ლია, იგი ასრულებს არა თანაბარ და სწორხაზობრივ, არამედ თანაბრად აჩქარებულ მოძრაობას. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ შემთხვევაში დარღვეული იყოს ნიუტონის პირველი კანონი. პირიქით, კანონი გარკვევით ლაპარაკობს იმის შესა-ხებ, რომ, თუ სხეულზე გარეშე სხეული მოქმედებს, მაშინ მას არ შეუძლია შეინარჩუნოს ინერციული მდგომარეობა.

2. გალიელის მიერ დადგენილი კანონი, რომ „დედამიწის მოცემულ აღგილისათვის თავისუფალი ვარდნის აჩქარება ყვე-ლა სხეულისათვის ერთნაირია“, უეპელად სამართლიანია. აქ-ვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აჩქარება, რომელსაც სხეული ვარდ-ნის ღრის ღებულობს, გამოწვეულია ამ სხეულზე დედამიწის მიმზიდველობის ძალის მოქმედებით. ამ კანონიდან გამომდინა-რეობს ეფექტი, რომელსაც, მისი თვალსაჩინოების გამო, ხში-რად მიმართავენ გალილეის კანონის შესამოწმებლად და რო-მელიც იმაში მდგომარეობს, რომ დედამიწის ზედაპირიდან ერთსა და იმავე სიმაღლიდან თავისუფლად ვარდნილი სხვა-დასხვა სხეული დედამიწაზე თანაბარი სიჩქარით ეშვება.

ცდის ჩატარების ღრის თქვენ მიერ დაშვებული შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ თქვენ მხედველობაში არ მიიღოთ შემდეგი ფაქტი: გალილეის კანონით გამოწვეულ ეფექტს ად-გილი აქვს მხოლოდ თავისუფალი ვარდნის ღრის, ე. ი. მა-შინ, თუ ვარდნილ სხეულზე დედამიწის მიზიდულობით გა-მოწვეული ძალის გარდა სხვა არავითარი ძალა არ მოქმედებს.

ცხადია, თუ ცდას ჩავატარებთ ჰაეროვან სივრცეში, ჩვენ ვერ მივიღობთ გალილეის კანონით გათვალისწინებულ ეფექტს და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ დატარღვით ის პირის, ჩატარების მელიც აუცილებელია ეფექტის შემჩნევისათვის. სავარაუდო რომ ჰაერი წინააღმდეგობას უწევს სხეულის მოძრაობას და ამ წინააღმდეგობის სიდიდე დამკიდებულია სხეულის სიჩქა-რეზე, მის ფორმასა და მოცულობაზე. ასე რომ, ჰაერის წინა-აღმდეგობით გამოწვეული ძალა, რომელიც სხეულზე მისი მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედებს, სხვა-დასხვა სხეულისათვის სხვადასხვაა.

ამიტომ მოხდა ის, რომ თქვენ მიერ ჩატარებული ცდის დროს სხეულები დედამიწაზე ერთდროულად არ ვარდებოდა. გალილეის კანონის შესამოწმებლად ცდა უნდა ჩატაროთ უპა-ერო სივრცეში. ამისათვის გამოიყენეთ მინის მილი, საიდანაც ჰაერი უნდა ამოტულოთ. ცდა მით უფრო ზუსტი იქნება, რაც უფრო დიდი იქნება საცდელ მილში ჰაერის გაშვიათების ხა-რისხი.

#### პ. ცინცაგაძე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტა-ტურის მეცნიერი-თანამშრომელი

#### სოჭ. ნოლა (გეგმიკორის რ-ნი). ამხ. ი. ჯანაშია

გრენლანდია მსოფლიოს უდიდესი კუნძულია, რომლის ზე-დაპირის ფართობი (2 176 000 კმ<sup>2</sup>) თითქმის 30-ჯერ აღემატება საქართველოს ფართობს. კუნძულის ზედაპირის 82%-ზე მეტი (1 834 000 კმ<sup>2</sup>) მარად კონტინენტური ყინულის საფარის უპა-რავს, რომელიც ბევრ ადგილას სანაპირომდისაც აღწევს და იქ ყინულის ციცაბო კლდეებს ქმნის. ყინულის საშუალო სის-ქე 2 100 მეტრია. ყინულისაგან თავისუფალია მხოლოდ ვიწრო სანაპირო ზოლი.

გრენლანდიის ბუნებრივი პირობები მეტად მკაცრია. მიუ-ხედავად ამისა, კუნძულზე არის ორგანული სიცოცხლე. სანა-პირო ვიწრო ზოლში, რომელიც თავისუფალია ყინულისაგან, განსაკუთრებით სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ ნაწილში, სა-დაც ყინულისაგან თავისუფალი სანაპირო ზოლის სიგანე რამ-დენიმე ათეული მეტრიდან 200—300 კმ-დეა, ხარობს მცე-ნარეულობა. მოფარებული, ხმელეთში ღრმად შეკრილი უბე-ების — ფიორდების სანაპიროზე იზრდება ტირიფის, ღვია, მურყანისა და ჭუჭა არყის დაბალი ბუჩქნარები. აღსანიშნავია ზაფხულობით ყვავილიანი ბალახეულის სიმრავლე. ჩრდილო სანაპიროს შიშველ კლდეებზე მხოლოდ ხავსები და მღიერები ხარობს. ცხოველებიდან სანაპიროზე გავრცელებულია ჩრდი-ლოების ირემი, თეთრი დათვი, მუსკუსის ხარი, რომლებიც ღღე-ს შერჩენილი არიან კუნძულის ჩრდილო და აღმოსავლეთ ნაწილში. მათ გარდა გვეკვდება პოლარული მგელი, თეთრი მელა, პოლარული კურდლელი და ლემინგები. ზაფხულში კლდოვან ნაპირებზე ბუდობენ უამრავი ფრინველები, რომელ-თა მნიშვნელოვანი ნაწილი კუნძულზე მუდმივად ცხოვ-რობს. ფრინველებიდან აღსანიშნავია პოლარული კაკაბი, პო-ლარული ბუ, ყვავი და სხვ.

გრენლანდიის სანაპირო ზოლში აღამიანიც ცხოვრობს. 1948 წ. ცნობით, აქ 22 148 მცხოვრებია. ამ რიცხვიდან ევრო-პელია 500 კაცი (თითქმის მხოლოდ დანიელები). დანარჩენი ესკიმოსებია, რომლებიც ლაპარაკობენ ესკიმოსური ენის გრენ-ლანდიურ ღიალექტზე. დასახლებულ სანაპიროებზეც კი მო-სახლეობის სიმჭიდროვე ძალზე დაბალია, 17 კმ<sup>2</sup>-ზე მხოლოდ 1 მცხოვრები მოდის. გრენლანდიის ცენტრალური და ჩრდილო ნაწილი სრულიად დაუსახლებელია. დასახლებული პუნქტები ძირითად განლაგებულია სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროს გა-სწორივ, სადაც ორასზე მეტი დასახლებული პუნქტია. უმთავ-რები დასახლებული პუნქტებია იულიანებობი (2 500-ზე მეტი მცხოვრები), ეგედესმინდე (1 800-ზე მეტი მცხოვრები), გოტ-ხობი (1 500-დე მცხოვრებით).

მოსახლეობის ძირითად საქმიანობას სამხრეთ ნაწილში მეცხვარეობა წარმოადგენს. გარდა ამისა, მისდევენ მეთევზე-ობას, ზღვის ცხოველებზე ნადირობას, ბეწვეულის დამზადებას.

საყურადღებო შრომა ქართული მეტალურგიის მიმდევანი  
ისტორიიდან

გასულ წელს გამოვიდა ღოც. ნ. რევიაშვილის მეტად სა-  
ურადღებო ეთნოგრაფიული ნარკვევი — „მჭედლობა რა-  
კაში“\*.

ჩვენი ტექნიკური ინტელიგენცია დიდი ხანია ცხოველი ინ-  
ტერესით მოელის მეცნიერულ შრომას ქართული ტექნოლო-  
გიის წამყვანი დარგის — უძველესი მეტალურგიის ისტორი-  
ის შესახებ, რათა იქიდან ამოქერწოს ის რაციონალური ელე-  
მენტი, რომელიც ხელს შეუწყობს საბჭოთა მეცნიერებისა და  
ტექნიკის შემდგომ აღმავლობას.

ტექნოლოგიის ისტორიის დამუშავებას სხვა მნიშვნელოვა-  
ნი ღანიშნულებაც აქვს. ფაქტიური მასალებითა და მათი სწო-  
რი ანალიზით უნდა აღვადგინოთ ისტორიული კეშმარიტება  
საკაცობრიო კულტურის შექმნაში საბჭოთა ხალხის წვლილის  
შესახებ და ნიღაბი ჩამოვალიზოთ მსოფლიო იმპერიალიზმის  
დაქირავებულ ლაქების — ბურუუზიულ მეცნიერთ, რომლე-  
ბიც განზრახ ამახინჯებენ ისტორიულ სინამდვილეს. ამ თაღ-  
ლითობის სარბიელად გაიხადეს მათ მეტალურგიის ისტორიის  
საკითხებიც, თუმცა უამრავი ლიტერატურული და მატერია-  
ლური კულტურის ძეგლებით საყოველთაოდ ცნობილია ის  
კეშმარიტება, რომ სწორედ ჩვენს ხალხს, კერძოდ, დიდ რუს  
ხალხს, უმნიშვნელოვანესი ღვაწლი მიუძღვის მსოფლიო მე-  
ტალურგიისა და მეტალურგიული მეცნიერების ჩასახვასა და  
განვითარებაში. უგულებელყოფენ რა ამ გარემოებას, რეაქ-  
ციული ისტორიკოსები გვერდს უვლიან ისტორიულ ფაქტებს.  
ამის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს ფ. მ. ფელდჰაუსი, ავ-  
ტორი სქელტანინი წიგნისა ტექნიკის ისტორიის შესახებ,  
რომელშიც ერთი სიტყვითაც კი არ არის მოხსენებული საბ-  
ჭოთა ხალხის როლი მსოფლიო ტექნიკის განვითარებაში.

ამიტომ სარეცენზიო შრომის ავტორი სავსებით სწორად  
მოქცეულა, როცა თავისი შრომის შესავალში უძველესი  
მეტალურგიული კულტურის შედარებით ვრცელი მიმოხილვა  
მოუცია.

უძველესი ქართული მეტალურგიის ისტორიაში რაჭის  
მელითონეობას მნიშვნელოვანი აღგილი უკავია. ამ კუთ-  
ხის მეტალურგები ძველთაგან ცნობილი არიან, რო-  
გორც ლითონის კარგი მოხელენი. მოსკოვის სამე-  
ფოს ელჩებს ჭერ კიდევ XVII საუკუნეში ყურადღება  
მიუქცევიათ რაჭაში რეინის წარმოებისათვის. ა. წერეთელი  
თავის დრამაში „მედია“ აღნიშნავდა, რომ ზემო-რაჭა  
მჭედლობით არის განთქმული:

„შავ მთას ხომ ხედავ? იმის გადაღმა დიდ ხეობაში ვცხოვ-  
რობთ დიდ თემად და განთქმულია ყველგან ჩვენი ხმა“. ამ  
მთასო „რეინის გული აქვს; რეინის ძარღვები, გარს ახვევია  
მთელი სოფელი. ის არის ჩვენი ყველას მრჩენელი,  
ხვრელები შეგვავს, ვაცლით რეინის გულს, გამოგვაქვს და  
მით სხვადასხვანაირს ვაკეთებთ ხოლმე ფოლად-რეინეულს“.  
(აკაკი, თხზ., ტ. III, 1940 წ., გვ. 527—528).

რაჭაში რეინის წარმოება თავის უძველესობასთან ერთად  
ყურადღებას იპყრობს ტექნოლოგიური პროცესის ორიგინა-  
ლობით. ამ დებულების დასასაბუთებლად ავტორს მოყავს მრა-  
ვალი საინტერესო და ლიტერატურაში დღემდე უცნობი ზო-  
გიერთი მასალა\*\*. მათი ინუინრული დამუშავება საშუალებას  
მოგვცემს მიახლოებით მაინც გავითვალისწინოთ ქართული

\* ნ. რევიაშვილი, მჭედლობა რაჭაში, საქართველოს სსრ  
მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, 1953 წ.

\*\* საქართველოს სსრ ცენტრალური ისტორიული არქივის  
ფონდებში დაცულია საინტერესო საბუთები რაჭის მეტალურ-  
გიის შესახებ, რომლებიც ერთგვარად ადასტურებენ სარეცენ-  
ზიო შრომაში მოყვანილ ზოგიერთ ეთნოგრაფიულ ცნობას.

არასრული გეოლოგიური გამოკვლევებითაც კი აღმოჩნდა,  
რომ გრენლანდია მდიდარია წიაღისეულით. აქ არის ოქრო,  
ვერცხლი, ნიკელი, ტუვია, რკინა, კრიოლიტი, ნახშირი, გრა-  
ფიტი და სხვა წიაღისეული. ამათგან მსოფლიო მნიშვნელობის  
ჭრაჭერობით კრიოლიტია, რომელიც ალუმინის წარმოებაში გა-  
მოიყენება, და გრენლანდიიდან თითქმის მთლიანად აშშ-ში  
გააქვთ.

გრენლანდია მიმდინარე წლის გაზაფხულამდე დანიის კო-  
ლონიას წარმოადგენდა, ხოლო შემდეგ კი, ახალი კონსტიტუ-  
ციით, ფორმალურად იგი დანიის ნაწილია. სინამდვილეში კი  
გრენლანდია აშშ-ის მიერაა ოკუპირებული. აშშ-ის აგრესიუ-  
ლი ბურუუზია დიდი ხანია ცდილობდა ხელში ჩაეგდო წიაღი-  
სეულით მდიდარი და სტრატეგიულად მეტად მნიშვნელოვანი  
გრენლანდია. ეს ზრახვები მან განახორციელა 1941 წ., როდე-  
საც ფაშისტურმა გერმანიამ დანიის ოკუპაცია მოახდინა. აშშ-  
მა თითქოს ხელშეკრულებით, ომის დამთავრებამდე, დაიკავა  
გრენლანდია. ომის დამთავრების შემდეგ ცხრა წელზე მეტი გა-  
ვიდა, მაგრამ ამერიკელები გრენლანდიაში თავს მშვენივრად  
გრძნობენ და სრულიადაც არ აპირებენ იქედან წასვლას. პირი-  
ქით, ისინი დანიის მთავრობის დაუკითხავად აგებენ აქ სამ-  
ხედრო ბაზებს. ამერიკელებს გრენლანდიაში 11-ზე მეტ დიდი  
სამხედრო ბაზა აქვთ, რომელთაგან სამხედრო ბაზა ტულეში  
(ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში) უდიდესია.

დრო გადის და ამერიკელები თანდათან მკვიდრდებიან  
გრენლანდიაში. გრენლანდიის უფლებრივი გათანაბრება დანი-  
ასთან, რაც დანიის კონსტიტუციაშია ჩაწერილი, ჭრაჭერო-  
ბით ფიქციად ჩაეხდა.

## II. აცხადება

### ამ. 6. ხგელაშვილს

თქვენ გაინტერესებთ, თუ დედამიწის შიდა ფენები გა-  
ნაგრძობს გათბობას, მოახდენს თუ არა ეს მოვლენა მომავალ-  
ში გავლენას ზედაპირული ფენების ტემპერატურაზე?

ე. ლიუბიმოვას გამოკვლევის ის შედეგი, რომ მცირე  
თბოგამტარობისა და დიდი ზომების გამო დედამიწის წიაღის  
სითბური მდგომარეობა გავლენას არ ახდენს ზედაპირული  
ფენების ტემპერატურაზე, სამართლიანია, თუ დავვარდნობით  
იმ მოსაზრებას, რომ დედამიწაში თანაბრად არის განაწილე-  
ბული რადიაქტიური ელემენტები, რომელთა დაშლის შედეგად  
ხდება დედამიწის გათბობა და რადიაქტიური ელემენტების  
ეს განაწილება მომავალშიც დარჩება.

რადიოგენური სითბო განაგრძობს დედამიწის წიაღის გათ-  
ბობას მანამ, ვიდრე რადიაქტიური ელემენტების დაშლის  
შედეგად გამოყოფილი სითბოს რაოდენობა საკმარისი იქნება  
დედამიწის თერმული გრადიენტის შენარჩუნებისათვის.

თქვენ გაინტერესებთ, აგრეთვე რადიაქტიურ დაშლასთან  
დაკავშირებით განიცდის თუ არა დედამიწა მასის დაკლებას?

მართლაც, ფიზიკიდან ცნობილია, რეინ 1) ელექტრონისა და  
პოზიტრონის ანიზილაციის შედეგად წარმოიშვება წყვი-  
ლი ფოტონი. 2) U235 გახლების შედეგად დაახლოებით 0,1 % მასისა გაიფანტება კინეტიკური ენერგიისა და  
აგზების ენერგიის სახით და სხვ.

იმ შემთხვევისათვის, თუ სივრცე, სადაც მდგრადი ბირთვის  
წარმოქნა ხდება, იზოლირებულია გარემომცველი გარემო-  
დან, მაშინ სისტემის მასა რეაქციამდე და რეაქციის შემდეგ  
ერთი და იგივე იქნება, ხოლო, თუ სისტემა სრულყოფილად  
არ არის იზოლირებული, მაშინ სისტემის მასის ნაწილი ენერ-  
გიის სახით გაიფანტება.

რადიაქტიური ელემენტების მასის დანაკარგი რადიაქტი-  
ურ გარდაქმნასთან დაკავშირებით და თვით რადიაქტიური  
ელემენტების საერთო რაოდენობა დედამიწის მთელ მასასთან  
შედარებით ფრიად მცირება, ამიტომ დედამიწის მასის შემცი-  
რება, რადიაქტიურ გარდაქმნასთან დაკავშირებით, უზუსტესი  
დაკავშირებითაც კი არ გამოვლინდება.

შ. ჩხერიმელი  
ჭიშიგა-ზაორმატიკის მეცნ. განდიდარი

მეტალურგიის განვითარების გზები, აღვადგინოთ დღეისათვის რეინის წარმოებაში მივიწყებული ტექნოლოგიური პროცესები, რომლებიც ასე საჭიროა ახლა თანამედროვე მეტალურგიისათვის.

საჩეცენზიო შრომას დართული აქვს რაჭელი მჟელლების ნაირსახისა და დანიშნულების რეინის ნახელავების სამოცდა-აოზე მეტი ფოტოილუსტრაცია. აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ ავტორის მიერ ფართოდ განხილული „ქართული ცული“ და „ქართული ნაბიჯი“. ეს არასრული ნომენკლატურაც კი ნათლად მეტყველებს ამ კუთხეში მელითონების ფარ-თო და მაღალ განვითარებაზე.

უხვი ეთნოგრაფიული მასალებით ჩანს, რომ რეინის წარ-მოება რაჭაში დამყარებული ყოფილა მხოლოდ აღგილობრივ ნედლეულზე. აქაური მეტალურგები ზედმიშევნით კარგად იცნობდნენ თითოეული ნედლი მასალის თვისებებს და ამის შესაბამისად მას წინაწარ გულდასმით ახარისხებდნენ, ამდიდ-რებდნენ და ამზადებდნენ დნობისათვის:

მეტად მნიშვნელოვანი მასალებია მოტანილი რეინის სა-წარმოს შინაგანი გამართულობის, „სამჭედლო ქობის“, საღო-ბი ღუმელებისა და თვით ლითონის ღნობის პროცესების შე-სახებ. თანამედროვე ტექნოლოგიის თვალსაზრისით ყურად-ღებას იპყრობს ის გარემოება, რომ აქ, რაჭის სინამდვილეში, ტექნოლოგიური ოპერაციების ზოგიერთ მნიშვნელოვან დეტა-ლებთან ერთად პირველად ვხვდებით ხარისხოვანი ლითონე-ბის, სახელფობრ, ფოლადის გამოსაღნობად ნაირი „საღული მიწების“, „რეინა-წილისა“ და „ფაშას“ (ანუ მარგანეცის მაღ-ნის) გამოყენების კონკრეტულ პრაქტიკას. ამ მეტად საგუ-ლისხმო და ახალ ცნობებში ანარეკლად მოჩანს უძველესი მე-ტალურგების — ხალიბებისა და მოსინიკების მიერ ფოლადის წარმოებაში გამოყენებული ის ტექნოლოგიური დეტალი, რომ-ლის შესახებ აქამდე მხოლოდ ანტიკური ხანის ბერძნულ და რომაულ ლიტერატურულ წყაროებში ვკითხულობდით, მაგრამ ფაქტიური მასალა არ მოგვეპოვებოდა. ამჟამად, რაჭის ეთნო-გრაფიული მასალების საფუძველზე, ახალი მნიშვნელობა და, ღირებულება ენიჭება ფსევდო-არისტოტელეს ცნობას იმის შესახებ, რომ „ხალიბები რეინაში ურევენ ერთგვარ ცეცხლ-გამძლე ქვას, რომელიც მათს ქვეყანაში ბევრია, ამიტომ ხა-ლიბური რეინა სხვაზე უკეთესია და მას რომ ერთ ღუმელში არ აღნობდნენ, შეიძლებოდა ვერცხლისაგან არც გარჩეული-ყო... მხოლოდ ეს ერთი რეინა, როგორც ამბობენ, უანგს რომ არ იყიდებს“ (ვ. ლატიშევი, Известия древних писате-лей—греческих и латинских о Скифии и Кавказе, 1893 г. т. I, გვ. 380).

მართალია, არისტოტელე კონკრეტულად არ აღნიშნავს, თუ რას წარმოადგენდა ეს „ცეცხლგამძლე ქვა“, მაგრამ ცხა-დია, რომ ხალიბები და მოსინიკები ერთგვარ სპეციალურ მი-ნარევებს არჩევდნენ კაზმისათვის და ამით აღწევდნენ ლითო-ნის სისალეს და უეანგავობის თვისებას. გამორიცხული არ არის, რომ ეს „ცეცხლგამძლე ქვა“ მარგანეცის მაღანი იყოს.

რაჭელი მეტალურგებიც ამ „საღული“ მიწებისა და „ფა-შას“ გამოყენებით აღწევდნენ მაღალხარისხოვანი ლითონის მიღებას. გასული საუკუნის დასაწყისში რუსმა მკვლევარმა ვოსკობინიკოვმა, რომელმაც დეტალურად აღწერა რაჭაში რეინის წარმოება („Горный журнал“, 1826, IV, წიგნი XI, გვ. 51—59), ერთობ მაღალი შეფასება მისცა რაჭულ ფოლადს და იგი სუფთა რეინის ხენჯისაგან დამზადებულ რუსულ მაღალ-ხარისხოვან ფოლადს („უკლადს“) გაუტოლა.

ამ ცნობების ანალიზს ვარაუდით იმ დასკვნამდე მივყე-ვართ, რომ რაჭის მეტალურგიაში შემონახული იყო ხალიბე-ბის არქაული მეტალურგიული ტექნოლოგია და მისი წესები. ამის საბაძს გვაძლევს საჩეცენზიო შრომაში უხვად წარმოდ-გენილი ეთნოგრაფიული ცნობები.

საინტერესო მასალებს შეიცავს შრომა აგრეთვე რაჭის მე-ტალურ-მჟელლების საზოგადოებრივი ორგანიზაციის სტრუქ-

ტურის შესახებ. ორგანიზაცია თავის მოქმედებაში<sup>\*</sup> ემყარებო-და ზუსტად დამუშავებულ გეგმიანობას, განზოგადებულ წარ-მოებას, ერთობლივ შრომას და შრომის ნაყოფის თანაბაზი გადა-ნაწილებას ამხანაგობაში შემავალ წევრთა შრომის.

რაჭის მჟელლების მაღალი ტექნოლოგიური კულტურის მაუწყებელია აგრეთვე ის გარემოება, რომ აქაურ მჟელლებს ზედმიშევნით კარგად ცოდნიათ ლითონის წრთობაც როგორც წყალში, ისე ჰაერზე. ლითონის წრთობის ხარისხის გამოსა-ცნობად მიღებული ჰქონიათ სამი ძირითადი ფერი — „თეთ-რი“, „ლურჯი“, „ოქროსფერი“. „თეთრი ფერი“, ანუ „თეთრი წყალი“ სირბილის ნიშანია, ლურჯი — სიფიცხისა, ოქროსფე-რი — ზომიერების. რომელიმე ფერზე გაჩერებას „დაყენება“ ეწოდება. უპირატესობა ენიჭება „ოქროსფერ წყალს“, რო-გორც ზომიერსა და ყველაზე მტკიცეს... ზოგიერთ თემში (წე-სი, რიცეული) სპეციალური დანიშნულების ხელადის, კერძოდ, ხაფანგების დამზადებასთან დაკავშირებით შემ-ჩნეულ იქნა რეინეულის წრთობა ჰაერით (გვ. 97). წრთობისა-თვის არჩევდნენ წყლის შემადგენლობასა და მის ტემპერატუ-რასაც. გამოიყენებოდა: მღვრიე, წმინდა, მდინარე, წყაროს, ნაწილიმარი, ცივი, ნელთბილი წყალი. იყენებდნენ აგრეთვე გაძ-ლიარ ქონს, უმთავრესად ცხვრისა, ტენიან სილასა და აზელილ ტალახს.

ზემო რაჭა ლითონითა და მისი ნახელავებით ამარავებდა საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ზოგიერთ კუთხებძესაც და გასული საუკუნის პირველ ნახევრამდე მძლავრ მეტოქე-ობასაც უწევდა შემოზიდულ ლითონს. რაჭის ლითონის ხვედ-რითი წონა იმდენად საგრძნობი ყოფილა, რომ აღნიშნულ საუკუნის 60-იან წლებამდე მას მხედველობაში იღებდნენ რო-გორც რუსეთიდან შემოსაზიდი რეინის რაოდენობის განსაზ-ლვრის დროს, ისე თვით ჩათახის ქარხნის მშენებლობის სა-კითხის გადაწყვეტილის. ამავე პერიოდში, როცა სამხრეთის მე-ტალურგია დროებით ვეღარ აკმაყოფილებდა რუსეთის მეურ-ნების მოთხოვნას რეინაზე, მთავრობას განუზრახავს წედისის წარმოების გაფართოება, მაგრამ განზრახვა სისრულეში არ მოუყვანია საბაძოს მარავის შეუსწავლელობისა და უგზოობის გამო. საგლეხო რეფორმის შემდგომ, როდესაც „ერთი მხრით, ხდებოდა კავკასიის ძლიერი კოლონიზაცია,... მეორე მხრით, თანდათან იდევნებოდა აღგილობრივი საუკუნეობრივი „შინა-მრეწველური“ სარეწვები, რომელიც ეცემობდნენ მოსკოვიდან შემოტანილი ფაბრიკატების კონკურენციის გამო... ეცემოდა რეინის შინამრეწველური დამზადება შემოტანილი რუსული პროდუქტის კონკურენციის გამო“. (ლენინი, თხზ., ტ. III, გვ. 703), — წედისის რეინის წარმოებამ თავისი არსებობა შე-წყვიტა სწორედ ისე, როგორც კავკასიის მრავალმა სხვა შინა-მრეწველურმა სარეწაომ.

რეინის წარმოება რაჭაში წარმოადგენდა უძველესი ქართუ-ლი მეტალურგიის უკანასკნელ უნიკალურ ნიმუშს, რომელმაც შემოგვინახა უძველესი მეტალურგიული ტრადიციის ბევრი არქაული წესი. იგი კუბერის (ზემო სვანეთი) მეტალურგიულ ცენტრთან შედარებით, ჩვენი აზრით, უფრო მეტ ყურადღებას და ინტერესს იმსახურებს.

რაჭელი მჟელლების დამსახურება კიდევ იმაში მდგომა-რების, რომ მათ შემოგვინახეს მელითონეობისათვის განკუთ-ვნილი უმდიდრესი, მრავალფეროვანი და დღემდე უცნობი სპეციალური ტერმინოლოგია, რომელსაც დიდი ისტორიული და პრაქტიკული მიწებისა უძველესი მეტალურგიული ტექნოლოგიის დასადგენად. სარეცენზიო შრომაში უხვად არის მოცემული ეს ძვირფასი მასალაც.

შრომაში ვრცლად არის გადმოცემული რაჭის ეთნოგრაფი-ულ სინამდვილეში დაცული რეინის კულტის უძველესი გად-მონაშეთები წარმართობის ხანის ელემენტების შემოტანილი ტექნოლოგიის დასადგენად. სარეცენზიო შრომაში უხვად არის მოცემული ეს ძვირფასი მასალაც.

\* სხვათა შორის, ამირანის შესახებ თქმულების ფშაურ ვა-რაონტში მოხსენებულია „ლურჯი რეინა“: „ერთგული გოშა ლოკავს და ათხელებს ლურჯ რეინას“.

ზოგიერთი იმ ხარვეზისაგან, რითაც ხასიათდება აგრეთვე ზოგი ავტორის შრომაც ქართული ტექნოლოგიის ცალკეული დარგის ისტორიის შესახებ.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში რუს მეტალურგთა შორის წარმოიშვა ტექნიკური აზრი რკინის მაღალი დამუშავების ისეთი წესის გამოძებნის შესახებ, რომელიც რკინა-ფოლადის წარმოებაში გამორიცხავს შუალედ მეტალურგიულ წარმოებას — თუკის გამოდნობას. დიდი რუსი მეცნიერი დ. ი. მენდელეევი, რომელიც საუცხოოდ იცნობდა მეტალურგიასაც, თავის დროზე წერდა, რომ დაღვება დრო, როდესაც მაღალი და ფოლადის პირდაპირი, თუკის გარეშე, მიღების წესების ძებნას დავიწყებთ. მეცნიერის ეს წინასწარნავარაულევი მოსაზრება გამართლდა და ამ წესის ძებნა ახლაც მიმდინარეობს როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში. საბჭოთა მეტალურგებმა უკვე გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს ამ მიმართულებით, მაგრამ საქართველო მასშტაბით ამ ტექნოლოგიის სრულყოფილად ათვისება ჯერ ისევ პრობლემატურობის ჩარჩოებშია დარჩენილი, რადგან მთელი რიგი საკითხები მეცნიერულ შესწავლასა და პრაქტიკულ შემოწმებას მოითხოვენ. ამ პრობლემის წარმატებით გადაჭრისათვის საჭირო ხდება სხვა ლონისძიებათა შორის მაღალი ლითონის პირდაპირი გამოდნობის (პირდაპირი ალფგენის) უძველესი ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფილად აღდგენა, საფუძვლიანად და გულდასმით შესწავლა იმ პრინციპული პირობების შესამუშავებლად, რომელთა ზუსტი დაცვა უზრუნველყოფს მაღალი ლითონის პირდაპირ აღდგენას თანამედროვე საწარმოო ფორმებში. სამწუხაროდ, საქართველოში ამ მიმართულებით მეტად ცოტა რამ არის გაკეთებული. ავტორები ხშირად კმაყოფილდებიან მხოლოდ ზოგადი ფაქტის აღნიშვნით და გვერდს უვლიან ტექნოლოგიური დეტალის გამორკვევას და შესწავლას, რადგან ავტორების უმრავლესობას ხელს უშლის მათი არაკომპეტენტურობა ტექნოლოგიის საკითხებში. ამის შედეგად ზოგიერთი შრომა ტექნიკის ისტორიის შესახებ არსებით შეცდომებსა, ტექნიკურ ლაპსუსებს შეიცავს და გამოყენებელი რჩება სპეციალურ ტექნიკურ დარგებში. ეს ნაკლი ნაწილობრივ ახასიათებს სარეცენზიო შრომასაც. მთელი რიგი საკითხების საკმაოდ ვრცლად გაშუქებასთან ერთად ცალკეულ შემთხვევებში ზოგიერთი ფრიად საჭირო დეტალი გადმოცემულია ზოგად ფორმებში (მაგალითად, დნობის პროცესი). ტექნიკის ისტორიის დამუშავებისას მარტო ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დამყარება არ შეიძლება, რადგან მათ შეუძლიათ არასწორ დასკვნებამდე მიიყვანოს მკვლევარი. ასეთი არასასურველი მოვლენის თავიდან აცილებისათვის მეტად სასურველია სხვადასხვა ტექნიკური დარგების მეცნიერული ძალებისა და საშუალებების ფართოდ გამოყენება, რადგან მხოლოდ ერთობლივი კვლევა მიგვიყვანს სასურველ შედეგებამდე. მაგალითად, სარეცენზიო შრომა ბევრად მოიგებდა, რაჭის მეტალურგების მიერ გამოყენებული ნედლეული მასალების შესახებ შეგროვილი ეთნოგრაფიული ცნობები ზოგიერთი ძირითადი ნედლეულის ქიმიური ანალიზებით რომ შემოწმებულიყო, ხოლო ნახელავები — აგრეთვე მეტალოგრაფიული და რენტგენოგრაფიული საშუალებებით. სხვათა შორის, ავტორი თვითონაც შენიშნავს თავისი შრომის ამ ხარვეზს (გვ. 59). წინათ საქართველოში ამის საშუალება არა გვქონდა, მაგრამ ახლა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტს შეუძლია დიდი დახმარება გაუწიოს ჩვენს ისტორიკოსებს, არქეოლოგებსა და ეთნოგრაფებს\*.

ისტორიულად ცნობილია, რომ ტექნიკის აღც ერთი დარგი

არ განვითარებულა იზოლირებულად. ასევე უნდა ვივარაუ-  
ლოთ რკინის უძველესი წარმოებაც რაჭაში, რომელიც ერთ-  
დროულად განიცდიდა მეზობელი ხალხების მეტალურგთა  
გავლენას. ეს ჩვენი ვარაუდი ნაწილობრივად ემყარჟული ფრენტი  
შრომაში მოცემულ ეთნოგრაფიულ მასალას ხის ნახშირის გა-  
მოწვის „რუსული წესისა“ და რაჭაში ფართოდ გავრცელებუ-  
ლი „რუსული საბერველების“ შესახებ. შრომაში მოყვანილი  
ცნობები იმაზე მიგვითითებენ, რომ რაჭის მეტალურგები  
ჩრდილოელ მეზობლებთანაც — რუსეთთან დაკავშირებული  
იყვნენ არა მარტო იქ თავიანთი ნაწარმის გასაღებით, არამედ  
მციდრო ტექნოლოგიური ურთიერთობაც ჰქონდათ მათთან.  
ნივთიერი ძეგლებით ირკვევა, რომ ამიერკავკასიის უძველეს  
ტომებს ცოცხალი ურთიერთობა ჰქონდათ სამხრეთ რუსეთთან.  
შავი ზღვის პირას სკვითების კულტურული ნაშთები ამავე ურ-  
თიერთობის არსებობაზე მეტყველებენ (ე. კრუპნოვი, უურნ.  
„ვოპროსი ისტორიი“, 1950 წ., № 2, გვ. 131). მაიკოპის ყორ-  
ლანის უძველესი (III-II ათასწლეულების მიჯნის) ინვენტარი  
მციდრო გენეტიკურ კავშირშია თრიალეთის ნიმუშებთან. ძ. წ.  
პირველი ათასწლეულის მეორე მეოთხედში, როცა რკინის  
ათვისება დაიწყო, ამიერკავკასიის ხალხები სამეურნეო-კულტუ-  
რულ კავშირს ამყარებენ არა მარტო მცირე აზიის ტომებთან  
და ხალხებთან, არამედ სკვითებთანაც.

ამიტომ არავითარი საბაბი არა გვაქვს რაჭის საზოგადოება გამოვრიცხოთ ამ საერთო სიტუაციიდან, რადგან „ყოველმა ნა-  
ციამ შეიძლება ისწავლოს და უნდა ისწავლოს კიდევაც სხვა  
ნაციისაგან“ (კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, გვ. LIV. სარეცენზიო  
შრომიდან კი ისეთი მცდარი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს  
რაჭის მეტალურგია დამოუკიდებლად ჩაისახა და განვითარდა,  
რაც სინამდვილეს არ შეესაბამება.

ავტორი გადმოგვცემს რაჭის მკედლების საზოგადოებრივი ორგანიზაციის სტრუქტურას და ერთგვარად ყრუდ ტოვებს ზოგადი და ტექნოლოგიის ისტორიისათვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა ძველად მეტალურგიაში ქალის შრომის გამოყენება, თუმცა შრომაში მოყვანილი ერთობ მკრთალი მასალა ამის პირდაპირ მომენტებს შეიცავს („დიდი და პატარა, ქალი და კაცი ამით იყო დამაშვრალებული და ერთობ დიდი ჯაფა აღგათო“, — გადმოგვცემს ილიკო ხილაშელი (გვ. 11). სასურველი იყო ამ ცნობის უფრო ვრცლად გაშლა. მეტალურგიულ წარმოებაში რაჭველი ქალის კონკრეტული როლის დადგენა-შევსება მეტს შუქს მოჰყენდა აგრეთვე რკინის კულტის თავისებურებას რაჭის სინამდვილეში, ვინაიდან ზოგიერთი სხვა ხალხების ყოფიერებაში ამ კულტის ნიაღაგზე ქალის შრომის გამოყენება მეტალურგიაში გამორიცხული იყო.

ორიოდე სიტყვა შეუსაბამობათა შესახებ. ავტორი ერთ აღ-  
გილას წერს: „დ უ ღ ი ლ ი ს პროცესში რკინის ტ ა ნ ი სხვა-  
დასხვა ტ ა რ ი ს ხის ხდება. ერთი მხარე რომ მაგარია, მეორე  
რბილია“ (გვ. 98). დუღილის დროს ასეთ მოვლენას არ შეიძ-  
ლება ჰქონდეს ადგილი; შემდეგ—„სადუღს“ ლითონში ურევ-  
დნენ და ერთად დაადუღებდნენ ხოლმე“ (გვ. 9). ალბათ, აქ  
ერთად დუღილი, ხარშვაა ნაგულისხმევი. გაუგებრობას იწვევს  
ასეთი წინადადებაც „მაღალი კლდეების ჭიმებს ძუძუებივით  
ჰკიდია ალმასივით მოციმციმე მაღანი“ (გვ. 43). შედარებით  
ნაკლებ მნიშვნელოვანი ტექნიკური შეუსაბამობანი შრომაში  
მრავალია.


დასასრულ, სასურველი იყო ეთნოგრაფიული მონაცემებით  
დადგენილი სპეციალური ტექნიკური ტერმინოლოგიის გან-  
მარტებითი ლექსიკონის შეღენა, რაღაც მისი გარკვეული ნა-  
წილი ვიწრო გეოგრაფიულ გარემოშია წარმოშობილი და გაუ-  
გებრობას. იწვევს ტექსტის წაკითხვისას. იგი გააძნელებს მის  
პრაქტიკულ გამოყენებას.

მიუხედავად აღნიშნული ნაკლოვანებისა, საჩეცენზიო წიგნი უძველესი ქართული მეტალურგიის შესახებ მეტად საინტერესო და მრავალფეროვანი მასალების შემცავ მნიშვნელოვან შრომას წარმოადგენს ქართულ ენაზე და იგი დიდ სამსახურს გაუწევს ტექნოლოგიის ისტორიის საკითხებზე მომუშავეთ.

ଓନ୍ଦ୍ରଜାନେଶ୍ୱର ପାତ୍ରାଳୀକାରୀଙ୍କିରଣ

# თავისუფალ დოსტო

## გონისაზრის



1. რატომაა, რომ შემოდგომაზე დაისი უფრო მოკლეა, ვიდრე ზამთარში?

2. რატომაა, რომ უქარო ამინდში მიღიდან ამომავალი ბოლო თითქმის ვერტიკალურად მიემართება ზევით?

3. რატომაა, რომ დიდ ქალაქებში ბურუსიანი და წვიმიანი დღეები ჩვეულებრივ უფრო ხშირია, ვიდრე ამ ქალაქების მიღამოებში?

4. რატომაა, რომ ცივ ამინდში მრავალ ცხოველს მოკრუნჩეული, ხოლო თბილ დღეებში «გაშოტილად» ძინავს?

5. რატომაა, რომ განცალკევებით მდგარი ხეები, როგორც წესი, მნიშვნელოვნად მეტ ტენს აორთქლებს, ვიდრე ხშირ ტყეში გაზრდილი ხეები?

6. რატომ არ არის და არც შეიძლება იყოს მთვარეზე ატმოსფერო?

7. რატომაა, რომ მდუღარე წყალი ცეცხლს უკეთ აქრობს, ვიდრე ცივი წყალი?

8. რატომაა, რომ შალის ქსოვილის განსასაზღვრავად მის ბოჭკოს ასანთით უკიდებენ?

9. რატომ დადიან იხვები და ბატები ბაჯბაჯით?  
(ზნანია — სალა)

## სუმბული

უველასათვის კარგადაა ცნობილი სუმბული — მცენარე, რომელიც მოპყავთ ბალებში, კლუმბებზე და ოთახებში. ეს ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული ბოლქვიანი მცენარეა, რომელიც შროშანისებრთა ოჯახს ეკუთვნის. მას აქვს მაჩიტასებრი ფორმის ძლიერ სურნელოვანი ყვავილები, რომელიც თავმოყრილია სქელ, თავთავისმაგვარ მტევნებად.

სუმბული ჰყვავის ადრე გაზაფხულზე, რაც უფრო სამხრეთით იმყოფება მცენარე — მით უფრო ადრე. მისი სამშობლოა შუა აზია და სამხრეთი ევროპა. აჩსებობს სუმბულის ოცდაათამდე სახეობა, ჰოლანდიასა და სამხრეთ საფრანგეთში სუმბულს აშენებენ ეთერის ზეთის მისაღებად, რომელსაც პარფიუმერიაში ხმარობენ.

ასიოდე წლის წინათ სუმბული შეიტანეს ბენგალიაში, სადაც იგი განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში მოხვდა და სარეველა მცენარედ, სოფლის მეურნეობის უბოროტეს მტრად იქცა. კაგურობანა, როგორც სუმბულს ეძახიან ბენგალიელი გლეხები, მეტად ტენმოყვარული მცენარეა. არის შემთხვევები, როცა ნოიერი მინდვრები, განსაკუთრებით დაბალ ადგილებში, დაფარული წყლით, ორ-სამ წელიწადში ამ სარეველა მცენარით იფარება. ასეთი მინდვრები სრულიად უვარების ხდება ჯუთის, ბრინჯისა და სხვა კულტურების მოსაყვანად. გლეხები აწარმოებენ ბრძოლას სუმბულის წინააღმდეგ, მაგრამ ეს ბრძოლა ძლიერ ძნელია. გაწმენდილ ნაკვეთებზე ხშირად კვლავ ჩნდება ყვავილები და მინდორი ცისფერი სქელი საფარით იფარება.

## პეკინის ზოოპარკში

უკანასკნელ ღრომდე ჩინეთში არ არსებობდა მეცნიერულად ორგანიზებული ზოოლოგიური ბალები. თითქმის ნახევარი საუკუნის წინ ერთმა მდიდარმა პეკინში პირველად შექმნა სამხეცე, რომელიც ძლიერ ცოტასათვის იყო მისაწვდომი და ამიტომ არც მეცნიერული მნიშვნელობა ჰქონია.

ასამდე გადარჩენილი მხეცი და ფრინველი საფუძვლად დაედო ახალ, მეცნიერულ ნიადაგზე ორგანიზებულ ზოოლოგიურ ბალს, რომელიც 1950 წ. დაარსდა. 1953 წლის მაისში აქ უკვე 1 000-დე ცხოველი იყო.

ბალის შესასებად მოეწყო ორი ექსპედიცია — ერთი ქვეყნის სამხრეთში, მეორე — ჩინდილო-აღმოსავლეთში.

სამხრეთის ექსპედიციამ იმგზავრა ხუნანის, გუანდუნის, გუანსის პროვინციებში, გაიარა 13 000 კილომეტრი გზა. დასავლეთ ხუნანის ბამბუკის ტყეებში ექსპედიციამ დაიჭირა ავაზები და ლელიანის ხოხები. სამხრეთ ხუნანში ექსპედიციის მონაწილეები შავ ავაზებზე ნადირობდნენ ხენის მთებში. გუანსის პროვინციაში ისინი იჭერდნენ მაიმუნებს. ბევრი მხეცი და ფრინველი ჩაიყვანა პეკინში ჩინდილო-აღმოსავლეთის ექსპედიციამაც.

სიჩუანის პროვინციაში, სამხრეთ-დასავლეთ ჩინეთში, ტიბეტელმა მონადირემ პეკინის ზოოპარკისათვის დაიჭირა გიგანტური პანდუ — მსოფლიოს ერთ-ერთი უიშვიათესი ცხოველი.

ინდოეთიდან პეკინის ზოობალმა მიიღო დედალი სპილო, ვიეტნამიდან — დედალი და მამალი სპილო.

ბევრი ცხოველი მიიღო ზოობალმა საბჭოთა კავშირიდან და ევროპის დემოკრატიული ქვეყნებიდან, მათ შორის, პოლარული და მურა დათვები. გაცვლის წესით ჩინეთმა საბჭოთა კავშირში და სხვა ქვეყნებში გაზავნა ვეფხვები და ავაზები, დაკვერილი ხუნანისა და ძიანის პროვინციებში, ალიგატორები მდ. იანძიდან, გიგანტური სალამანდრები, ლელიანის ხოხები და სხვ.

(ეროვნული სეიტა)

## ახალი ზღვები

ი. ალექსანდროვი გაზეთ „იზვესტიაში“ მკითხველებს მოუთხობს მთელი რიგი ახალი ზღვების შესახებ, რომლებსაც საბჭოთა ადამიანები ქმნიან:

„შეხედეთ საბჭოთა კავშირის რუკას, — ნათქვამია სტატიაში, — როგორც მძლავრი ტოტებიანი ხე, ისეა გამოსახული მასზე ვოლგა თავისი შენაკადებით. მაგრამ გაივლის არც ისე ბევრი წელი და რუსეთის დიადი მდინარის მოხაზულობანი სულ სხვა გახდება. გიგანტური ჰიდროკვანძები, რომლებიც ახლა შენდება, სრულიად გარდაქმნიან მას.

ვოლგის სათავეებში, იქ, სადაც წინათ ფონით შეიძლებოდა გავლა, უკვე მეჩვიდმეტე წელია არსებობს „მოსკოვის ზღვა“. იგი გადაჭიმულია 300 კვადრატულ კილომეტრზე მეტ ფართობზე. ჰიდროკვანძის აგებამდე მცირე გემებსა და კარგაპებსაც კი აქ ნაოსნობა მხოლოდ გაზაფხულის წყალდიდობის დროს შეეძლოთ, ახლა კი მთელი ნავიგაციის პერიოდში კალინინიამდე დაღიან დიდი გემები.

„მოსკოვის ზღვა“ წყლით კვებავს ჩევნი ქალაქის უშესანიშნავეს ნაგებობას — მოსკოვის სახელობის არხს, რომელმაც ჩევნი სამშობლოს დედაქალაქი ხუთი ზღვის ნავსადგურად გადაქცია... იგი ავსებს დედაქალაქის წყალსადენის წყლის მარაგს და რამდენჯერმე უფრო წყალუხვად ხდის მდ. მოსკოვს.

ძველ უგლიჩთან შექმნილია მეორე ჰიდროკვანძი. ვოლგის დონე 12 მეტრით გაიზარდა, მაგრამ იგი ფართოდ არ გაშლილა, — მაღალი ნაპირები მას ამის საშუალებას არ აძლევს.

შეჩრდაკოვის მახლობლად აგებულია მესამე ჰიდროკვანძი. წარმოქმნილი „რაბინსკის ზღვის“ ფართობი აღმატება 46 000 კვადრატულ კილომეტრს. იგი 15-ჯერ უფრო ვრცელია, ვიდრე „მოსკოვის ზღვა“.

„რაბინსკის ზღვა“ იმდენად დიდია, რომ ზოგიერთ პუნქტში მიმავალი გემოდან ნაპირები არ ჩანს. ქარიან ამინდში ზღვაზე დაგორავენ მაღალი ტალღები. მდინარის გემები იძულებული ხდებიან უბებებში, თავშესაფარებში, ნავსიღგურებში შეაფარონ თავი.

იცვლება ზღვისა და მისი ნაპირება: ფლორა და ფაუნა. გაჩნდა ახალი მცენარეულობა. თევზების ადგილობრივ სახეობათა გარდა, აქ გამრავლდა თევზები თეთრი ტბიდან, ლაღოგის ტბიდან, აგრეთვე მეთევზეთა მიერ გაშვებული ჭანარი.

გორიდეცთან შენდება მეოთხე ჰიდროკვანძი. მისი კაშხალი 18 მეტრით ააზალებს ვოლგის დონეს. შეიქმნება „გორიდეცის ზღვა“, რომელიც სიგრძით გადაიჭიმება ასობით კილომეტრზე — თითქმის შეჩრდაკოვამდე, განით კი — რიგ ადგილებში — ოც კილომეტრზე მეტ მანძილზე... .

ჩრდილოეთიდან ვოლგას ერთვის გა-

მა. მასზეც შენდება მსხვილი ჰიდროკვანძი. ჩეარა კაშხალი გზას გადაულობავს მდინარეს. წარმოიქმნება „კამის ზღვა“, რომლის სიგრძე 250 კილომეტრზე მეტი იქნება. თავისი მოცულობით იგი ოთხერ უფრო დიდი იქნება, ვიდრე „მოსკოვის ზღვა“.

ნაოსნობისა და ხე-ტყის დაცურების პირობები კამის სათავეებში და მის შენაკადებში მკვეთრად გაუმჯობესდება. სანაოსნო გზები ასობით კილომეტრით გაიზარდება. გემები, კარგაპები, ტივები შეძლებენ თავისუფლად გავლას იქ, სადაც ახლა კატერსაც კი უჭირს გზა.

უიგულში შენდება მსოფლიოში უდიდესი კუიბიშევის ჰიდროელსადგური. მის ზემოთ იქმნება „კუიბიშევის ზღვა“ — მთელ მსოფლიოში უდიდესი ხელოვნური წყალსაცავი. მისი სიგრძე ზევითკენ — ვოლგით — მიაღწევს 600 კილომეტრს, კამით — სამას კილომეტრს. მისი ფართობი გადაკარბებს ხუთი ათას კვადრატულ კილომეტრს... ვოლგა ყაზანიდან დაცილებულია ხუთი კილომეტრით, ჩეარა კი — ქალაქის კედლებთან გაივლის. მისი განი ზოგიერთ უბნებზე ოცდათ კილომეტრს გადაკარბებს.

შტორმების დროს „კუიბიშევის ზღვაზე“ შეიძლება 3 მეტრამდე სიმაღლის ტალღები აზვირთდეს. ასეთ ლელვაში სამდინარო გემები შეიძლება ჩაიძიროს და ამიტომ მათთვის გათვალისწინებულია ნავსადგურ-თავშესაფარების აგება, სადაც ამ გემებს შეუძლიათ თავი შეაფარონ და გამოდარებას დაელოდონ...

სტალინგრადთან შენდება მეორე გიგანტური ჰიდროკვანძი... „სტალინგრადის ზღვა“ გავრცელდება 600 კილომეტრზე სიგრძით და 35 კილომეტრამდე განით. მისი ფართობი დაახლოებით 3 500 კვ. კილომეტრი იქნება...

ახალი ზღვები სხვა მდინარეებზეც იქმნება. უსტოკამენოგორსკის ჰიდროკვანძის აგების შემდეგ შეიქმნა „ირტიშის ზღვა“ სიგრძით 80 კილომეტრამდე. მდინარე მტკვარზე სულ უფრო და უფრო ფართოვდება „მინგეჩაურის ზღვა“. მიმდინარე წელს იგი 75 კილომეტრს მიაღწევს სიგრძით და 13 კილომეტრს განით. ეს იქნება ერთ-ერთი უღრმესი ხელოვნური წყალსატევი. დონზე შექმნილია „ციმლიანსკის ზღვა“, 2.600 კვ. კილომეტრი ფართობით.

შენდება ნოვოსიბირსკის, ბუქტარმის, კახოვკის, ანგარის, ნარვის ჰიდროკვანძები. როცა ეს ჰიდროკვანძები მწყობრში ჩადგება, გაჩნდება ზღვები: ბუქტარმისა — 500 კმ სიგრძით, ობისა — 240-დეკმ სიგრძით, კახოვკისა — 2 300-დეკმ ფართობით“.


## იცით, თუ არა თქვენ, რომ...

ვარსკვლავი — ეს არის თვითმნათი სხეული, რომლის წიაღში, განსაზღვრუ-

ლი პროცესების შედეგად, გამოიყოფა ატომური ენერგია. მაღალი ტემპერატურული რა და დიდი წნევა ვარსკვლავების — შემდეგ ნით, აგრეთვე წყალბადის სიმრავლე ვარსკვლავებში ხელს უწყობენ წყალბადის ბირთვების (პროტონების) შელწევას სხვა ელემენტთა ატომგულებში, რაც იწვევს ჰელიუმისა და სხვა ქიმიური ელემენტების წარმოქმნას. ამგვარ გარდაქმნებსა და რეაქციებს თან ახლავს უამრავი ენერგიის გამოყოფა. ამ რეაქციებს რომ ადგილი ჰქონდეს, ე. ი. იმისათვის, რომ ვარსკვლავი ვარსკვლავი იყოს, მას საკმაოდ დიდი მასა უნდა ჰქონდეს. თუ მასა უმნიშვნელოა, ატომური ენერგიის გამოყოფა შეუძლებელია თავისთავად, ვინაიდან ტემპერატურა და წნევა ცენტრალურ ნაწილებში მეტად მცირე იქნება ატომშორისო განმბიძველი ძალების დასაძლევად და პროტონების ატომგულების შიგნით შესაღწევად. მცირე მასის მქონე სხეული თავისთავად ცივია და მასში არ შეიძლება ალმოცენდეს მძლავრი ატომგულური რეაქციები. მაგრამ, თუ სხეულის მასას აქვს დაახლოებით მზის მასის 1/20 ზომა, საკუთარი სიმძიმის ძალის მოქმედებით იგი გაუზრდება... ტემპერატურა, აგრეთვე წნევა ასეთი სხეულის წიაღში იმდენად გაიზრდება, რომ შესაძლებელი გახდება ატომგულური სინთეზის რეაქციები. ასეთი სხეული უკვე იქნება ვარსკვლავი, ე. ი. თვითმნათი სხეული. მაშასადამე, განსხვავება ცივ პლანეტებსა და თვითმნათ ვარსკვლავებს შორის მდგომარეობს მათი მასების განსხვავებაში...

...განუზომლად დიდია ჩვენი მზე: მისი ზედაპირი თითქმის 12 000-ჯერ აღმატება დედამიწის ზედაპირს. დედამიწის ზედაპირი შეადგებს 51 000 000 000 ჰექტარს, ანუ 510 მილიონ კვადრატულ კილომეტრს.

...ფოლადის წრობის პრობლემა თანამედროვე ლითონმცირების უმნიშვნელოვანების პრობლემაა. მრავალრიცხვოვანმა გამოკვლევებმა ამ დარგში პრაქტიკა ძვირფასი მონაცემებით გაამდიდრა, რასაც მოყვა ფოლადის წრობის მეცნიერული თეორიის შექმნა. რენტგენის სხივების მეოხებით საბჭოთა მეტალოფიზიკისმა აკად. გ. კურდიუმოვმა და მისმა მოწაფეებმა განსაზღვრეს ფოლადის შემაღებელი ნაწილების კრისტალური სტრუქტურა მისი დამუშავების სხვადასხვა სტადიობზე და გაარკვიეს სტრუქტურული გარდაქმნების შინაგანი პროცესები. გ. კურდიუმოვმა მიიღო ფოლადის ნიუშების რენტგენოგრამები თერმული დამუშავების სხვადასხვა სახეების გამოყენების შემდეგ. ეს რენტგენოგრამები ერთ-მანეთისაგან განსხვავდება სხვადასხვა ზაზებით, მათი განლაგებით, ინტენსივობითა და განით. ისინი ეტალონებს წარმოადგენერის ლაბორატორიებისათვის, რომლებიც ნაწილობით ფოლადის თვისებებს შეისწავლიან.



ყდაზე: საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. საქართველოს სსრ პავილიონის ჭინახედი. შესავალთან ვ. თოფურიძის ქანდაკება — „კოლმეურნის ოჯახი“

# მეცნიერება და ტექნიკა

სარჩევი

№ 6

036060

1954

## ოთარ წულუკიძე

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა . . . . .	1
მ. გ. ევრეინოვი	
ელექტრობა სოფლის მეურნეობაში . . . . .	5
სიმონ ლომკაცი	
ვაზის სხვლის ახალი ფორმა . . . . .	10
ალექსანდრე ბუხნიკაშვილი	
მიწის დენები . . . . .	13
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში: ორი ინსტიტუტის გაერთიანებული სამეცნიერო სესია — დ. ლომაძე (გვ. 17), სამეცნიერო სესია ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტში — მ. ლოლაძე (18), ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშავთა V სამეცნიერო კონფერენცია — გ. ლ-ძე (19).	
სამეცნიერო სესია, მიძღვნილი რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავისადმი — გ. ლ. . . . .	20
ოთარ ჩიჯავაძე	
ხმის ჩასაწერი აპარატი . . . . .	21
ი. მელიქიძე	
პროფესორ გრიგოლ წულუკიძის წიგნი უნგრულ ენაზე . . .	24
ოთარ კვირიკაძე	
რკინა-ბეტონის გამოყენების ისტორიიდან . . . . .	25
ირაკლი კაპანაძე	
რა დროიდან არის ცნობილი ბორჯომის მინერალური წყლები .	29
ახალი გამოკვლევები და აღმოჩენები ცენტრალურ არქტიკაში .	32
საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები: ასპოვინილი, ავტომატური სასწორი (31); ტყის გაშენების ახალი ხერხი, უკომპარესორო წრფივდენადი ფრქვევანა, ახალი სათბობი ქვაბი, ელექტროსადგური ბორბლებზე (გვ. 33); ახალი ჰიდრავლიკური დომერატი, ავტოსტოპების ახალი სისტემა (36), საფეიქრო კომბაინი, ვეშაპმშერი ფლოტილია „სლავა“ დაბრუნდა სამშობლოში (37).	
ერთი ქარხნის წვლილი — ნ. ბ. . . . .	34
მეცნიერებისა და ტექნიკის კალენდარი . . . . .	38
პასუხი: მკითხველთა წერილებზე და შეკითხვებზე . . . . .	42
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია	
ა. კოჭლავაშვილი — საყურადღებო შრომა ქართული მეტალურგიის ისტორიიდან . . . . .	44
თავისუფალ დროს . . . . .	47

რედაქტორი — პროფესორი რ. დვალი

სარჩავაცნო კოლეგია:


საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ვ. კუპრაძე, პროფესორი ვ. ქაქაბაძე, დოცენტი მ. გილიაშვილი, ინუინერი კ. გურგენიძე, ინუინერი შ. ჯაბუა, ვ. წულაძე (რედაქციის პასუხისმგებელი მდგრანი).

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლესელიძის ქ. № 22. ტელეფ. № 8—46—40


Ежемесячный научно-популярный журнал «Мецниереба да техника»  
(на грузинском языке)

ქალადის ზომა 60 × 92, 3 საბ. ფ., 1 ფურცელზე 73 000 სასტამბო ნიშანი.  
ხელმოწერილია დასაბეჭდად 5.6.54 წ., უე 05310, შეკვ. № 685. ტირაჟი 6500

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, აკ. წერეთლის ქ. № 3/5  
Типография Академии Наук Грузинской ССР, Тбилиси, ул. А. Церетели № 3/5.



650168



ՅԱՆՈ 5 ՁԵՒ.